

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული  
მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინოლოგიური  
დახასიათება

მამუკა ეგუტიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: გიორგი თოდრია

პროფესორი, სამართლის დოქტორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი 2022

## განაცხადი

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე დისერტაცია „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინოლოგიური დახასიათება“ ორიგინალია. ნაშრომში არ არის გამოყენებული სხვა ავტორთა ისეთი მეცნიერული თვალსაზრისი, დებულება, თეორია თუ კვლევის შედეგი, რომელიც მითითებული არ არის დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკის ნორმები.

მამუკა ეგუტიძე \_\_\_\_\_

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინოლოგიური დახასიათება. მოცემულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირების, სამართლებრივი რეგულირების ისტორია. სახელმწიფო საზღვარზე პირთა და მოძრავი ნივთის გადაადგილებით განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სისხლის სამართლებრივი დახასიათება. დეტერმინაცია, გამომწვევ მიზეზთა ანალიზი, სოციალური კვლევის შედეგები, დანაშაულის დინამიკა, ფსიქო-სამართლებრივი დახასიათება. განხილულია სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე სუბიექტთა ფუნქციები; სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ცალკეული ქვეყნების სამართლებრივი რეგულაციები; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოკლე, სამი ათწლეულის ისტორია და ამ მცირე პერიოდში მიღებული ქვეყნისთვის სრულიად ახალი საკანონმდებლო რეგულაციები; ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ტრანზიტული ფუნქცია და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, საერთაშორისო ტერორიზმის მომპლავრებით წარმოქმნილი საფრთხეები; ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სახელმწიფო საზღვრის მართვის შეუძლებლობა; დისერტაციის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დასკვნა და რეკომენდაციები.

აქტუალობას განაპირობებს დამოუკიდებლობის აღდგენის მოკლე პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს მიერ საზღვართან დაკავშირებული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერა და უკვე არსებულ კონვენციებთან მიერთება. საქართველოს სამართლებრივ სივრცეში საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კომპლექსური კრიმინოლოგიური დახასიათება არ განხორციელებულა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია სისტემატური, ისტორიული, სტატისტიკური, ანკეტირების, დოკუმენტური, ნორმატიულ-ლოგიკური, შედარებითი და რიგი სხვა მეთოდოლოგია.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული ნაშრომი პირველი მცდელობაა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინოლოგიური დახასიათებისა. პირველად განისაზღვრა სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების დეფინიცია.

ქმედებათა ფორმირება სამ არაერთგვაროვან ჯგუფად დაიყო და განხორციელდა კრიმინოლოგიური დახასიათება. წამოყენებული და დასაბუთებულია პრაქტიკული მნიშვნელობის ცალკეული ახალი დებულებები.

დისერტაცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებულ სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინოლოგიური დახასიათების პირველი სრულყოფილი ნაშრომია, რის გამოც იგი მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე სუბიექტებისათვის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ექსპერტებისა და საკითხით დაინტერესებულ სამოქალაქო პირთათვის.

## Abstract

The dissertation presents a criminological description of the illegal actions committed on the state border of Georgia. The history of the legal regulation of state border formation of Georgia is given. The criminal characterization of illegal actions committed on the state border of Georgia by moving persons and movable property. Determination, analysis of causes, results of social research, dynamics of crime, psycho-legal characterization. The functions of the subjects participating in the state border management are discussed. International legal acts related to the prevention of illegal actions on the state border of Georgia and legal regulations of individual countries. Based on the analysis of the nominee, a conclusion and recommendations are made.

The actuality of the dissertation is conditioned by the short, three decades history of the restoration of independence of Georgia, and completely new legislative regulations adopted in this short period, as well as the geopolitical situation of the country, its transit function and the dangers posed by the escalation of transnational organized crime and international terrorism; occupation of part of the country territory, inability to manage the state border in the occupied territories. The topicality is conditioned by signing of a number of international agreements by the state of Georgia regarding the border in the short period of restoration of independence and accession to existing conventions. The actuality of the study is also reflected in the fact that in the legal space of Georgia, a complex criminological characterization of illegal actions carried out on the state border of Georgia has not been carried out so far.

Systematic, historical, statistical, survey, documentary, normative-logical, comparative and a number of other methodologies are used while working on the dissertation theses.

The scientific novelty of the dissertation is that it is the first attempt of criminological characterize of the illegal action on the state border of Georgia. For the first time, the definition of an illegal act committed on the state border was defined. The actions were formed into three heterogeneous groups and a criminological characterization was carried out. Separate new provisions of practical importance have been presented and justified. The issue of eliminating the collision between the separate norms and issuing mandatory normative acts for the construction of the composition of the blank forms has been raised. On the need to criminalize certain actions committed on the state border of Georgia; on the measures to be taken by the state border authorities within their competence.

The dissertation is the first complete work on the criminological characterization of illegal actions committed on the state border in the Georgian legal space. That is why the paper is important for the subjects participating in the management of the state border of Georgia, for the students of the Faculty of Law, for the professors, for the experts and for the society of persons interested in the issue.

Keywords: State border, illegal crossing, transfer, shipping, import-export, transit, trafficking, migrant, smuggling, determination, dynamics.

# სარჩევი

პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები .....	10
შესავალი .....	11
სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.....	20
<b>თავი I. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ისტორიული ასპექტები .....</b>	<b>21</b>
1.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირების ადრეული თანამედროვე პერიოდი 21	
1.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირების თანამედროვე ისტორია .....	26
1.3. საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ზოგად-სამართლებრივი დახასიათება.....	29
<b>თავი II. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მდგომარეობა და დინამიკა.....</b>	<b>38</b>
2.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მდგომარეობა.....	38
2.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სტრუქტურა და დინამიკა.....	43
2.2.1. მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სტრუქტურა და დინამიკა.....	43
2.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტრუქტურა და დინამიკა.....	51
2.2.3. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორი ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის სტრუქტურა და დინამიკა .....	58
2.3. მსჯავრდებულ პირთა კრიმინოლოგიური დახასიათება .....	63
<b>თავი III. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიზეზები.....</b>	<b>67</b>
3.1. მოკლე შესავალი .....	67
3.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სოციალური მიზეზები.....	68
3.3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები .....	80
3.4. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ეკონომიკური მიზეზები .....	85
3.5. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პოლიტიკური მიზეზები.....	88

**თავი IV. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო**

**ქმედებათა პრევენციის ასპექტები ..... 90**

4.1. არალეგალური მიგრაციის პრევენციის თავისებურება ..... 90

4.1.1. მიგრაციული პროცესების მართვაში სახელმწიფოს წამყვანი როლი..... 94

4.1.2. არალეგალური მიგრაციის პრევენციის ღონისძიებები, როგორც საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი ..... 95

4.1.3. არალეგალური მიგრაციის პრევენციის ღონისძიებები, როგორც სამართლებრივი რეგლამენტაციის ნაწილი ..... 96

4.1.4. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენისა და ქვეყნიდან გაძევების კონტროლის სისტემა, როგორც პრევენციული ღონისძიება..... 97

4.1.5. არალეგალური მიგრაციის საფრთხეების პრევენციის პრობლემა ..... 98

4.1.6. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სისხლის სამართლებრივი დახასიათება..... 99

4.2. ქვეყნის უსაფრთხოების პრევენციის თავისებურება ..... 104

4.2.1. უსაფრთხოების პრევენციის სრულყოფის პრობლემა ..... 104

4.2.2. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინება, როგორც უსაფრთხოების პრევენციის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი  
106

4.3. საბაჟო წესების დარღვევის პრევენციის თავისებურება..... 107

4.3.1. საბაჟო წესების დარღვევის პრევენციის ზოგადი კრიმინოლოგიური დახასიათება ..... 107

4.3.2. საბაჟო დანაშაულობის პრევენცია და სისხლისსამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხების დახასიათება..... 110

4.4. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები, როგორც საზღვრის დაცვის პირობა  
114

4.4.1. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ძირითადი პრევენციული ზომა .. 114

4.4.2. საოკუპაციო ძალების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენცია და ადამიანის უფლებების დარღვევებისგან დაცვის ეფექტური მექანიზმები ..... 116

4.4.3. საოკუპაციო ძალების მიერ საზღვრის ბორდერიზაციის შეჩერების ზომები ..... 118

4.4.4. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის განხორციელების პირობების უზრუნველყოფა ..... 120

4.5. ტერორიზმის პრევენციის თავისებურება..... 122

4.5.1. ტერორიზმის პრევენციის კრიმინოლოგიური უზრუნველყოფა ..... 122

4.5.2. ტერორიზმის პრევენციის სამართლებრივი ველის სრულყოფა ..... 123

4.5.3. საზღვრის უსაფრთხოება და საზღვრის კონტროლი ..... 125

4.6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენცია..... 127

4.6.1. საფინანსო ინსტიტუტების მიერ ინფორმაციის შინაარსისა და სასაზღვრო სამსახურის მომსახურებების პრობლემა ..... 127



4.6.2. მესაზღვრეებისა და ფინანსური ინსტიტუტების კოორდინაციის გაუმჯობესება ფულის გათეთრების რისკის პრევენციის სისტემაში.....	128
4.6.3. ფინანსური ინსტიტუტების მიერ სპეციალური ფინანსური ზომების გამოყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე კონტროლის განმტკიცების მიზნით .....	129
4.6.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის სამართლებრივი ასპექტები.....	130
4.7. ადამიანით ვაჭრობის პრევენცია .....	132
4.7.1. ტრეფიკინგის პრევენციის კრიმინოლოგიური ასპექტები.....	132
4.7.2. სასაზღვრო კონტროლის საერთაშორისო სპექტრი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში	133
4.7.3. ტრეფიკინგის პრევენციის პერსპექტივები .....	136
4.8. ნარკოტიკული დანაშაულის პრევენცია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე .....	137
4.8.1. საზღვრზე ნარკოტიკული საშუალებების გადამზიდავი პირების იდენტიფიკაცია.....	137
4.8.2. ნარკოტიკების იდენტიფიკაციის პრობლემა საზღვრებზე (აშშ-ის მოდელის მიხედვით)	140
4.8.3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციის საკვანძო საკითხები .....	142
4.8.4. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანისა და გატანის პრევენციის თავისებურება	147
<b>თავი V. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები.....</b>	<b>162</b>
5.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები .....	162
5.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების თავისებურება .....	172
<b>დასკვნა და რეკომენდაციები .....</b>	<b>185</b>
<b>ბიბლიოგრაფია: .....</b>	<b>189</b>
<b>დანართი.....</b>	<b>216</b>

## პირობითი აღნიშვნები, შემოკლებები

აშშ -ამერიკის შეერთებული შტატები

გაერო -გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ეთო -ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია

დსთ -დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

იუნესკო-გაერთიანებული ერების განათლების მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

სსრკ -საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

სსრ -საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

სსკ -სისხლის სამართლის კოდექსი

საქსტატი -საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სსიპ -საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მუხ- მუხლი

საქ -საქართველო

შსს- შინაგან საქმეთა სამინისტრო

ე. ი. -ესე იგი

ძვ. წ. -ძველი წელთაღრიცხვით

FRONTEX - the European Border and Coast Guard Agency - ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო

IOM - International Organization for Migration -მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

OSCE - Organization for Security and Co-operation in Europe - ევროპის თანამშრომლობის და უსაფრთხოების ორგანიზაცია

UNODC - United Nations Office on Drugs and Crime - გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის ოფისი

UN-United Nations - გაერთიანებული ერები

Unesco - იუნესკო

ООН Организация Объединённых Наций - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

## შესავალი

### კვლევის აქტუალობა

XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოში გლობალური მოვლენა მოხდა. 1991 წლის 8 დეკემბერს მსოფლიოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს, კერძოდ, ბელორუსიის ქალაქ ბელოვეჟში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების - რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის ლიდერებმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის დაშლასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნას. 1991 წლის 21 დეკემბერს ყაზახეთში, ქალაქ ალმა-ათაში, ამ ქვეყნებს შეუერთდა საბჭოთა კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკები (საქართველოს და ბალტიის ქვეყნების გამოკლებით) და თერთმეტმა ყოფილმა საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკამ დამატებით ოქმზე ხელმოწერით დაადასტურა საბჭოთა კავშირის დაშლა და 11 დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა.

საქართველომ ამ მოვლენამდე ადრე, 1991 წლის 31 მარტს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით გამოაცხადა რა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, ალმა-ათის დეკლარაციის დამატებითი ოქმის ხელმოწერის დროს, 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, არსებულ ფარგლებში განისაზღვრა საქართველოს ტერიტორია.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურდა საქართველოს ძირითადი კანონით-კონსტიტუციით და აღიარებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო თანამეგობრობისა და მსოფლიო საზოგადოების მიერ.

საქართველომ 70\_წლიანი პაუზის შემდგომ საკუთარი ქვეყნის საზღვრებზე დაამყარა რა ექსკლუზიური უზენაესობა, პირველად საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში შეუდგა ამ მონაპოვრის საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის შექმნას.

თემის აქტუალობას განაპირობებს სწორედ ის გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ მიმართულ საკანონმდებლო ბაზას სულ სამი ათწლეულის ისტორია აქვს. ამ მოკლე პერიოდში ქვეყანას მოუწია არაერთი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავება და მიღება, რათა უზრუნველყო სახელმწიფო საზღვარზე მართლწესრიგის დაცვა. მოეხდინა საზღვართან დაკავშირებულ ცალკეულ, მანამდე

ქვეყნისათვის უცხო დანაშაულთა კრიმინალიზაცია და შეექმნა ამ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველი პრევენციული ბაზა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ქვეყნის შიგნით, სამეზობლოში, რეგიონში თუ მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო. მუდმივად ცვალებადი ვითარება საქართველოს სახელმწიფოს აიძულებს, არსებული და მოსალოდნელი გამოწვევების გათვალისწინებით მყისიერად შეიმუშავოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია. სისტემატიურად მიიღოს, შეცვალოს, დახვეწოს და გააძლიეროს ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი დანაშაულის გამოვლენას, აღკვეთას, დასჯასა და თავიდან აცილებას.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინოლოგიური დახასიათება, როგორც ამ მიმართულებით შესრულებული ერთ-ერთი პირველი მოკრძალებული ნაშრომი, აქტუალურია.

თემის აქტუალობას განაპირობებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამავალ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის განხორციელების შეუძლებლობა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გავრცელებული ნარკოკონტრაბანდა, ტრეფიკინგი, იარაღის კონტრაბანდა, ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა უგულვებელყოფა და ამის დასაძლევად საქართველოს ხელისუფლების მიერ, არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელებული საკანონმდებლო რეგულაციების განხილვა და ოკუპაციის შედეგად წარმოშობილი, საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინოლოგიური დახასიათება.

საქართველოს სახელმწიფო, მიუხედავად მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მცირე ისტორიისა, ხელშემკვრელი გახდა არაერთი საერთაშორისო შეთანხმებისა და კონვენციისა, რომლებიც მიმართულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ისეთი გამოვლინებების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ტრეფიკინგი, მიგრანტთა კონტრაბანდა, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა-ნარკოკონტრაბანდა. მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთა

წინააღმდეგ ბრძოლაც მოითხოვს როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

დასახელებული ხელშეკრულებები თუ საერთაშორისო კონვენციები სულ უფრო მეტად უკავშირდება და მეტ აქტუალობას სძენს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ თუ ინდივიდუალურ საკითხებს, ზრდის საკვლევი თემისადმი ინტერესს.

კვლევის საგნის აქტუალობას კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის, ფუნქცია. საერთაშორისო ტრანზიტული გადაზიდვები, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ვაჭრობის განვითარებისთვის, ევროპასა და აზიას შორის შემაკავშირებელი ქვეყნის როლის დამკვიდრებისა და ახალი ფუნქციის შექმნისთვის, ხოლო, მეორე მხრივ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მუდამ დგას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების თუ ცალკეული კრიმინალური სუბიექტების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისთვის გამოყენების საფრთხის წინაშე.

თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ XXI საუკუნე საერთაშორისო ტერორიზმის უპრეცედენტო მომძლავრებით დაიწყო, მდგომარეობა იმ დონემდე გამწვავდა, რომ 2014 წელს სირიისა და ერაყის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მოქმედმა, რადიკალურმა ისლამურმა ტერორისტულმა დაჯგუფებებმა სცადეს ერაყისა და ლევანტის ტერორისტული სახელმწიფოს შექმნა. ამ ტერორისტულ წარმონაქმნში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდან გადინება დაიწყო ტერორისტულ-ექსტრემისტული იდეების მიმდევარმა ადამიანებმა, რის გამოც საჭირო გახდა ტერორისტული საქმიანობის განხორციელების, მომზადების, ან ამგვარ საქმიანობაში, ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ლეგალური თუ არალეგალური გზით გადაკვეთა, ან გადაკვეთის მცდელობა გამოცხადებულიყო სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად, რაც სრულიად ახალი მოვლენაა საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) სამართლებრივ ისტორიაში.

თემის აქტუალობა მნიშვნელოვანია იმ გარემოებათა გათვალისწინებითაც, რომ სისტემატურად იკვეთება და ჩნდება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ახალი, მანამდე უცნობი, ან ნაკლებად საშიში, ხოლო დღეისათვის მომეტებული საფრთხის მქონე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინალიზაციის აუცილებლობა, მხოლოდ 2014-2019 წლებში მოხდა სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან ქმედებათა კრიმინალიზაცია, როგორიცაა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტი

ან/და რეექსპორტი. (საქართველოს სსკ 207<sup>2</sup>-ე მუხლი კრიმინალიზებული იქნა 2016 წლის 2 აპრილის კანონით). „ქიმიური იარაღის შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული ტოქსიკური ქიმიკატის ან მისი პრეკურსორის უკანონო ექსპორტი, იმპორტი (საქართველოს სსკ 235<sup>1</sup>-ე მუხლი კრიმინალიზებული იქნა 2018 წლის 22 დეკემბრის კანონით) საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა, (საქართველოს სსკ 323<sup>2</sup>-ე მუხლი კრიმინალიზებული იქნა 2014 წლის 4 აპრილის კანონით, სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული დამატება შევიდა 2015 წლის 12 ივნისს). უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად კრიმინალიზებული იქნა ისეთი მძიმე დანაშაულებები, როგორებიცაა: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), მათ შორის არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა და სხვა.

კვლევის აქტუალობა გამოიხატება იმაშიც, რომ საქართველოს იურისპრუდენციაში პირველი მცდელობაა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებათა დეფინიციის განსაზღვრისა და აღნიშნული დანაშაულის ერთიანი კომპლექსური კრიმინოლოგიური დახასიათებისა.

სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინოლოგიურ დახასიათებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომშია განხილული, საქართველოს სამართლებრივ სივრცეში, ერთიან ჭრილში დამუშავებული არ ყოფილა. გამონაკლისია, ცალკეული დისერტაციების, სამეცნიერო ნაშრომების თუ გამოქვეყნებული სტატიების სახით ცალკეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინოლოგიური დახასიათებანი, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რაც მნიშვნელოვნად აისახა მოცემულ ნაშრომზე მუშაობისას.

## **კვლევის ობიექტი**

საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ობიექტურად დაკავშირებულნი არიან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან და მათ დეტერმინანტებთან.

## **კვლევის საგანი**

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მდგომარეობა, სტრუქტურა, დინამიკა და მათი დეტერმინაციის კრიმინოლოგიური ასპექტები.

## **კვლევის მიზანი**

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა თავისებურების შესწავლა და ტიპოლოგიის დაზუსტება, მათი განხორციელებისთვის ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა.

დასახული მიზნის რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა თავისებურების მეცნიერული კვლევის განვითარებას, ამ ქმედებათა ახალი ფორმებისა და სახეობების დადგენის მოდელების შექმნას, კრიმინოგენული სიტუაციების გაზომვის სტრატეგიის შემუშავებას. ამავე დროს მნიშვნელოვნად განვითარდება პრევენციის სისტემის მეთოდოლოგიური საფუძვლის ჩამოყალიბების პრობლემატიკა.

## **კვლევის ამოცანები**

- საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორიული ასპექტები;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მდგომარეობა და დინამიკა;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამომწვევი მიზეზები;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის ასპექტები;
- საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის ინსტიტუციონალური ასპექტები.

### **ჰიპოთეზა**

- მსოფლიოს გლობალიზაციისა და ქვეყნის ოკუპაციის პირობებში სისტემატურად იკვეთება და ჩნდება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ახალი, მანამდე უცნობი, ან ნაკლებად საშიში, ხოლო დღეისათვის მომეტებული საფრთხის მქონე მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ქვეყნის შიგნით, სამეზობლოში, რეგიონში თუ მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მუდმივად ცვალებადი ვითარების გამო.

- სავარაუდოა, რომ თუ განხორციელდება საზღვრის დაცვის ღონისძიებების შემუშავება დანაშაულთა პრევენციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მაშინ მთლიანობაში გაიზრდება კრიმინოლოგიური პრობლემატიკის გადაჭრის ეფექტურობა.

### **კვლევის მეთოდები**

დისერტაციაში გამოიყენება ანალიტიკური მეთოდი, რომელიც შეესაბამება კრიმინოლოგიური თეორიის მოთხოვნას. ამის საფუძველზე, თავდაპირველად დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ფორმების მდგომარეობა და აღწერილია მათი მიზეზები. შესაბამისად, განიხილება ამ ქმედებათა ძირითადი ფორმების პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური საკითხები. თავის მხრივ ანალიტიკური მეთოდი მოიცავს როგორც დედუქციურ, ისე ინდუქციურ მიდგომას საკითხისადმი. დედუქციის მეთოდი ძირითადად გამოიყენება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ფორმების პრევენციის საერთო საკითხების დახასიათებისას, ხოლო პრევენციის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური საკითხების დეტალურ განხილვას საფუძველად უდევს ინდუქციური მეთოდი.

დისერტაციაში გამოიყენება პრობლემატიკის კვლევის შედარებითი სამართლებრივი მეთოდი, რომლის მეშვეობით დგინდება საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული პრევენციის სისტემების თავისებურება. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნორმატიულ პრობლემატიკას. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნორმატიულ ლოგიკურ მეთოდებს, რაც ხელს უწყობს კანონმდებლობის თავისებურების დადგენასა და ნორმების დახასიათებას. ნორმატიულ-ლოგიკური მეთოდის გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო



ქმედებებთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვას, ნორმატიული მასალის დახასიათებას და მათი თავისებურებების გამოვლენას, ნაშრომი შექმნილია ზემოთ აღნიშნული ქმედებების ეფექტურობისა და გაუმჯობესების მიზნით.

კვლევისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ მიდგომას, რათა გამოვლინდეს სამართლებრივი პოლიტიკის მიმართულებები და მათთან კრიმინოლოგიური რეკომენდაციების შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიგრაციასთან, ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგი), ტერორიზმთან, ოკუპაციასთან და სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან კავშირში მყოფი სხვა მოვლენების ამსახველი ისტორიული მასალის შესწავლას.

სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით ანალიზდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ამსახველი 2014-2018 წლების სტატისტიკური მონაცემები. გამოკვლეულ იქნა აღნიშნულ დანაშაულთა რაოდენობრივი, თვისობრივი მაჩვენებლები და დანაშაულის ჩამდენი პირები.

ანკეტირების მეთოდის გამოყენებით ხდება სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის და სოციალური მდგომარეობის მქონე პირთა დახურული ანკეტური მეთოდით გამოკითხვა. ნაშრომში გაანალიზებულია მათი პოზიცია სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებთან და ხელშემწყობ პირობებთან მიმართებაში.

დოკუმენტური მეთოდის გამოყენებით ხორციელდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

## კვლევის სახელე

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების თავისებურებათა მეცნიერული კვლევის საფუძვლად არჩეულია სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდი. მისი საჭირო კომპონენტებია საზოგადოებისა და სახელმწიფოს როლის გაძლიერება მიგრაციული პროცესების მართვაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება, საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების, თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესი. მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოდან გაძევებული უცხოელის საქართველოში შემოსვლის აკრძალვის რეგლამენტაციის დახვეწა. პრევენციულ ღონისძიებათა შორის აქტუალურია ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენისა და ქვეყნიდან გაძევების კონტროლის სისტემა. მნიშვნელოვანია აგრეთვე არალეგალური მიგრაციის საფრთხეების პრევენციის სპეციალური სისტემის დანერგვა.

2. განსაზღვრულია საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის კრიტერიუმი, რომელიც ითვალისწინებს: 1) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტების, ახალი სამხედრო აგრესიის რისკის, კავკასიაში არსებული კონფლიქტების თავიდან აცილებას; 2) საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებასთან ბრძოლის გაძლიერებას; 3) საბაჟო წესების დარღვევის პრევენციის განვითარების ძირითად მიმართულებებს.

3. პრევენციის სისტემაში განსაზღვრულია კრიმინოლოგიური კომპონენტები, რომელთა საშუალებით შესაძლოა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ობიექტური სურათის დადგენა. მას მიეკუთვნება: 1) ტერორიზმის პრევენციის სისტემაში დევიანტური ასპექტის გათვალისწინება და კრიმინალიზაციის პროცესის დაზუსტება. 2) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრევენციის სისტემაში საფინანსო ინსტიტუტების მიერ მომზადებული სასაზღვრო სამსახურის მომსახურებების შესახებ ინფორმაცია და ფულის გათეთრების რისკის პრევენციის მიმართულებები მესაზღვრეებისა და ფინანსური ინსტიტუტების კოორდინაციის სისტემაში. 3) ტრეფიკინგის პრევენციის სისტემაში ტრეფიკინგის პრევენციის კრიმინოლოგიური კომპონენტი და ინსტიტუციონალური ხასიათის ზომები. 4) ნარკოტიკული დანაშაულის პრევენციის სისტემაში გეოგრაფიის სირთულე საზღვრის

მენეჯმენტში, დამალვის ადაპტირებისა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილების შესაძლებლობები, პროფესიონალი კონტრაბანდის სტრუქტურული და ოპერატიული მოქნილობა, ინსტიტუციური კოორდინაციის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კონტროლის მართვაში.

4. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრის დაზუსტების მიზნით შემუშავებულია ოპერაციონალური მოდელი, რომლის მიხედვით სტატისტიკურ ანგარიშებში აისახება ე. წ. „მწვანე ზოლის“ ფარულად გადაკვეთის ფაქტები;

5. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის წინაშე დასახულია ნორმატიული ბაზის (სსკ-ს 207<sup>2</sup>-ე, 212-ე, 214-ე, 235<sup>1</sup>-ე, 344<sup>1</sup>-ე მუხლების) ცნებითი აპარატის სრულყოფის მიმართულებები.

## სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

კვლევის დროს გამოყენებულ იქნა, როგორც ქართული ისე უცხოური კანონმდებლობა. გამოყენებულ იქნა: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი და სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I.

გივი ლობჯანიძის, მარინე მინდორაშვილის, ქეთევან მარშავას, მერაბ ტურავას, დიმიტრი უზნაძის, მიხეილ ბაძალუას, გ. მამულაშვილის, გ. ლობჯანიძის, ჯემალ ჯანაშიას და სხვათა ნაშრომები. გამოყენებულია ასევე სტატიები, ინტერნეტ წყაროები და სხვა.

როგორც ზემოთ ავლინებ, თემაზე მუშაობისას გავცანი ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებს: „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“ და „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“. აღნიშნული წიგნების წაკითხვამ საშუალება მომცა, გავცნობოდი სხვადასხვა ავტორის მოსაზრებას ჩემი თემის ირგვლივ.

მნიშვნელოვანია სახელმძღვანელო „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), თეთრი მონობა ოცდამეერთე საუკუნეში-ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები“, სადაც აღნიშნულ თემაზე ამომწურავად და ნათლად აქვთ ავტორებს ჩამოყალიბებული ის საკითხები, რაც დამეხმარა საკითხის უკეთ გარკვევაში.

კვლევისთვის, ასევე გავცანი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სამინისტროების მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა წლის სტატისტიკურ მონაცემებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებსა და სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს.

თემაზე მუშაობისას გავცანი სხვადასხვა სტატიას, ჟურნალს (მაგალითად, „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საერთაშორისო კონტროლის სისტემის შედარებითი ანალიზი“ საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი იურისტი), ასევე უცხოურ თუ ქართულ ინტერნეტ ვებგვერდებზე განთავსებულ სტატიებს, რომლებიც დამეხმარა უკეთ გამეაზრებინა ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები.

# თავი I. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ისტორიული ასპექტები

## 1.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირების ადრეული თანამედროვე პერიოდი

1. საკუთარი ტერიტორიისა და მისი საზღვრების დაცვის აუცილებლობა კაცობრიობის წინაშე დადგა მისი წარმოშობის მომენტიდან. წინა სახელმწიფო პერიოდში, გვაროვნული, თემური, (ფრატრია) თუ ტომთა თანაცხოვრების პირობებში თითოეულ მათგანს გააჩნდა საკუთარი ტერიტორია, დადგენილი ჰქონდა მათი საზღვრები და მკაცრად იცავდა მათ. მეცნიერთა ნაწილი სახელმწიფოს წარმოშობის თეოლოგიურ, ხელშეკრულებით, ფსიქოლოგიურ და სხვა თეორიებს შორის განიხილავდა სახელმწიფოს წარმოშობის ძალმომრეობის თეორიას, რომლის მიხედვითაც „ძალმომრეობის ესა თუ ის აქტი (საშინაო თუ საგარეო) არის უმთავრესი მიზეზი სახელმწიფოს წარმოშობისა“. (27, 35)

ევროპასა და აზიაში სახელმწიფოთა წარმოშობა სხვადასხვა ფაქტორით განვითარდა, აქ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომების წარმოების მუდმივმა საშიშროებამ (თავდაცვისა და სხვა ტერიტორიების დაპყრობის მიზანმა), გეოგრაფიულმა, დემოგრაფიულმა, ეკონომიკურმა, რელიგიურმა თუ სხვა ფაქტორებმა, თუმცა ყველა შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოშობის წინაპირობა იყო მყარად ჩამოყალიბებული საზოგადოება.

სახელმწიფოთა წარმოქმნამ მძაფრად დააყენა დღის წესრიგში სახელმწიფოთა ტერიტორიის გამიჯვნის პროცესი, სახელმწიფო ტერიტორიის ფორმირების თანმდევნი პროცესი გახდა სახელმწიფო საზღვრების ფორმირებაც, რადგან აღნიშნული მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. სახელმწიფო საზღვრის წარმოქმნა ისტორიული კანონზომიერებაა, რადგან „სახელმწიფოს იურისდიქცია, მისი სუვერენული ძალაუფლება ვრცელდება, სახელმწიფო საზღვრებით შემოფარგლულ ლოკალურ ტერიტორიაზე. სახელმწიფო საზღვრის არსებობა და ამ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა“. (11, 41)

2. „საზღვრები ეს ერთდროულად ფილოსოფიური კატეგორიაა და სოციალური ფენომენიც. ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერების“ პერფორმირებით საზღვრები შეიძლება აღვიქვათ, როგორც წინააღმდეგობა, უწყვეტობისა და გონივრულობის პარადოქსი. გონივრულობა გულისხმობს საზღვრების რეალურ არსებობას, სივრცის მარკირებას,

სტრუქტურირებას ახდენენ და ერთმანეთისგან ყოფენ სხვადასხვა მოვლენას. საზღვრების უწყვეტობა ერთდროულად უარყოფს მათ ობიექტურ არსებობას და წარმოშობს მათ იდენტიფიკაციის პრობლემას“. (22)

საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ მკვლევრებს სხვადასხვა მოსაზრება გააჩნიათ, ერთნი მიიჩნევენ, რომ საქართველოში სახელმწიფო სამი ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა, მეორენი ვარაუდობენ, რომ ქართლში სახელმწიფო ქრისტეშობამდე IV საუკუნეში წარმოიშვა. (38, 192)

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველო წარმოადგენს ორი კონტინენტის-ევროპისა და აზიის საზღვარზე მოთავსებული ძველი კულტურის ნაწილს.

ასეთი მდებარეობა ხელს უწყობდა საქართველოს სამეურნეო - კულტურულ დაწინაურებას, მაგრამ გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში იგივე გარემოება ხშირად ამ ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზიც ხდებოდა, რის გამოც ქვეყნის ადმინისტრაციულ პოლიტიკური საზღვრები არ იყო მუდმივი და იგი საუკუნეთა განმავლობაში ხშირად იცვლებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის, პოლიტიკური ძლიერების თუ უძლურების შესაბამისად. (109, 9)

ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს საზღვრების გამოკვლევას. აღწერა სახელმწიფო საზღვრის რაობა. სახელმწიფოს, ქვეყნისა და სამეფოთა რაოდენობა. „თავდაპირველად ვიწროდ შემოფარგლული თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა. იმ ხაზს, რომლითაც სამეფო ან სათემო ქვეყანა მეზობელთა, მახლობელ ქვეყანათაგან შემოფარგლული და შემოზღუდული იყო „საზღვარი“ ეწოდებოდა. (57, 10)

ივანე ჯავახიშვილმა 1919 წლის 19 მარტის თარიღით შედგენილ კონსტანტინოპოლის კონფერენციისათვის განკუთვნილ მონოგრაფიაში, როგორც თვითონ აღნიშნავდა, განიხილა „საქართველოს მჭიდროდ შემოფარგლული“ საზღვრები, რომლებიც „ისე, როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკური სახელმწიფოებრივი, აგრეთვე გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოოდ გარემოზღუდვილ ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიული

არსებობის დროს მრავალ, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა“. (57, 1)

სამართლის ისტორიის ინტერესის სფეროს წარმოადგენს ის კულტურული კავშირები, რომელთა გავლენითაც ყალიბდება და ვითარდება სამართალი. (56, 19) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლის ისტორიაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა კონკრეტულ ეპოქაში არსებული კულტურული კავშირების გავლენით, სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი ისტორიის (ისევე, როგორც ზოგადად ქვეყნის სამართლებრივი ისტორიის) ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ მიმდინარე, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი, საერთაშორისო თუ ტრანსნაციონალური პროცესები და ასეთის გავლენით ჩამოყალიბებული კულტურული კავშირები.

3. ქვეყნის სამართლებრივი ისტორიის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიის გაყოფა- გადანაწილება, ქართული სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა ხშირად ხდებოდა საქართველოს იმდროინდელ ხელისუფალთა დაუკითხავად, მათი ნების, ქართველი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ, საბოლოოდ, ძირძველი ქართული მიწები-ჭარ-ბელქანი, ირანის მფლობელობიდან, სამცხე-საათაბაგო, ლაზეთი, ართვინი, აჭარა და აფხაზეთი ოსმალეთის მფლობელობიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა და ასე გაგრძელდა 1917 წლამდე, რუსეთის იმპერიის დაშლამდე. რუსეთის იმპერიის რღვევის მიუხედავად საქართველომ, დროულად ვერ მოახერხა დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება. მარტდან თბილისში ხელისუფლების შესრულებას შეუდგა რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. რუსეთში ბოლშევიკური რევოლუციის შემდგომ, 1917 წლის 15 ნოემბრიდან, საქართველოში ხელისუფლება გადაეცა ამიერკავკასიის კომიტეტს, 1918 წლის 22 აპრილს შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა.

1918 წლის 3 მარტს, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და, მეორე მხრივ, გერმანია, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და თურქეთს შორის დაიდო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება, რომელიც შეეხო საქართველოს ტერიტორიას, ხელშეკრულების მე-4 მუხლით, რუსეთი ვალდებულიებას იღებდა თავისი ჯარი გაეყვანა ბათუმის, ყარსის და არტაანის ტერიტორიებიდან და ეს მიწები გადადიოდა თურქეთის მფლობელობაში. (134)

ამიერკავკასიის სეიმი არ დაეთანხმა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს და თურქეთს სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა.

მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უშედეგოდ დამთავრდა, თურქეთმა დაიპყრო ბათუმი, არტანი, ახალციხე, ოზურგეთი, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიების ნაწილი.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდგომ კვლავ დაიწყო მოლაპარაკებები თურქეთთან. 1918 წლის 26 მაისს თურქეთმა მოითხოვა ახლადშექმნილ რესპუბლიკას ელიარებინა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებით დადგენილი საზღვრები. სეიმმა შეთანხმების მიღწევა ვერ შეძლო და თავი დაშლილად გამოაცხადა. მომენტალურად საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების დროს, თურქეთს უკვე ოკუპირებული ჰქონდა საქართველოს დიდი ნაწილი.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ბათუმში დადებულ ოსმალეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბათუმის ოლქი, ყარსის ოლქი და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის ნაწილი (ახალქალაქი, ხერთვისი, ახალციხე) ოსმალეთს გადაეცა. (1, 151-152) ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს არ მოუხდენია.

4. 1918 წლის 30 ოქტომბერს ბრიტანულ სამხედრო გემზე „აგამენონი,“ საბერძნეთის კუნძულ ლემონსის ქალაქ მუდროსის პორტში, პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოს სახელით, ინგლისმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ომში დამარცხებული თურქეთის ხელისუფლებასთან, რომლის ძალითაც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა და თურქეთი ვალდებული იყო თავისი ჯარი გაეყვანა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხოლო ბათუმი გადავიდა ბრიტანული ჯარების კონტროლის ქვეშ. (3, 190)

1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მესამე მუხლის შესაბამისად, დადგინდა რუსეთ- საქართველოს საზღვარი, ამასთან, ხელშეკრულების მე-4 მუხლით, რუსეთმა საქართველოს კუთვნილებად აღიარა ყოფილი რუსეთის დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი გუბერნიები და ოლქები. (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, ზაქათალა.) (315, 27-33)

საქართველოს მეზობელმა აზერბაიჯანმა პრეტენზია განაცხადა ზაქათალის ქართულ მიწაზე, ხოლო სომხეთი ომით შეეცადა საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას, საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო სომხეთის არმიის განდევნა, სომხეთი ომში დამარცხდა.



ინგლისის შუამავლობით, 1919 წლის 17 იანვარს, თბილისში საქართველოსა და სომხეთს შორის (ინგლისის მხრიდან სომხეთის აშკარა ლობირებით) საქართველოზე ზეწოლით დაიდო უსამართლო შეთანხმება, რომლის ძალითაც ბორჩალოსა და ლორეს მაზრის ქართული მიწები (მყოფი საქართველოს კონტროლის და იურისდიქციის ქვეშ) გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად.

1920 წლის 12 ივნისს აზერბაიჯანის ქალაქ აღსთაფაში, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის, რომლის მიხედვითაც გაიმიჯნა ორ ქვეყანას შორის არსებული საზღვრები.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია.

ამავე წლის 13 ოქტომბერს თურქეთის ქალაქ ყარსში, ერთი მხრივ, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა და, მეორე მხრივ, ოსმალეთს შორის (რუსეთის მონაწილეობით) დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქართული მიწები ართვინი, ლაზეთი და ტაო-კლარჯეთი ოსმალეთის კუთვნილებაში გადავიდა. (314)

1921 წლის 15 ნოემბრის საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულებით დადგინდა ამ ქვეყნებს შორის არსებული საზღვარი. ამავე წელს, 6 ნოემბერს, ხელი მოეწერა საქართველო-სომხეთის სასაზღვრო შეთანხმებასაც.

1922 წლის 12 მარტს შეიქმნა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ერთობლივი ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც 1922 წლის 30 დეკემბერს რუსეთის ფედერაციასთან, უკრაინასა და ბელორუსთან ერთად, გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამფუძნებელი, საქართველოს საზღვარი გახდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი.

1936 წელს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა გაუქმდა და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დაფიქსირდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელწოდებით, ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკად. საქართველოს საზღვარი რუსეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვარს, ხოლო საზღვარი თურქეთთან და შავ ზღვაზე წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს.

1936 წლის 5 დეკემბერს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, კონსტიტუციის მიხედვით, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს უფლება ეძლეოდათ დაედოთ ურთიერთშეთანხმება მათ შორის არსებული ადმინისტრაციული საზღვრის თაობაზე, თუმცა ამ ხელშეკრულების დამტკიცება წარმოადგენდა სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოების კომპეტენციას. (258)

1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ იქნა ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სსრკ გამგებლობას განეკუთვნებოდა სსრკ სახელმწიფოსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების დადგენა/დამტკიცება. (225, 31)

1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირმა მოახდინა თურქეთთან 1925 წლის 25 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების დენონსირება. მიზნად დაისახა 1921 წელს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მიერ თურქეთთან დადებული ხელშეკრულების „შესწორების“ და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაფიქსირება მეფის რუსეთის მიერ ოსმალეთის იმპერიასთან 1878 წლის 1 (5) ივლისს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, თუმცა საერთაშორისო ზეწოლისა და საბჭოთა ბელადის-სტალინის გარდაცვალების შემდგომ, 1953 წლის 30 მაისის ნოტიო, საბჭოთა კავშირმა ოფიციალური უარი განაცხადა თურქეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, რის შემდგომაც საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი საბოლოოდ უცვლელი დარჩა.

## 1.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფორმირების თანამედროვე ისტორია

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ყოფილი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე ჩატარებული რეფერენდუმით საქართველოს მოქალაქეებმა დაადასტურეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი, 9 აპრილს მიღებული იქნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

1991 წლის 26 დეკემბერს ოფიციალურად გამოცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლა.

საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველო მოცემულ საზღვრებში აღიარებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მიერ, რის დასტურადაც 1992

წლის 1 ივლისს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ორ სუვერენულ სახელმწიფოს-საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის.

1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და უკრაინის მიერ ბელორუსში, მინსკში (ბელოვეჟის ტყეში) ხელმოწერილი შეთანხმებით შეიქმნა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ სახელწოდების ალიანსი, გაერთიანება, იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ატაში ხელმოწერილი ოქმით აღნიშნული თანამეგობრობის წევრები გახდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი სხვა ქვეყნებიც: აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი. (საქართველო დსთ-ს 1993 წლის 9 დეკემბერს შეუერთდა). ამავე დროს მიღებულ იქნა ალმა-ატის დეკლარაცია, სადაც განისაზღვრა, რომ მასში შემავალი სახელმწიფოები „სცნობენ და პატივს სცემენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ურღვევობას“. (311)

საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა (რუსეთის ფედერაციის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართებით) და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრისაგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვარს საქართველოს ნაწილში (თურქეთის და შავი ზღვის სანაპირო ზოლის მიმართებით). (179) შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთის რესპუბლიკასთან დელიმიტირებული და დემარკირებულია, ხოლო რუსეთის ფედერაციასთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ეს პროცედურა დასრულებული არ არის.

სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგება, მისი დაცვა, საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან ასეთი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, დანაშაულის აღკვეთა-აცილების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში (1998 წლის 17 ივლისს) მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, რომელიც არეგულირებს „სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიდა

და ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე“ (მუხლი 1). (179)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის „ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე“, (179) რომელიც საქართველოს ტერიტორიას გამოყოფს მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიისაგან.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის საერთო სიგრძე დაახლოებით 1839 კილომეტრია, აქედან რუსეთის ფედერაციასთან - 894, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან - 446, სომხეთის რესპუბლიკასთან - 224, თურქეთის რესპუბლიკასთან - 275 კილომეტრი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი რუსეთთან ყოფილი აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის სასაზღვრო მონაკვეთზე (175 კილომეტრის სიგრძით) და ყოფილი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური ოლქის მონაკვეთზე (სიგრძით 74 კილომეტრი) რუსეთის მხრიდან ოკუპირებულია. ასევე ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორია ცხინვალის რეგიონში - 3, 8 ათასი კმ<sup>2</sup>, აფხაზეთში - 8, 7 ათასი კმ<sup>2</sup>.

შავ ზღვაზე საქართველოს სანაპირო ხაზის სიგრძე ფსოუს შესართავიდან სოფელ სარფამდე 310 კილომეტრია, აქედან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე შავი ზღვის მონაკვეთზე სასაზღვრო სანაპირო ზოლის სიგრძე 195 კილომეტრია. საქართველოს იურისდიქციას განეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო ხაზიდან 12 მილი სიგანის წყლის აკვატორია. „საქართველოს ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას) მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა“ (მუხლი მე-4). (183)

საზღვაო სივრცე, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს, წარმოადგენს საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას.

საქართველოს კონტინენტური შელფი არის შავი ზღვის ფსკერი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე. ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე ან ვრცელდება არაუმეტეს 200 საზღვაო მილის

მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე.

საქართველოს საჰაერო სივრცეს განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ვერტიკალურად მდებარე საჰაერო სივრცე, (ატმოსფერო), რომელზეც ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი. (193)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა და მოძრავი ნივთების გადაადგილება, საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში სანაოსნო საშუალებათა შესვლისა და გამოსვლის, გადაადგილებისა და ყოფნის წესს, საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდის თუ სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმი (გამონაკლისია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა პირობები).

„ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავის იურისდიქციას, რომელიც ტერიტორიის საზღვრებითაა შემოფარგლული. ეს ხელისუფლება ვრცელდება ყველა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირსა და ორგანიზაციაზე. ყოველი უცხოელი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ამ ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე ექცევა მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ“. (11, 41)

### 1.3. საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ზოგად-სამართლებრივი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებათა კრიმინალიზაცია დღის წესრიგში ახლებურად დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენამდე ანექსირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ. როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რიგითი საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მქონე, ის არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების საზღვრები ამავე კავშირში მყოფ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან წარმოადგენდა ადმინისტრაციულ საზღვარს. ხოლო საზღვრები

საბჭოთა კავშირის გარე, მოსაზღვრე ქვეყნებთან წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარს.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებთან (რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვა.) მიმოსვლა თავისუფალი იყო. არ ყოფილა დაწესებული რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა ან სპეციალური პროცედურები. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები კი გადიოდა მოკავშირე რესპუბლიკების იურისდიქციის სფეროდან და წყდებოდა საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით (მუხლი 33-ე) საბჭოთა კავშირში შემოღებული იყო ერთიანი მოქალაქეობა და მოკავშირე რესპუბლიკების ყოველი მოქალაქე, მათ შორის საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებიც, წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეს. (227)

ამავე პრინციპებს ეყრდნობოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაც (მუხლი 31-ე). (258)

„სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება“ წარმოადგენდა სსრ კავშირის გამგებლობას (მუხლი 33-ე). (227)

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ დანაშაულთა კრიმინალიზაცია მოცემული იყო 1958 წელს მიღებულ „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში“. (253)

1960 წლის 30 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (ამოქმედდა 1961 წლიდან). (226) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ დანაშაულთა კრიმინალიზაციას ახდენდა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები“, ამ საკითხებთან დაკავშირებით ინკრიმინირებული ნორმების ანალოგიურად. (253)

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „საზღვარგარეთ გაქცევა“ განიხილებოდა სახელმწიფო ღალატად (მუხლი 65-ე) და ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილით დასჯას. „საზღვარგარეთ წასვლა, სსრ კავშირში შემოსვლა ან საზღვრის გადალახვა დადგენილი პასპორტის ან სათანადო ხელისუფალთა ნებართვის გარეშე“ წარმოადგენდა საქართველოს სსრ სსკ 84-ე მუხლით დასჯად ქმედებას. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის ან სხვა ფასეულობის უკანონო გადატანა-გადმოტანა

განიხილებოდა კონტრაბანდად და წარმოადგენდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას. (226)

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, 1995 წლის 24 აგვისტოს, მიღებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითადი კანონი, რომლითაც განისაზღვრება სახელმძღვანელო პრინციპები, რითაც ხდება პოლიტიკური მთლიანობის ფორმირება და სახელმწიფო ამოცანების ფორმულირება. (159, 59) სახელმწიფოს მიზნებად და ამოცანებად გამოცხადდა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი წყობილების, ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცება.

კონსტიტუციურ პრინციპებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობიდან გამომდინარე, 1998 წლის 17 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, რომლითაც დარეგულირდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სტატუსი. განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ნებისმიერ მონაკვეთზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი, დადგინდა სახელმწიფო საზღვრის დაცვის რეგულაციები. (179)

საქართველოს საზღვაო სივრცეში საქართველოს უფლებების, ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მიზნით 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“. (170) 1996 წლის 29 ოქტომბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „საქართველოს საჰაერო კოდექსი“. (193) საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული იქნა მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები.

სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ სწორ სამართლებრივ მიდგომას, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობას, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის უსაფრთხოების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი გლობალური საფრთხეების აცილების საქმეში, როგორებიცაა: საერთაშორისო ტერორიზმი, მიგრაცია, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ნარკოკონტრაბანდა, მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების, ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნივთიერების ექსპორტ-იმპორტი და სხვა. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მეზობელ რეგიონებში არსებული არასტაბილური ვითარება, დამაბული კრიმინალური ფონი დღის წესრიგში აყენებდა და აყენებს საქართველოს

კანონმდებლობის, მათ შორის სისხლის სამართლის კანონმდებლობის, არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანას, რამეთუ „სისხლის სამართლებრივ ნორმათა დახმარებით ხორციელდება საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, ყველა სახის საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან“. (37, 4)

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციამ, ოკუპაციის შედეგად ოკუპირებულ ზოლში საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის განხორციელების შეუძლებლობამ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულმა უკონტროლო მდგომარეობამ, ამ რეგიონებში კრიმინალის ზრდამ, ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზიდან მოქალაქეთა გატაცებამ, წამებამ, მკვლელობამ, ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციამ ქვეყნის წინაშე ახალი, საქართველოს კანონმდებლობისათვის მანამდე უცნობი გამოწვევები დააყენა.

1999 წლის 22 ივლისს მიღებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსი, (160) რითაც, სხვა ფუნდამენტურ ცვლილებებთან ერთად, გატარდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ღონისძიებები.

მოხდა საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებათა კრიმინალიზაცია. ამ მიმართულებით დაიხვეწა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ახალი გამოწვევებისა და წარმოშობილი საშიშროების შესაბამისად, კოდექსით ცალკეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინალიზაცია, როგორც ცოცხალი პროცესი, კვლავაც გრძელდება.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებათა კრიმინალიზაციისას, როცა სუბიექტს უკრძალავს ამა თუ იმ ქმედების შესრულებას, იყენებს ქცევის სავალდებულო ამკრძალავ წესებს.

სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული დანაშაული, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, წარმოადგენს სუბიექტის მიერ (საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე) ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას კულტურის ნორმებთან. (22, 56) ამ პრინციპით და პიროვნებისთვის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველობის შეფასებით ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინალიზაცია.



„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 41-ე, მეორე ნაწილი), „პირს, რომელმაც დაარღვია ან ცდილობდა დაერღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი, უკანონოდ გადაკვეთა ან ცდილობდა, გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, წესის დარღვევით გაიარა ან ცდილობდა, გაეელო სასაზღვრო გამტარი პუნქტი, გაიტანა ან ცდილობდა, გაეტანა ტვირთი, მასალა, დოკუმენტები და სხვა საგნები, ანდა სხვაგვარად დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონმდებლობა, ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. (179)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების დეფინიცია განსაზღვრული არ არის, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად შერაცხული ნებისმიერი ქმედება, რომლის შემადგენლობაც მიიღება მხოლოდ და მხოლოდ ამ ქმედების სახელმწიფო საზღვარზე ჩადენის შემთხვევაში. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნებისმიერი მუხლის დისპოზიციით ინკრიმინირებული ქმედება, რომლის დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციაც მიიღება

დისპოზიციამში მითითებული ქმედების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, კანონით დაცულ რომელ სამართლებრივ სიკეთეს (ობიექტს) ხელყოფს იგი).

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებანი, აღნიშნული დათქმიდან გამომდინარე, ფორმირდება რამდენიმე არაერთგვაროვან ძირითად ჯგუფად:

- 1) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაული;
- 2) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოძრავი ნივთის გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაული;
- 3) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუვალობასთან დაკავშირებული დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ინკრიმინირებული ზოგიერთი მუხლის დისპოზიციის შემადგენლობის კონსტრუქცია, მიუხედავად იმისა, თუ საითაა მიმართული

ობიექტი, სახეზეა დისპოზიციაში ჩამოყალიბებული ქმედების მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელების შემთხვევაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებული დანაშაული მოიცავს:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას (სსკ 344-ე მუხლი);

ბ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანას ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნას (სსკ 344<sup>1</sup>-ე მუხლი);

გ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევას (სსკ 322<sup>1</sup>-ე მუხლი);

დ) ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი, სსკ 143<sup>1</sup>-ე მუხლი);

ე) არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი, სსკ 143<sup>2</sup>-ე მუხლი);

ვ) ონო აღკვეთას (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; სსკ 143-ე მუხლი);

ზ) მძევლად ხელში ჩაგდებას (დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; სსკ 144-ე მუხლი);

თ) ადგილსამყოფლის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფას (სსკ 152-ე მუხლი);

ი) შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევასა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნას ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობას (სსკ 172<sup>1</sup>-ე მუხლი);

კ) საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობას (სსკ 323<sup>2</sup>-ე მუხლი).

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოძრავი ნივთის უკანონო გადაადგილებასთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს:

ა) ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტს ან/და რეექსპორტს (სსკ 207<sup>2</sup>-ე მუხლი);

ბ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევას (სსკ 214-ე მუხლი);

გ) ბირთვული მასალის ან მოწყობილობისადმი, რადიაქტიური ნარჩენისადმი, რადიაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობას, უკანონო ექსპორტ-იმპორტს (სსკ 230-ე მუხლი);

დ) საქართველოს ტერიტორიაზე რადიაქტიური, სახიფათო ნარჩენების ტრანზიტს ან იმპორტს, ან არასახიფათო ნარჩენების იმპორტს განთავსების მიზნით, ან სახიფათო ნარჩენების უკანონო ექსპორტს (სსკ 234-ე მუხლი);

ე) მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტს (სსკ 235-ე მუხლი);

ვ) „ქიმიური იარაღის შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული ტოქსიკური ქიმიკატის ან მისი პრეკურსორის უკანონო დამზადებას, შექმნას, შენახვას, ფლობას, განკარგვას, გამოყენებას, გადამუშავებას, გამოცდას, გადაცემას, გადაზიდვას, ექსპორტს, იმპორტს, ვაჭრობას ან მისდამი სხვა უკანონო მოპყრობას, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა უკანონო გარიგებას, მათ შორის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბრუნვის წესების დარღვევას (სსკ 235<sup>1</sup>-ე მუხლი);

ზ) ბირთვული მასალის, რადიაქტიური ნარჩენის, რადიაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევას, იმპორტ-ექსპორტს (სსკ 245-ე მუხლი);

თ) ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანას (სსკ 259<sup>4</sup>-ე მუხლი);

ი) ნარკოკონტრაბანდას (სსკ 262-263-ე მუხლები).

3. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუვალობასთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოდგენილია საქართველოს სიახლის სამართლის კოდექსის 345-ე მუხლით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა“.

აღნიშნულიდან იკვეთება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ოცზე მეტი მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეხებაშია სახელმწიფო საზღვართან, კანონით დადგენილი მისი რეჟიმის დაცვასთან. ეს დანაშაულები განთავსებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავში და ამ დანაშაულთა ჩადენით ზიანი ადგება კანონით დაცულ სხვადასხვა სიკეთეებს. ისეთ მნიშვნელოვან ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორებიცაა ადამიანის პირადი უფლება და თავისუფლება, მისი პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, სახელმწიფო ეკონომიკური ინტერესები, საზოგადოებრივი უშიშროება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სხვა.

სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული დანაშაული უმეტესწილად განზრახია, პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა.

აღნიშნულ დანაშაულთა სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი. განურჩევლად იმისა საქართველოს მოქალაქეა, სხვა ქვეყნის თუ იურიდიული პირი.

მოცემულ დანაშაულთა უმრავლესობა განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, მცირე ნაწილი - ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

კოდექსში მოცემულ დანაშაულის განმსაზღვრელ ნორმათა ნაწილს თან ერთვის წამახალისებელი და ახსნა-განმარტებითი ნორმები, პირველი მათგანი დამნაშავე პირს სტიმულს აძლევს, გამოსწოროს სამართლებრივი სიკეთისთვის მიყენებული ზიანი.

საქართველოს სსკ-ის 143<sup>3</sup>-ე მუხლს ახლავს შენიშვნა, რომლის მიხედვითაც, „პირი, რომელმაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ამის თაობაზე ინფორმაცია გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“. (160)

ახსნა-განმარტებითი ნორმები, დართული შენიშვნის სახით, აზუსტებს მოცემული დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს, მაგალითად: საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-143<sup>2</sup>-ე მუხლების შენიშვნა ამომწურავად განსაზღვრავს, თუ რა მიიჩნევა ტრეფიკინგის მიზნებისათვის ექსპლუატაციად, სსკ-ის 214-ე მუხლზე დართული შენიშვნა განმარტავს, თუ რა თანხა ითვლება დიდ და განსაკუთრებით დიდ ოდენობად და სხვა. (160)

ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დანაშაულის მოტივისა და მიზნის დადგენა, ასეთი რამ განსაკუთრებით აუცილებელი ხდება განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს. როგორც მოტივი, ასევე მიზანი სუბიექტურ მხარეს განეკუთვნებიან. მოტივი არის სუბიექტის შეცნობილი შინაგანი მამოძრავებელი ძალა, მისი ნება, რომელიც სუბიექტს უქმნის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ხოლო მიზანი არის სუბიექტის ქმედების სასურველი შედეგი, რომლის მიღწევასკენ მიისწრაფვის დამნაშავე.

საქართველოს სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე-143<sup>2</sup>-ე მუხლებისთვის (ადამიანით ვაჭრობა, (ტრეფიკინგი) დანაშაულის ჩადენის მოტივს მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მიზანი გადაწყვეტია და ქმედების მაკვალიფიცირებელია ექსპლუატაციის მიზანი. (160)

სახელმწიფო საზღვართან ურთიერთობის მქონე დანაშაულთა კვალიფიკაციისათვის უმეტეს შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის ხერხს, დანაშაულის ჩადენის ფორმას, რაშიც გამოიხატა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, იმ ხერხს, მეთოდს, რომელიც გამოიყენა დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად.

საბაჟო საზღვარზე ტვირთის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა (214-ე მუხლი) დისპოზიციაში პირდაპირ უთითებს, თუ რა ხერხის გამოყენების შემთხვევაში გვაქვს სახეზე დანაშაული. კერძოდ, საზღვარზე ტვირთის გადაადგილება დანაშაულებრივია, თუ ის ჩადენილია საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტების ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. ხოლო თუ ეს მოქმედება ჩადენილია ისეთი ხერხით, როგორცაა ძალადობა, ქმედება უკვე დამამძიმებლად ითვლება და სასჯელი მკაცრდება. (160)

საზღვართან დაკავშირებული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას სხვა დანაშაულთან ერთობლიობაში. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენა,

რომლისთვისაც პირი არ ყოფილა ნასამართლები, აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ორი ან მეტი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობას.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით მოიაზრება დანაშაულთა ერთობლიობის ორი სახე: რეალური და იდეალური ერთობლიობა. იდეალური ერთობლიობაა, როდესაც ერთი მოქმედების საშუალებით ხდება რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის განხორციელება. ხოლო რეალური ერთობლიობის შემთხვევაში რამდენიმე მოქმედებით რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება. (5, 327)

თუ პირი დააკავეს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დროს და ამავდროულად მას საქართველოში უკანონოდ შემოჰქონდა ნარკოტიკული საშუალება, მაშინ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა - საქართველოს სსკ-ის 262-ე და 344-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. თუ პირმა უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ჩაიდინა ქურდობა, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა - სსკ-ის 177-ე და 344-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ამ შემთხვევაში სახეზეა რეალური ერთობლიობა, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებით შემოიჭრა სახელმწიფო საზღვარზე, რა დროსაც გაანადგურა საზღვრის გამყოფი ნაგებობანი, ამ დროს სახეზე იქნება ერთი მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის იდეალური ერთობლიობა. (22, 15-18)

## თავი II. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მდგომარეობა და დინამიკა

### 2.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მდგომარეობა

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა გადაადგილების სტატისტიკური მონაცემებით, წლიდან წლამდე ინტენსიურად იზრდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად იზრდება ვიზიტორთა რაოდენობაც. გასული ათი წლის განმავლობაში საქართველოში შემოსული ვიზიტორების, უცხო ქვეყნის მოქალაქეების რიცხვი მილიონ-ნახევარი ადამიანიდან რვა მილიონზე მეტი ადამიანით გაიზარდა, კერძოდ, 2009 წელს საქართველოს სტუმრობდა 1 500 049 ვიზიტორი, 2010 წელს - 2 031 717 ვიზიტორი, 2011 წელს - 2 822 363, 2012 წელს - 4 428 221, 2013 წელს - 5 392 303, 2014 წელს - 5 515 559 ვიზიტორი, 2015 წელს ქვეყანაში შემოვიდა 5 901 094 ვიზიტორი, 2016 წელს - 6 360 503 ვიზიტორი, 2017 წელს - 7 554 936 ვიზიტორი, ხოლო 2018 წელს საქართველოს სტუმრობდა უცხოეთის 8 326 139 მოქალაქე, საიდანაც მხოლოდ 1 825 996 მოქალაქე გადაადგილდებოდა ტრანზიტით. 2009 წელთან შედარებით 2018 წელს ვიზიტორთა რიცხვი გაიზარდა 6 826 090 ერთეულით (455%), რაც საქართველოსადმი დაინტერესების ზრდის მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2018 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოქალაქეთა 23 994 766 შემოსვლა-გასვლის ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც 69% უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილების მაჩვენებელია. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N 256 დადგენილებით (212) დამტკიცებულია 50 ქვეყნის ჩამონათვალი, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით. აღნიშნულთან ერთად უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის მარეგულირებელი საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. (181) სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. უცხოელის საქართველოში შემოსვლა საქართველოს კანონმდებლობით ხორციელდება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებების გათვალისწინებით.

მიუხედავად სამართლებრივი გარანტიებით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მოქალაქეთა გადაადგილებისა, გვხვდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების შემთხვევები.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევით ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სტატისტიკური დინამიკის შესწავლა მნიშვნელოვანია სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინოლოგიური დახასიათებისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა საგამომიებო უწყების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 94 ფაქტი იქნა რეგისტრირებული 2014 წელს, რაც გულისხმობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების წესის დარღვევით ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. (დანართი N18)

ამავე წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 65 სისხლის სამართლის საქმე 81 პირის მიმართ, აქედან 5 საქმე 6 პირის მიმართ განხილული იქნა არსებითი განხილვით, ხოლო 60 საქმე, 75 პირის მიმართ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 64 საქმეზე, რაზეც მსჯავრი დაედო 80 პირს, ერთ სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი. მსჯავრდებული 80 პირიდან 12 პირი (15%) ქალია, ხოლო 68 პირი (მსჯავრდებულ პირთა 85%) მამაკაცია, 3 პირი (3, 75%) 18-დან 24წლამდე ასაკისაა, 57 პირის (71, 25%) ასაკი 30-49 წელია, ხოლო 11 პირი (13, 75%) 50 წლის და ზევით ასაკისაა. მსჯავრდებულთაგან 60 პირი (75%) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 20 პირი (25%) უცხო ქვეყნის მოქალაქე. (დანართი N 11)

2015 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 85 ფაქტი. (დანართი N 18) 9 ფაქტით ნაკლები 2014 წელთან შედარებით. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2015 წელს განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა 65 საქმე 74 პირის მიმართ, საიდანაც არსებითად განხილული იქნა 6 საქმე 8 პირის მიმართ, ხოლო 59 საქმე 66 პირისა განხილულია საპროცესო შეთანხმებით. 65 საქმეზე მსჯავრდებული იქნა 74 პირი, საიდანაც 6 პირი (8, 1%) ქალია, ხოლო 68 პირი (91, 89%) მამაკაცი. 51 პირი (68, 9 %) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 23 პირი (31, 08%) უცხო ქვეყნის

მოქალაქე. მსჯავრდებული 74 პირიდან სამი პირი (4%) 18-24 წლამდე ახალგაზრდაა, 7 პირი (9, 4%) 25-29 წლის ასაკისაა, 43 პირი (58, 1%) 30-49 წლისაა, ხოლო 21 პირი (28, 3%) 50 წლის და მეტი ასაკისაა. (დანართი N11)

2016 წელს საქართველოს შსს მონაცემებით, რეგისტრირებულია საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის 117 ფაქტი, 32 შემთხვევით \_ 37, 6% \_ მეტი 2015 წელთან შედარებით. (დანართი N18) საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნა აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ბრალდებით დაიწყო 117 პირის მიმართ (102) ამავე წელს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 92 სისხლის სამართლის საქმე (27 ერთეულით 29%-ით მეტი) 108 პირის მიმართ, 8 საქმე 10 პირის მიმართ განხილული იქნა არსებითად, ხოლო 84 საქმე 98 პირის მიმართ - საპროცესო შეთანხმებით. მსჯავრი დაედო 108 პირს, საიდანაც 84 პირი (77, 7%) მამაკაცია, ხოლო 24 პირი (13, 3%) ქალი, 1 პირი (0, 9%) 12-24 წლის ასაკისაა, 10 პირი (9, 2%) ასაკი 25-29 წელია, 69 პირი (63, 8%) ასაკით 30-49 წლისაა, ხოლო 28 პირი (25, 5%) ასაკი 50 წელი და მეტია. მსჯავრდებული 108 პირიდან 67 პირი (62%) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 41 პირი (37, 9%) უცხო ქვეყნის მოქალაქე. (დანართი N11)

2017 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრში რეგისტრირებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის 96 ფაქტი, (21 ერთეულით ნაკლები 2016 წელთან შედარებით) (დანართი N 18). საქართველოს პროკურატურამ, მოცემული მუხლით, 2017 წელს სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 82 პირის მიმართ. (102) საერთო სასამართლოების მიერ განხილული იქნა აღნიშნული დანაშაულის 68 სისხლის სამართლის საქმე 72 პირის მიმართ, 11 საქმე 11 პირის მიმართ განხილული იქნა არსებითად, ხოლო 57 სისხლის სამართლის საქმე 61 პირის მიმართ განხილულია საპროცესო შეთანხმებით. 68 სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრი დაედო 72 პირს, საიდანაც 10 პირი (13, 8%) ქალია, 62 პირი (86, 2%) მამაკაცი, მსჯავრდებულთა 61, 1% (44პირი) 30-49 წლის ასაკისაა, 30, 5% (22პირი) 50 წლის და 50 წელზე ზევით ასაკისაა, 5 პირის (6, 9%)



ასაკი 25-29 წელია, ხოლო 1 პირი (1, 3%) ასაკით 18-24 წლისაა, 37 პირი (51, 3%) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 35 პირი (48, 6%) უცხო ქვეყნის მოქალაქე. (დანართი N11)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წელს რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა) გათვალისწინებული დანაშაულის 121 ფაქტი, 25 ერთეულით (20, 6%) მეტი წინა წელთან შედარებით. (დანართი N18) საქართველოს პროკურატურამ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 113 პირის მიმართ. (108)

საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში 2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით განხილული იქნა 90 სისხლის სამართლის საქმე 103 პირის მიმართ. 14 საქმე 14 პირის მიმართ განხილულია არსებითად, 76 საქმე 89 პირის მიმართ განხილულია საპროცესო შეთანხმებით. მსჯავრი დაედო 103 პირს, საიდანაც 28 პირი (27, 1%) ქალია, ხოლო 75 პირი (72, 8%) მამაკაცი, 65 პირი (63, 1%) საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 38 პირი (36, 8%) უცხოელია, მსჯავრდებულებიდან 4 პირი (3, 8%) 18-24 წლისაა, 13 პირი (12, 6%) 25-29 წლის ასაკისაა, 55 პირი (53, 3%) ასაკი 30-49 წლისაა, ხოლო 50 წლის ან მეტი ასაკისაა 31 პირი (30%). (დანართი N11)

2014-2018 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით განაჩენის გამოტანით განხილული 380 სისხლის სამართლის საქმიდან 379 საქმეზე (99, 7%) დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენი, რაზეც მსჯავრი დაედო 437 პირს (ერთ საქმეზე ერთი პირი გამართლდა) მსჯავრდებულთაგან 80 პირი (18, 3%) ქალია, ხოლო 358 პირი (81, 9%) მამაკაცი, მსჯავრდებულთა უმრავლესობა 288 პირი (65, 9%) საშუალო ასაკის 30-49 წლისაა, 113 პირის (25, 8%) ასაკი 50 წელი და 50 წელზე მეტია, 56 პირი (12, 8 %) 18 დან 29 წლამდე ასაკისაა. საქართველოს მოქალაქეა 280 პირი (64%), ხოლო 157 პირი (36%) უცხო ქვეყნის მოქალაქე. (დანართი N11) საანგარიშო პერიოდში მამაკაცები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ქალებთან შედარებით 4, 4-ჯერ მეტად სჩადიოდნენ, ხოლო 2015 წელს მამაკაცთა მხრიდან აღნიშნული დანაშაულის ჩადენა 11, 3-ჯერ ჭარბობდა ქალთა ანალოგიურ დანაშაულებრივ ქმედებას. ამასთან, მსჯავრდებულ მამაკაცთა რაოდენობა წლების მიხედვით მცირე სხვაობას აჩვენებს ზრდისკენ, ხოლო მსჯავრდებულ ქალთა რიცხვი კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე ყოველწლიურად იზრდება და 2018 წელს 2014 წელთან შედარებით ასეთი გაიზარდა 2, 3-ჯერ (57, 1%).

აღნიშნული დანაშაულის სტატისტიკის უტყუარობაზე გავლენას ახდენს ლატენტური დანაშაული, რომელიც საქართველოს გარკვეული ტერიტორიების ოკუპირების გამო აღურიცხავია და ვერ ხვდება საქართველოში რეგისტრირებული ერთიანი დანაშაულის სტატისტიკურ ანგარიშებში, ასევე ის დანაშაული, რომელიც ხორციელდება საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საზღვრის მონაკვეთებზე, მაგრამ დამნაშავე ცალკეული სუბიექტები მაინც ახერხებენ სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის საგნის, საქონლის, მოძრავი ნივთის, ფარულ, მართლსაწინააღმდეგო გადატანა-გადმოტანას. (196) აღნიშნულის შესახებ ინფორმაციები მოიძიება მეზობელი ქვეყნების საინფორმაციო თუ ოფიციალურ უწყებთა შორის გამოქვეყნებულ მასალებში, როგორც სომხეთის, (228) ასევე აზერბაიჯანული (132) პრესის მასალებში.

2014-2019 წლებში საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207<sup>2</sup>-ე მუხლით, ცოცხალი გენმოდინფიცირებული ორგანიზმების იმპორტი ან/და რეექსპორტი, 234-ე მუხლით, საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი ან იმპორტი, ან არასახიფათო ნარჩენების იმპორტი განთავსების მიზნით, ან სახიფათო ნარჩენების უკანონო ექსპორტი, 235-ე მუხლით, მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი, 235<sup>1</sup>-ე მუხლით, „ქიმიური იარაღის შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული ტოქსიკური ქიმიკატის ან მისი პრეკურსორის უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, ფლობა, განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა, ან მისდამი სხვა უკანონო მოპყრობა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა უკანონო გარიგების, მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბრუნვის წესების დარღვევის, სსკ 245-ე მუხლით, ბირთვული მასალის რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევით, გათვალისწინებული დანაშაულის არც ერთი საქმე არ განხილულა. (დანართი N 20)

## 2.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სტრუქტურა და დინამიკა

### 2.2.1. მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სტრუქტურა და დინამიკა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებული დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათებისთვის ღირებულია ჯერ მისი სისხლის სამართლებრივი დახასიათება, აღნიშნული დანაშაულის დინამიკის, მისი გეოგრაფიულ არეალთან, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩამდენ პირთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დახასიათება.

სტატისტიკური ანალიზი საშუალებაა დამნაშავეობის კრიმინოლოგიური დახასიათებისა. დანაშაულთა დინამიკაში შესწავლა, მისი გეოგრაფიული განფენილობის წარმოჩენით, საშუალებას იძლევა დადგინდეს დანაშაულის მოტივი, დანაშაულზე მოქმედი ფაქტორები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები (39, 58) დანაშაულის მოტივაცია, სხვა დანაშაულებები დგინდება მისი შემადგენლობის მიხედვით.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებათა 2014-2018 წლების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკურ ცენტრში კომპლირებული მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა:

2014 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და ასეთის მცდელობის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 344-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სულ 219 სისხლის სამართლის საქმეზე, აქედან 150 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა დამთავრებული დანაშაულის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე, რომლის კოეფიციენტი

$$k = \frac{150}{219} * 100 = 68.4\% - \text{ოა}$$

69 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, -344-ე მუხლი) ფაქტზე.

$$k = \frac{69}{219} * 100 = 31,5\% \text{ ია}$$

2015 წელს გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის (საქართველოს სსკ 344-ე, 19, 344, -ე მუხლები) ფაქტზე წარმოებულ 229 სისხლის სამართლის საქმეზე 10 ერთეულით 4, 5%-ით მეტ სისხლის სამართლის საქმეზე 2014 წელთან შედარებით, აქედან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დამთავრებული დანაშაულის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 144 სისხლის სამართლის საქმეზე.

$$k = \frac{144}{229} * 100 = 62,8\% - \text{ია}$$

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის სსკ 19, 344-ე მუხლით ფაქტზე გამოძიება დაიწყო 85 სისხლის სამართლის საქმეზე.

$$k = \frac{85}{229} * 100 = 37,1\% - \text{ია}$$

2016 წელს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე გამოძიება წარიმართა სულ 242 სისხლის სამართლის საქმეზე (13 ერთეულით (5, 6%) მეტ სისხლის სამართლის საქმეზე 2015 წელთან შედარებით).

161 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო დამთავრებული დანაშაულის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე (საქართველოს სსკ 344-ე მუხლი).

$$k = \frac{161}{242} * 100 = 66.5\%$$

ხოლო 81 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

$$k = \frac{81}{242!} * 100 = 33.4\%$$

2017 წელს გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე, 19, 344-ე, მუხლებით ინკრიმინირებულ დანაშაულთა 515 სისხლის სამართლის საქმეზე, 273 სისხლის სამართლის საქმით (112, 8%) მეტ სისხლის სამართლის საქმეზე 2016 წელთან შედარებით.

399 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე.

$$k = \frac{399}{515!} * 100 = 77.4\%$$

ხოლო 116 შემთხვევაში გამოძიება წარიმართა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ 19, 344, -ე მუხლი) წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

$$k = \frac{116}{515!} * 100 = 22.5\%$$

2018 წელს გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე, 19, - 344, -ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის ფაქტზე წარმოებულ 391 სისხლის სამართლის საქმეზე, რაც 124 საქმით (24%) ნაკლებია 2017 წლის მაჩვენებელზე.

260 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე (საქართველოს სსკ 344-ე მუხლი)

$$k = \frac{260}{391!} * 100 = 66.4\%$$

131 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ 19, 344-ე მუხლი)

$$k = \frac{131}{391!} * 100 = 33.5\%$$

სულ 2014-2018 წლებში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის 1596 სისხლის სამართლის საქმეზე. საიდანაც

1114 შემთხვევაში გამოძიება შეეხო დამთავრებულ დანაშაულს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის (საქართველოს სსკ 344-ე მუხლი) მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

$$k = \frac{1114}{1596} * 100 = 69.7\%$$

ხოლო 482 შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ 19, 344-ე მუხლი) წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე.

$$k = \frac{482}{1596} * 100 = 31.7\%$$

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეთა რიცხვი, რომლებზეც გამოძიება დაიწყო 2017-2018 წლებში, შეადგენდა 906 ერთეულ სისხლის საქმეს, რაც 458 ერთეულით 102, (2%) აღემატება 2014-2016 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. (დანართი N3)

საქართველოს პროკურატურის მიერ 2016 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე, 19, 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 257 პირის მიმართ, 2017 წელს ანალოგიური მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 306 პირის მიმართ, რაც 49 ერთეულით (19%) აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

2018 წელს საქართველოს პროკურატურამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 363 პირის მიმართ, რაც 57 პირით (29, 17%) მეტია 2017 წლის მაჩვენებელზე. ხოლო 2016 წელს მაჩვენებელს აღემატება 106 ერთეულით (41, 2%) \_ით. (103)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განთავსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მხრიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტები ცვალებადია. მაგალითად, 2016-2017 წლების პირველი ნახევრის შედარებით იკვეთება შემდეგი მონაცემები: 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის მიერ საქართველოს სახელმწიფო

საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის 43 ფაქტი იქნა გამოვლენილი, საიდანაც დანაშაულის 25 ფაქტი (58, 1%) გამოვლინდა საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარე სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, 6 შემთხვევაში (13, 9 %) გამოვლინდა თბილისის აეროპორტში, 4-4 ფაქტი (9, 3-9, 3%) გამოვლინდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ყაზბეგის სასაზღვრო გამშვებ პუნქტსა და სომხეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე სადახლოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში, 2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის 297 ფაქტი გამოვლინდა და აქედან დანაშაულის უმეტესი ნაწილი, 216 შემთხვევა, (72, 7%) გამოვლინდა თბილისის აეროპორტში, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში გამოვლინდა დანაშაულის მხოლოდ (9%) - 27 შემთხვევა, ყაზბეგის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე გამოვლინდა დანაშაულის 32 ფაქტი (10, 7%), ხოლო სადახლოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე დანაშაულის არც ერთი ფაქტი არ ყოფილა გამოვლენილი. (102)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე სასაზღვრო გამტარი პუნქტების გარეთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ე. წ. „მწვანე ზოლით“ უკანონოდ გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის 85 ფაქტი იქნა გამოვლენილი 2014 წელს, რაზეც მხილებული იქნა 75 პირი, 2015 წელს გამოვლინდა აღნიშნული დანაშაულის 115 შემთხვევა, 30 ერთეულით (35, 2%) მეტი 2014 წელთან შედარებით, რაზეც მხილებული იქნა 173 პირი, 2014 წელს დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის (სასაზღვრო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით) უკანონოდ გადმოკვეთის 47 ფაქტი (55, 2%) და საქართველოდან მეზობელ ქვეყანაში გადასვლის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განთავსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის 38 ფაქტი (47, 7%). 2015 წელს გამოვლენილი 115 შემთხვევიდან 60 შემთხვევაში (52, 1%) ადგილი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის. ე. წ. „მწვანე ზოლის“ უკანონოდ გადაკვეთის ფაქტს, ხოლო 55 შემთხვევაში (47, 8%) დაფიქსირდა ამავე ვითარებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტი, რაზეც მხილებული იქნა 135 პირი. (102)

მოქალაქეობის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა ან ასეთის მცდელობის ფაქტზე მხილებულია სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის საქართველოს, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ეგვიპტის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ინდოეთის, უკრაინის, ნიგერიის, ბანგლადეშის, პოლონეთის, გერმანიის, ყირგიზეთის, სომალის და სხვა ქვეყნების მოქალაქეები. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე მხილებულნი არიან იმ ქვეყნის

მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში შემოსვლა და საქართველოდან გასვლა შეუძლიათ უვიზოდ შესაბამისი ვადითა და პირობებით, 2014-2018 წლებში მხილებულია თურქეთის 90, გერმანიის 2, უკრაინის 3, აზერბაიჯანის 16, სომხეთის 17, საუდის არაბეთის 13 მოქალაქე და სხვა. (დანართი N 4)

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე განხილული იქნა 104 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც მსჯავრი დაედო 124 პირს, ამავე წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე განხილული იქნა 51 სისხლის სამართლის საქმე, რაზედაც მსჯავრი დაედო 70 პირს. სულ განხილული 155 სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრი დაედო 194 პირს. ერთ სისხლის სამართლის საქმეზე სამი პირის მიმართ დადგენილ იქნა გამამართლებელი განაჩენი. (დანართი N 6)

2015 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტზე განხილულ იქნა 99 სისხლის სამართლის საქმე (5 საქმით ნაკლები 2014 წელთან შედარებით), რაზეც მსჯავრი დაედო 111 პირს (2014 წელთან შედარებით 13 პირით ნაკლებს). ამავე დანაშაულის მცდელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 344 მუხლით განხილული იქნა 60 სისხლის სამართლის საქმე (9 საქმით მეტი 2014 წელთან შედარებით), რაზეც მსჯავრი დაედო 60 პირს (10-ით ნაკლებ პირს 2014 წინა წელთან შედარებით) სულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე განხილული იქნა 160 სისხლის სამართლის საქმე (5 საქმით მეტი წინა წელთან შედარებით) 171 პირის მიმართ (2014 წელთან შედარებით 23-ით ნაკლები პირის მიმართ (11, 8%)). (დანართი N6)

2016 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტზე საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილულ 95 სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრი დაედო 119 პირს, ხოლო ამავე დანაშაულის მცდელობის ფაქტზე განხილული იქნა 65 სისხლის სამართლის საქმე, რაზეც მსჯავრი დაედო 143 პირს, ორ საქმეზე 4 პირს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ 25, 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, ხოლო 1 საქმეზე 2 პირის მიმართ დადგინდა გამამართლებელი განაჩენი. სულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე 2016 წელს



განხილული იქნა 162 სისხლის სამართლის საქმე (7 საქმით მეტი 2014 წელთან შედარებით და 2 საქმით მეტი 2015 წელთან შედარებით), რაზეც მსჯავრი დაედო 266 პირს 72-ით (37, 1%) მეტ პირს 2014 წლის პერიოდთან შედარებით და 95-ით (55, 5%) მეტ პირს 2015 წელთან შედარებით. (დანართი 6)

2017 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილული იქნა 88 სისხლის სამართლის საქმე (2014 წელთან შედარებით 16 საქმით ნაკლები, 2015 წელთან შედარებით 11 საქმით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 7 საქმით ნაკლები), რაზეც მსჯავრი დაედო 101 პირს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე განხილული იქნა 59 სისხლის სამართლის საქმე, რაზეც გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა იქნა 90 პირის მიმართ, 2 სისხლის სამართლის საქმეზე 2 პირის მიმართ დადგინდა გამამართლებელი განაჩენი. სულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე 2017 წელს განხილულია 147 სისხლის სამართლის საქმე, რაზედაც მსჯავრდებული იქნა 191 პირი, სამი პირით ნაკლები 2014 წელთან შედარებით, 2015 წელთან 20 პირით მეტი, ხოლო 2016 წელთან შედარებით 7 პირით ნაკლები. (დანართი N6)

2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილულ იქნა 135 სისხლის სამართლის საქმე, რაზეც მსჯავრი დაედო 167 პირს, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე (სსკ 19, 344-ე მუხლი) განხილული იქნა 89 სისხლის სამართლის საქმე, რაზეც გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა 156 პირის მიმართ, ერთ სისხლის სამართლის საქმეზე 3 პირი მსჯავრდებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24, 344-ე მუხლით, ხოლო 1 საქმეზე ორი პირის მიმართ ამავე კოდექსის 25, 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, სულ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ 344-ე 19, 344-ე 24, 344-ე და 25, 344-ე მუხლებით) განხილული იქნა 226 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა 328 პირის მიმართ, რაც 130 ერთეულით (100. 6%-ით) მეტია 2014 წლის მაჩვენებელზე (62 პირით (23, 3%) აღემატება 2016 წელს გაზრდილ მაჩვენებელსაც). (დანართი N6)

2014-2018 წლებში საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტზე განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა დინამიკა აჩვენებს, რომ ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება როგორც მოცემულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოში განხილვის მაჩვენებელი, ასევე იზრდება აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირთა რიცხვიც.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა უკანონო გადაკვეთით ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა დინამიკაზე გავლენას ახდენს ლატენტური დანაშაულის დასჯადი ქმედება, რომელიც სხვადასხვა მიზეზით სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ გახდა ცნობილი დამნაშავის მიერ სახელმწიფო საზღვრის ე. წ. „მწვანე ზოლის“ ფარულად გადაკვეთის, სასაზღვრო გამტარი პუნქტის ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით გავლით, სატრანსპორტო საშუალებებში წინასწარ მოწყობილ სამალავში მოთავსებით, საზღვრის უკანონო გადაკვეთით და სხვა გარემოებათა გამო. შესაბამისად, ასეთ ქმედებათა გამოვლენის შეუძლებლობის გამო ვერ აისახა ისინი სტატისტიკურ ანგარიშებში.

ლატენტური დანაშაულის ინფორმაციის წყარო მოცემულ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საქართველოს მომიჯნავე სახელმწიფო და სხვა უცხო სახელმწიფოთა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე დაფიქსირებული მონაცემები; (150) საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაკავებულ პირთაგან მიღებული ინფორმაცია; (154) მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია; (107, 113) ფიზიკურ პირთა მიერ გავრცელებული მათ ხელთ არსებული ინფორმაცია კონკრეტულ პირთა მხრიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის შესახებ და სხვა. მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ ადგილი აქვს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტებს, რომლებიც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სტატისტიკურ ანგარიშებში ვერ აისახა ასეთის საქართველოს ტერიტორიაზე დაუფიქსირებლობის გამო.

ლატენტური დანაშაულის კვლევით შეუძლებელია დადგინდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის რამდენი ფაქტის ასახვა ვერ ხერხდება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში, თუმცა კვლევის შედეგებით ლატენტური დანაშაულის მონაცემები სახელმწიფოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების რაიმე არსებით ზრდას არ იწვევს.

## 2.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტრუქტურა და დინამიკა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანთა უფლებების მასიური უხეში დარღვევების ფონზე, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს სახელმწიფო მოკლებულია შესაძლებლობას გააკონტროლოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამავალი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრი, ხელისუფლება საკანონმდებლო რეფორმების გატარების გზით და მის ხელთ არსებული სახელმწიფო აპარატის საშუალებით ცდილობს აღკვეთოს ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ტრეფიკინგის მსხვერპლთა საზღვარგარეთ გაყვანა. ასეთის მისაღწევად 2006 წლის 28 აპრილს (აქამდე 2003 წლის 6 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა მუხლი 143<sup>1</sup>, 143<sup>2</sup> და ამ კანონით შსს დაევალა ამ კანონის მიღება.) მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. კანონი განსაზღვრავს „საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს“. (183, 1)

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფორმებისა და გავრცელების მასშტაბის კვლევა და მონაცემთა შეგროვება. (183, 5)

რამდენადაც კრიმინალური სტატისტიკის საგანი მოიცავს დამნაშავეობას, დანაშაულის რაოდენობრივ მხარეს, სტრუქტურას და დინამიკას, (39, 6) ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანის აღკვეთასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს შესაბამის ორგანოთა მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების ურთიერთშეჯერება და ანალიზი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს ყველა საგამომიებო უწყების რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს ტრეფიკინგის დანაშაულმა მიაღწია პიკს და დაფიქსირდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანით ვაჭრობის 33 ფაქტი, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის მხოლოდ 15 ფაქტზე (45, 45%), მომდევნო 2007 წელს ტრეფიკინგის დანაშაული შემცირდა 4 ერთეულით (12, 1%) და დაფიქსირდა აღნიშნული დანაშაულის 29 ფაქტი, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 8 ფაქტზე. (27, 5%). 2008 წლიდან შეინიშნებოდა ტრეფიკინგის დანაშაულის კლების (ან გამოვლენის კლების) ტენდენცია. 2008 წელს დაფიქსირდა აღნიშნული დანაშაულის 10 შემთხვევა. 2006 წელთან შედარებით 23 ერთეულით (69, 69%) ნაკლები, დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის მხოლოდ 2 ფაქტზე (20%). 2008-2012 წლებში

დანაშაულის კლების ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა, 2009 წელს დაფიქსირდა აღნიშნული დანაშაულის 12 ფაქტი, 2010 წელს - 11 ფაქტი, 2011 წელს - 10 შემთხვევა, 2012 წელს - 5 შემთხვევა.

2015 წლიდან იწყება ტრეფიკინგის დანაშაულის ზრდის ტენდენცია, აღნიშნულ წელს ფიქსირდება მოცემული დანაშაულის 18 ფაქტი, საიდანაც დამნაშავე პირის დადგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დანაშაულის 3 ფაქტზე (15, 7%).

2016 წელს რეგისტრირებული იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 19 ფაქტი, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის ერთ ფაქტზე (5, 26%).

2017 წელს დაფიქსირდა ტრეფიკინგის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე და 143<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის 21 ფაქტი, აღნიშნული დანაშაულის ზრდა დაფიქსირდა 2 ერთეულით (10, 53%), დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 2 ფაქტზე (9, 52%). დანაშაულის 19 ფაქტზე (90, 48%) დამნაშავე პირი ვერ დადგინდა.

2018 წელს რეგისტრირებულია აღნიშნულ დანაშაულთა ასევე 21 შემთხვევა, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 5 ფაქტზე (23, 81%) დანაშაულის 16 შემთხვევაზე (76, 19%) დამნაშავე პირის დადგენა შესაძლებელი ვერ გახდა. (97)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე და 143<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული სისხლის სამართლის დანაშაულის 13 საქმეზე იწარმოებოდა გამოძიება. სისხლის სამართლებრივი დევნა 5 პირის მიმართ დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ხოლო 1 პირის მიმართ ამავე კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე, მათ შორის ერთი პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლით, ასევე 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე. სასამართლოში წარმართა 4 სისხლის სამართლის საქმე, აქედან ერთი საქმე, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე, ასევე 143<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის ფაქტზე. სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო 6 პირს. დაზარალებულად ცნობილი იქნა 7 პირი. (100)

2015 წელს სრულწლოვანისა და არასრულწლოვანის ტრეფიკინგის 18 სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება, აქედან 16 საქმეზე საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლით (88, 88%), ხოლო 2 საქმეზე (11, 11%) ამავე კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე. (2014 წელთან შედარებით გამოძიება წარიმართა 5 ერთეულით (27, 77%) მეტ სისხლის სამართლის საქმეზე). სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ 5 პირის მიმართ, აქედან ორი პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, ხოლო 3 პირის მიმართ ამავე კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. სასამართლოში წარმართული 3 სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული იქნა 3 პირი, აქედან 2 პირი სრულწლოვანთა ტრეფიკინგის, ხოლო ერთი პირი არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტზე, დაზარალებულად ცნობილი იქნა 8 პირი. (101)

2016 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ბრალდებით სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა 5 პირის მიმართ, 2017 წელს 6 პირის, ხოლო 2018 წელს 3 პირის მიმართ. არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>2</sup>-ე მუხლით (2016-2018 წლებში) სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელდა მხოლოდ 2018 წელს ოთხი პირის მიმართ. (102)

ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის დანაშაულთა საქმეების ანალიზით დგინდება, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის დროს საქართველო უმეტესწილად ფიქსირდება, როგორც ტრანზიტი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობა. (92)

საქართველო ასევე წარმოჩინდება, როგორც წარმოშობის სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან მის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი დანიშნულების სახელმწიფოში ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, (35, 272) ცალკეულ შემთხვევაში ქვეყანა ფიქსირდება, როგორც დანიშნულების სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ტრეფიკინგის მსხვერპლს უწევს ექსპლუატაციას (ძირითადად სექსუალურ ექსპლუატაციას). (13) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სტატისტიკური მონაცემები არ ასახავს აღნიშნული დანაშაულის რეალურ სურათს, დიდია ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი. ასეთი უმეტესწილად გამოწვეულია ობიექტური ფაქტორებით, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უმეტეს შემთხვევებში წარმოადგენს ტრეფიკინგის ტრანზიტულ სახელმწიფოს და ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაყვანა საზღვარგარეთ ხდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კანონიერი თუ უკანონო გადაკვეთის გზით,, აღნიშნული დანაშაულის გამოვლინება დაკავშირებულია სირთულესთან, რამდენადაც დანაშაული იწყება

საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და მთავრდება ტრეფიკინგის მსხვერპლის ექსპლუატაციით დანიშნულების ქვეყანაში, ასევე საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

მართალია, საქართველოს მოქალაქეთა გადაბირება ხდება საქართველოში, მაგრამ მათი ექსპლუატაცია მიმდინარეობს საზღვარგარეთ. ეს ფაქტებიც მცირე ოდენობით ხვდება ან საერთოდ არ ხვდება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თვალთახედვის არეში. ტრეფიკინგის დანაშაული ფიქსირდება გარკვეული პერიოდის, უმეტესად ხანგრძლივი დროის გასვლის შემდგომ, ტრეფიკინგის მსხვერპლის საქართველოში დაბრუნებისას. აღნიშნულით აიხსნება ტრეფიკინგის ფაქტზე რეგისტრირებულ დანაშაულზე დამნაშავე პირთა დადგენის სირთულე. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საქართველო წარმოჩინდება ტრეფიკინგის დანიშნულების სახელმწიფოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთა გარკვეული ნაწილი განიცდის ფსიქოლოგიურ სტრესს და არ აცხადებს სამართალდამცავ ორგანოებში მისი ექსპლუატაციის შესახებ. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ეხება მსხვერპლის სექსუალურ ექსპლუატაციას, ზოგადად ლატენტურობა ნებისმიერ ქვეყანაში ტრეფიკინგის დანაშაულის დამახასიათებელი თავისებურებაა, რის გამოც ტრეფიკინგის სტატისტიკა ასახავს მხოლოდ ჩადენილ დანაშაულთა გარკვეულ ნაწილს და შესაძლოა დანაშაულის უფრო დიდი ნაწილი არც დაფიქსირდეს.

შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა, ან ასეთ გაშვილებაში ხელშეწყობა, ან ასეთ გაშვილებაში მონაწილეობა მიმართულია ბავშვთა გაშვილების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულვებელყოფისკენ, (185) ზიანს აყენებს კანონით დაცულ ისეთ სიკეთეს, როგორცაა ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების მომწესრიგებელი კანონმდებლობა, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ „აკრძალულია შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარ შერჩევა და მისი სამშობიაროდ საქართველოს ფარგლების გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთი ქმედებისთვის ხელის შეწყობა“. (185)

ობიექტური მხრივ, ქმედება გამოიხატება:

ა) ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევასა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნაში;

ბ) ასეთი გაშვილების ხელშეწყობაში.

დანაშაული ფორმალურია, მისი დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია მუხლის დისპოზიციაში აღწერილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტი, ხოლო შედეგს - მოხდა თუ არა ფეხმძიმე ქალის საზღვარგარეთ გაყვანა და საზღვარგარეთ ბავშვის გაშვილება - მნიშვნელობა არ აქვს.

შერჩეული ფეხმძიმე ქალის მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა შეიძლება გამოიხატოს ფეხმძიმე ქალის საზღვარგარეთ გაყვანისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში, მათ შორის დასაშვებია ყალბი სამგზავრო დოკუმენტაციის დამზადება, არალეგალურად, ფეხმძიმე ქალის საზღვარგარეთ გასაყვან სატრანსპორტო საშუალებაში სპეციალური სამალავის მოწყობა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით ე. წ. „მწვანე ზოლის“ გადაკვეთის მარშრუტის შერჩევა და სხვა. მოახერხებს თუ არა დამნაშავე ფეხმძიმე ქალის საზღვარგარეთ ლეგიტიმური ან არალეგიტიმური გზით გაყვანას, ამას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1721-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. თუ დამნაშავემ შეძლო ორსული ქალის კანონით დადგენილი წესის დარღვევით საზღვარგარეთ გაყვანა, ან თუ ასეთი აღკვეთილი იქნება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის პროცესში, სახეზე იქნება დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. (27, 328)

სუბიექტური მხრივ, დამნაშავე მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. მას გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. ამასთან, ითვალისწინებს შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგომის შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა. დანაშაულის მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება ქმედების სასურველ შედეგს - დანაშაულის მიზანს, რომლის მიღწევასაც ცდილობს დამნაშავე, ასეთს ქმედების მოცემული მუხლით კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და ეს მიზანი აუცილებლად უნდა იყოს შვილად აყვანის მიზანი. თუ დამნაშავეს აღნიშნული მიზანი არ ამოძრავებს და მისი ქმედების სასურველი შედეგი არ არის ბავშვის, რომელიც უნდა დაიბადოს, შვილად აყვანა, არამედ სურს ბავშვის სხვა პირზე გაშვილება, ამ შემთხვევაში ის არის ამ ქმედების თანამონაწილე, თუ ქმედება მიმართულია ბავშვის გაყიდვისკენ, მაშინ გადასაწყვეტია დამატებით ადგილი ხომ არ აქვს არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი - საქართველოს სსკ 1432-ე მუხლი) ან არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებას შვილად აყვანის მიზნით.

დანაშაულის სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს 14 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი ფიზიკური პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია მარტივი დისპოზიციაა, დანაშაულებრივ ქმედებას ასახელებს რაიმე ნიშნების გარეშე საყოველთაოდ მოცემული ტერმინით „თავისუფლების უკანონო აღკვეთა“. (160) აღნიშნულისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია, რომლითაც ინკრიმინირებულია მძევლად ხელში ჩაგდება, აღწერილობითია, მასში დანაშაულის დასახელებასთან ერთად მოცემულია მისი დამახასიათებელი ნიშნები: „მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება“. (160)

მოცემული ორივე დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის პირადი თავისუფლება, მისი ხელშეუხებლობა, დამატებითი ობიექტის სახით შეიძლება მოცემული იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და სხვა.

ობიექტური მხრივ, თავისუფლების უკანონო აღკვეთა გამოიხატება ადამიანის თავისუფალი გადაადგილების კანონით მინიჭებული უფლების აღკვეთაში.

მძევლად ხელში ჩაგდება, ობიექტურად, ასევე გამოიხატება ადამიანის თავისუფლების უკანონო შეზღუდვით. ორივე დანაშაული შეიძლება განხორციელდეს, როგორც აქტიური მოქმედებით - ადამიანზე ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობით, ასევე შეიძლება ასეთი რამ განხორციელდეს ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის გარეშეც, მაგალითად, იმ სივრცის ჩაკეტვით, სადაც დაზარალებული იმყოფება.

ორივე დანაშაული ფორმალურია, ორივე დანაშაული დენადია. დანაშაული იწყება დაზარალებულის თავისუფალი გადაადგილების უფლების აღკვეთით, მისი შეზღუდვით და გრძელდება ამ ქმედების დამთავრებამდე. ამასთან, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის რაიმე მძიმე შედეგის დადგომას მნიშვნელობა არ აქვს.

სუბიექტური მხრივ, ორივე დანაშაული განზრახია, მისი ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით, რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა.

რაც შეეხება მოტივს და მიზანს - აღნიშნული განაპირობებს ამ ორ დანაშაულს შორის არსებით სხვაობას, თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მოტივს და მიზანს მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი შეიძლება იყოს: შურისძიება, ანგარება, ქორწინება, ეჭვიანობა და სხვა. ხოლო მძევლად ხელში ჩაგდების დისპოზიციით აღნიშნული



დანაშაული მიზანდამოკიდებულია. ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საკმარისი არ არის მძევლად ხელში ჩაგდება, არამედ აუცილებელია ასეთი რამ ხორციელდებოდეს „იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება“. (160) თავისუფლების უკანონო აღკვეთის დროს დამნაშავის მიზანი მიმართულია უშუალოდ თავისუფლება აღკვეთილ პირზე ზემოქმედებისკენ. დამნაშავე ცდილობს, ამ პირზე უშუალო ზემოქმედებით მიაღწიოს დასახული ინტერესის დაკმაყოფილებას. მაშინ, როცა მძევლად ხელში ჩაგდების დროს დამნაშავეს აინტერესებს არა დაზარალებულის, მძევლად აყვანილის პიროვნება, არამედ მძევლის გამოყენება მესამე პირზე ზემოქმედების მოსახდენად“. (22, 90)

თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მძევლად ხელში ჩაგდება, გარდა მიზნისა, შეიცავს სხვა არსებით განმასხვავებელ ნიშნებსაც. თავისუფლების უკანონო აღკვეთისას დამნაშავე ცდილობს, დაფაროს ფაქტების საჯაროობა, ხოლო მძევლად ხელში ჩაგდებისას დამნაშავე დაინტერესებულია, საჯარო გახადოს თავისი ქმედების მოტივი და მიზანი, რათა ამით გააძლიერონ ზემოქმედება მესამე პირებზე, აიძულოს ისინი, შეასრულონ ან თავი შეიკავონ რაიმე მოქმედების შესრულებისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე და 144-ე მუხლებისთვის ქმედების დამამძიმებელ გარემოებად, სხვა დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად, ინკრიმინირებულია დისპოზიციის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით. აღნიშნული ქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით, უკანონოდ, სახელმწიფო საზღვრის ე. წ. „მწვანე ზოლის“ გადაკვეთით, ყალბი დოკუმენტების წარდგენით, დაზარალებულის სატრანსპორტო საშუალებაში წინასწარმოწყობილ სამალავში განთავსებით, საზღვრის ძალადობრივი გადაკვეთით და სხვა. ასევე ასეთი რამ შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულის იძულებით, მასზე ფსიქიკური ზემოქმედებით, რათა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა განხორციელოს კანონიერად ამისთვის დადგენილი პროცედურების დაცვით. თუ რა ფორმით მოხდება სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთა და დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანა, კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს და ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა სახეზე იქნება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის გზით დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანის მომენტიდან, ხოლო თუ ასეთი რამ აღკვეთილ იქნა სახელმწიფო საზღვარზე დაზარალებულის კანონიერი თუ უკანონო გადაყვანისას, სახეზე იქნება აღნიშნულ დანაშაულთა მცდელობა. განსახილველ მუხლებში მითითებული ქმედების სხვა დამამძიმებელ გარემოებებს დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანის მოცემულობაზე

გავლენა არა აქვთ, მაგრამ თუ მოცემულ დანაშაულებრივ ქმედებებს თან ახლავს მუხლების დისპოზიციით განსაზღვრული არაერთი დამამძიმებელი გარემოება, ქმედება დაკვალიფიცირდება აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ 2014-2019 წლებში საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით და ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მძევლად ხელში ჩაგდება, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ასევე აღნიშნული კოდექსის 152-ე მუხლით ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა და 172<sup>1</sup> -ე მუხლი შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობების შექმნა ან ასეთ გამვილებაში ხელშეწყობა, არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ შესულა და აღნიშნულ პერიოდში სასამართლოების მიერ დასახელებული კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. (დანართი N 20)

2.2.3. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორი ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის სტრუქტურა და დინამიკა

საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში კომპლირებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს რეგისტრირებულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონო შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის და აღნიშნულით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 323 ფაქტი, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა (გაიხსნა) დანაშაულის 261 ფაქტზე (80, 8%). (დანართი N13) ამავე სამინისტროს მონაცემებით, დასახელებულ პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული

დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი უდრის 402 ერთეულს, (დანართი N14), რაც 79 ერთეულით აღემატება რეგისტრირებული (106) დანაშაულის მაჩვენებელს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში ფსიქოტროპული ნივთიერებების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერებების დიდი ოდენობით უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 27 ფაქტი იქნა რეგისტრირებული, რაზეც დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 22 ფაქტზე (81, 4 %). (დანართი N13) ამავე პერიოდში გამოძიება დაიწყო აღნიშნული დანაშაულის 54 სისხლის სამართლის საქმეზე. (27 ერთეულით მეტ სისხლის სამართლის საქმეზე რეგისტრირებულ დანაშაულთან შედარებით). (დანართი N 14)

საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ 196 დანაშაულზე სულ დაინიშნა 200 სასჯელი, აქედან 126 შემთხვევაში (63%) სასჯელის სახით დაინიშნა თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 5 შემთხვევაში (3. 9%) სასჯელის ვადა 15-დან 20-წლამდე თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა. (102)

2015 წელს რეგისტრირებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 272 ფაქტი, 51 ერთეულით, 15, 7 პროცენტით ნაკლები 2014 წელთან შედარებით, რეგისტრირებული დანაშაულის 272 ფაქტიდან დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 236 ფაქტზე (86, 7%). (დანართი N 13) ამავე პერიოდში გამოძიება დაიწყო აღნიშნული დანაშაულის 340 სისხლის სამართლის საქმეზე. (68 ერთეულით, 25%-ით მეტ საქმეზე რეგისტრირებულ დანაშაულთან შედარებით). (დანართი N14). 2015 წელს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ 162 დანაშაულზე დაინიშნა 166 სასჯელი, საიდანაც 97 შემთხვევაში (58, 4%) სასჯელის სახით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა. 6 შემთხვევაში (6, 18%) დაინიშნა 15- 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. (102) 2014 წელთან შედარებით დაინიშნა 34 ერთეულით (17%) ნაკლები სასჯელი და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნა 29 ერთეულით ნაკლებ შემთხვევაში. მოცემულ პერიოდში რეგისტრირებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 32 ფაქტი, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 30 ფაქტზე (93, 7%). (დანართი N13) გამოძიება დაიწყო 39 სისხლის სამართლის საქმეზე. (დანართი N14)

2016 წელს რეგისტრირებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 248 შემთხვევა, 24 ერთეულით (9, 4%) ნაკლები 2015 წლის პერიოდთან შედარებით, დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 204 ფაქტზე (82, 2%) (დანართი N13) გამოძიება დაიწყო 364 სისხლის საქმეზე, 102 ერთეულით (38, 9%) მეტ საქმეზე რეგისტრირებულ დანაშაულთან შედარებით. (დანართი N14)

საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის დევნა დაიწყო 195 პირის მიმართ. 2016 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ 158 დანაშაულზე დანიშნა 148 სასჯელი, საიდანაც 104 შემთხვევაში (70, 2%) სასჯელის სახით გამოტანილ იქნა თავისუფლების აღკვეთა, 7 შემთხვევაში (6, 7%) დაინიშნა 15-დან 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. (102)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 27 რეგისტრირებული ფაქტიდან 2016 წელს დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 26 ფაქტზე (9, 2%) (დანართი N13) გამოძიება დაიწყო 63 სისხლის სამართლის საქმეზე. (დანართი N14) პროკურატურამ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 16 პირის მიმართ. (102)

2017 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 200 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული, 48 ერთეულით (19, 3%) ნაკლები 2016 წლის პერიოდთან შედარებით, დამნაშავე პირი დადგინდა რეგისტრირებული დანაშაულის 164 ფაქტზე (82%). (დანართი N 13) გამოძიება დაიწყო 302 სისხლის სამართლის საქმეზე (102 ერთეულით მეტი რეგისტრირებულ დანაშაულთან შედარებით), (დანართი N14) პროკურატურის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 152 პირის მიმართ, 41 პირით (21 %) ნაკლები 2016 წელთან შედარებით. (92) ამავე პერიოდში საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ 127 დანაშაულზე დაინიშნა 129 სასჯელი, საიდანაც 106 შემთხვევაში (82, 1%) სასჯელის სახით განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, აქედან 4 შემთხვევაში (3, 7%) დანიშნული სასჯელი განისაზღვრა 15-დან 20 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით. (102)

2017 წელს რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 20 შემთხვევა, 7 ერთეულით (25, 9%) ნაკლები 2016 წელთან შედარებით დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 19 ფაქტზე (95%) (დანართი N 13)

2018 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით რეგისტრირებულია დანაშაულის 204 ფაქტი, 4 ერთეულით მეტი 2017 წელთან შედარებით და

119 ერთეულით (36, 8%) ნაკლები 2014 წელთან შედარებით. დამნაშავე პირი დადგინდა დანაშაულის 136 ფაქტზე 66, 6%. (დანართი N13) გამოძიება დაიწყო 407 სისხლის სამართლის ფაქტზე. (დანართი N14)

საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 165 პირის მიმართ. (92)

საქართველოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოების მიერ 109 დანაშაულზე დაინიშნა 122 სასჯელი, საიდანაც თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა 105 პირს (86%). 3 შემთხვევაში სასჯელის ვადით განისაზღვრა 15 - 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. (102)

ამავე პერიოდში რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 17 შემთხვევა, საიდანაც დამნაშავე პირი დადგინდა მხოლოდ დანაშაულის 8 ფაქტზე (47%). (დანართი N 13)

სულ 2014-2018 წლებში რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1247 ფაქტი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 123 შემთხვევა. სულ გამოვლენილია ნარკოკონტრაბანდის 1370 ფაქტი.

2014-2016 წლებში საქართველოში გამოვლინდა ნარკოტიკული საშუალების ტრანზიტით გადაზიდვის რამდენიმე ფაქტი, 2014 წელს გამოვლინდა 2700 კგ. ჰეროინის ირანიდან საქართველოს გავლით მოლდოვაში გადაზიდვის ფაქტი, 2015 წელს ირანიდან საქართველოს გავლით ბულგარეთში 43, 500 კგ. ჰეროინის, ბრაზილიიდან თურქეთში 32 კგ. კოკაინის და 44 კგ. მარიხუანის, ხოლო 2016 წელს ირანიდან საქართველოს გავლით ჰოლანდიაში 177, 750 კგ. ჰეროინის გადაზიდვის ფაქტი. (107, 12-14)

2017 წელს საქართველოს ადიქტოლოგთა ასოციაციის მიერ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სტატისტიკის კვლევისას დაასკვნეს, რომ, ნარკოტიკებთან დაკავშირებული კრიმინალური სტატისტიკა (ოფიციალურად დოკუმენტირებული რეგისტრირებული შემთხვევები) არ შეიძლება პირდაპირ განხილული იყოს, როგორც ნარკოდანაშაულის დონის მაჩვენებელი ან/და როგორც ქვეყანაში ნარკოტიკული ვითარების გაუმჯობესების ან გაუარესების მაჩვენებელი. (107)

თუნდაც ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აშკარაა, რომ ნარკოკონტრაბანდის დროს დიდია ლატენტური დანაშაულის რიცხვი, რომელიც ობიექტურ-სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოხვდა ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში, ასეთის ერთ-ერთი მაგალითია

ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით რეგისტრირებული სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით, 2014-2018 წლებში სულ რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით, (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) გათვალისწინებული 9649 დანაშაული. 2016-2018 წლებში რეგისტრირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) 239 ფაქტი, და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე-273<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება სსკ 273-ე მუხლი) ან/და იგივე ქმედება (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება სსკ 273<sup>1</sup>-ე მუხლი) - 11548 ფაქტი. (102)

სულ მოცემულ პერიოდში რეგისტრირებულია ზემოაღნიშნულ დანაშაულთა 21436 ფაქტი, ამავე პერიოდში, ასევე (2014-2018 წლებში) ლაბორატორიულად დადასტურებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების 44166 ფაქტი. (102) ყოველივე ზემო აღნიშნული არის არასრული სურათი ქვეყანაში ნარკოტიკების რეალური ბრუნვისა. დასახელებულის გათვალისწინებით, ნარკოკონტრაბანდის ხვედრითი წილია 3, 1 %, რაც შორსაა რეალური მდგომარეობიდან, ამასთან, ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტი მნიშვნელოვნად ჭარბობს ნარკოკონტრაბანდის რეგისტრაციის მონაცემებს.

ნარკოტიკების კონტრაბანდის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე, 263-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ლატენტურობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ დაბალია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გადატანა-გადმოტანის ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა უშუალოდ სახელმწიფოს საზღვარზე გამოვლენის ფაქტები, ასეთის გამოვლენა ხშირად ხდება საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა რეგიონში კონტრაბანდული გზით შემოტანილი ნარკოტიკული საშუალებების თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაციის პროცესში.

პროფესორ ჯ. ჯანაშიას შეფასებით, „მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორი სისტემების ფუნქციონირებისას ქვეყანაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების

ნახევარზე მეტი საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მოდის, საქართველოში კი საბაჟო სისტემაში ამ ხაზით მუშაობა ნაკლებად ეფექტურია, რადგან იქ ასეთი სტრუქტურები ან არ არსებობს, ან კიდევ დაბალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა“. (77, 15-25)

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქვეყანაში ნარკოტიკების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების უკანონო შემოტანის ძირითად შესაძლო მიმართულებებზე, - აეროპორტებში, საზღვაო პორტებში, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალზე კონტროლის გაძლიერებას, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ამოღების მიზნით საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის სამსახურის განვითარებისა და საჭირო საშუალებებით აღჭურვას. (72)

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების გადაზიდვა საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის გამოყენებით, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროსთვის (შუა აზიის რესპუბლიკებიდან, ავღანეთიდან ოპიატების და ჰაშიშის მწარმოებელი რეგიონებიდან საქართველოს გავლით ტვირთბრუნვის ზრდის პირობებში) სულ უფრო ხელსაყრელი ხდება. ნარკოტიკების ტრანზიტით გადაზიდვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულია და მოითხოვს ერთობლივ ღონისძიებათა გატარებას საქართველოს მოსაზღვრე და პარტნიორ ქვეყნებთან კოორდინაციით, თუმცა საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის გაუვრცელებლობის პირობებში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროსთვის ამ ტერიტორიების ნარკოტიკების ტრანზიტისთვის გამოსაყენებლად.

### 2.3. მსჯავრდებულ პირთა კრიმინოლოგიური დახასიათება

დამნაშავის პიროვნების დემოგრაფიულ ნიშნებს მათი განსხვავებული ბუნების გათვალისწინებით გარკვეული მოცემულობის შექმნა შეუძლიათ დამნაშავის პიროვნების დახასიათებისას. (4, 102)

ინფორმაციის მრავალი წყაროს მიხედვით, მოიძიება მასალები დანაშაულის გენდერული სხვაობის შესახებ, ამასთან, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა მცირდება დამნაშავის ასაკის ზრდასთან ერთად. თუმცა მამაკაცები ნებისმიერ ასაკში ქალებზე მეტად არიან მიდრეკილნი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისკენ. (12, 134-135)

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ფაქტზე (საქართველოს სსკ 344-ე, 19-ე 344-ე მუხლები) მსჯავრდებულ პირთა დახასიათება შემდეგ სურათს იძლევა.

2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე საქართველოს რაიონული, საქალაქო სასამართლოების მიერ მსჯავრდებული 124 პირიდან 99 პირი (79, 8%) კაცია, ხოლო 25 პირი (20, 12%) ქალი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, -344-ე მუხლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტზე მსჯავრდებული 70 პირიდან 58 პირი (82, 8%) მამაკაცია, ხოლო 12 პირი (17, 12%) ქალი, სულ აღნიშნულ დანაშაულთა ფაქტებზე მსჯავრდებული 194 პირიდან 157 პირი (80, 19 %) კაცია, ხოლო 37 პირი (19, 1%) ქალი. მამაკაცთა რიცხვი 120 პირით თითქმის ორჯერ აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს. (დანართი N9)

2015 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სსკ 344-ე 19, 344-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე სულ მსჯავრდებული იქნა 171 პირი, საიდანაც 143 პირი (83, 6%) კაცია, ხოლო 28 პირი (16, 4%) ქალი. ამ შემთხვევაში მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი ხუთჯერ აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს. (დანართი N9)

2016 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე მსჯავრდებული 266 პირიდან 237 პირი (89%) კაცია, ხოლო 29 პირი (10, 9%) ქალი, მოცემული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი 8, 1-ჯერ აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს.

2017 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე, 19-344-ე (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) მუხლებით მსჯავრდებული 191 პირიდან 168 პირი (87, 9%) მამაკაცია, ხოლო 23 პირი (10%) ქალი. მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი 7, 3-ჯერ აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს. (დანართი N 9)

2018 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის სულ მსჯავრდებული 167 პირიდან 149 პირი (86, 2%) კაცია, ხოლო 18 პირი (13, 7%) ქალი, მოცემული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი 6, 2-ჯერ აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს. (დანართი N9)



2018 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 122 ერთეულით (75, 7%), ხოლო მსჯავრდებულ ქალთა რიცხვი გაზრდილია 8 ერთეულით (21, 6%-ით). (დანართი N 9)

სულ 2014-2018 წლებში საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე მსჯავრდებული 1154 პირიდან 992 პირი (85, 9 %) მამაკაცია, ხოლო 162 პირი (14%) - ქალი. მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი 830-ით აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს.

$$k = \frac{830}{162} \times 100 = 512.3\%$$

რაც 512, 3%-ით აღემატება მსჯავრდებულ ქალთა რიცხვს. მოცემულ დანაშაულზე მსჯავრდებულ პირთა დინამიკა აჩვენებს, რომ როგორც მსჯავრდებულ ქალ, ასევე მსჯავრდებულ მამაკაცთა რიცხვი ყოველწლიურად (მცირე გამონაკლისის გარდა) იზრდება, ამასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის (მცდელობის) მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს ყოველწლიურად უფრო მეტჯერ სჩადიან მამაკაცები, ვიდრე ქალები.

2014 წელს საქართველოს საქალაქო (რაიონული) სასამართლოების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მეშვეობით სხვა ქვეყანაში უკანონოდ შეღწევის ან ასეთის მცდელობის ფაქტზე მსჯავრდებული პირებიდან 130 პირი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 64 პირი უცხო ქვეყნის მოქალაქე.

2015 წელს აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებული იქნა 99 საქართველოს და 72 უცხო ქვეყნის მოქალაქე.

2016 წელს მსჯავრდებული იქნა 91 საქართველოს და 152 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ასევე ერთი მოქალაქეობის არმქონე პირი.

2017 წელს მსჯავრი დაედო საქართველოს 78 მოქალაქეს, უცხო ქვეყნის 112 მოქალაქეს და ერთ მოქალაქეობის არმქონე პირს.

2018 წელს აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებული იქნა საქართველოს 118 და უცხო ქვეყნის 205 მოქალაქე. (დანართი N 9)

2014-2015 წლებში თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე ან ასეთის მცდელობაზე მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქეთა ხვედრითი წილი 62, 7%, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ხვედრითი წილი შეადგენდა 37, 2%-ს, 2016-2018 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად შეიცვალა და მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა ხვედრითმა წილმა შეადგინა მხოლოდ 38, 4%, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ხვედრითმა წილმა შეადგინა 60, 12%, რაც თითქმის 22% აღემატება მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვს. აღნიშნულით იკვეთება ტენდენცია, რომ 2016 წლიდან უცხო ქვეყნის მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს მოქალაქეებზე ხშირად სჩადიან საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, თუმცა უცხო ქვეყნის მსჯავრდებულ მოქალაქეთა ხვედრითი წილი 2014-2018 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის არ აღემატება 3, 4%-ს (92) მაშინ, როცა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედების, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის (მცდელობისათვის) მსჯავრდებულ უცხოელთა რიცხვი ამავე პერიოდში შეადგენს 52, 6%-ს.

2014-2018 წლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ან ასეთის მცდელობისათვის მსჯავრდებულ პირთა ასაკობრივი მონაცემების მიხედვით, 1154 მსჯავრდებულიდან 562 პირი, მსჯავრდებულთა 48, 7% 30-დან-49 წლის ასაკის მქონე პირია, 21, 9%, - 25-29 წლის ასაკის პირია, 18, 2%, - 18-24 წლის ასაკისაა, ხოლო 8 პირი (0, 6%) არასრულწლოვანი 14-17 წლის ასაკის მოზარდია. (დანართი N9)

## თავი III. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიზეზები

### 3.1. მოკლე შესავალი

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამომწვევ მიზეზებად და ხელშემწყობ გარემოებებად შეიძლება დასახელდეს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი: სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და სხვა.

სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამომწვევი მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: შიდა მიზეზები, რომლებიც დამახასიათებელია საქართველოსთვის და საერთო ზოგადი მიზეზები, რომლებიც საერთოა ყველა ქვეყნისათვის. თუ გავანალიზებთ ზემოაღნიშნულ დეტერმინანტებს, მივალთ დასკვნამდე, რომ საქართველოში არსებული მსაზღვრელები საერთოა ჩვენი მეზობელი ქვეყნების და არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებისათვის. ასეთია საერთო სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, უმუშევრობა, სიღარიბე, განათლების არასათანადო დონე, პროფესიონალი კადრების დეფიციტი, ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა და სხვა. შიდა მიზეზებიდან აღსანიშნავია საომარი მდგომარეობა რუსეთის ფედერაციასთან, ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და სხვა.

პრობლემის ახსნისას გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოს ტერიტორია კარიბჭეა აზიასა და ევროპას შორის, ის წარმოადგენს „სატრანსპორტო დერეფანს“. ტრანზიტული გადაზიდვების ზრდა წინაპირობას ქმნის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის გზით კონტრაბანდული ტვირთების გადაზიდვისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ავღანეთიდან და შუა აზიის რიგი ქვეყნებიდან.

### 3.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სოციალური მიზეზები

კრიმინოლოგიის მიზანია დანაშაულის, როგორც სოციალური ფენომენის, შესწავლა. დანაშაული სოციოლოგიური ინტერესის საგანია, რამდენადაც ის განსაზღვრულია სოციალური სფეროს შიგნით, არღვევს სოციალურ ნორმებს და იწვევს სოციალურ გამოხმაურებას. მაგალითად, იკვლევს, სიღარიბე თუ რატომ ახდენს ამხელა გავლენას ინდივიდის მსოფლმხედველობაზე, რომ ისინი ებმებიან დანაშაულებრივ საქმიანობაში. (12, 44-45)

სოციალურ დეტერმინაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რელიგიურ ფაქტორს. რელიგიური წარმოდგენები, რელიგიური ფანატიზმი სოციალური მოვლენაა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა განხორციელებას, ამ მხრივ XXI საუკუნის დასაწყისშივე წინა პლანზე წამოიწია რელიგიურმა ტერორიზმმა, რამაც გლობალური ხასიათი მიიღო. რელიგიური ტერორიზმი ზოგადად ტერორიზმის განსაკუთრებით საშიში ფორმაა, მას ახორციელებენ რელიგიური ფანატიკოსები და მიმართულია ნებისმიერი განსხვავებული რელიგიური თვალთახედვის ადამიანის მიმართ. მსოფლიოში ცნობილ რელიგიურ-ტერორისტულ ორგანიზაციებს: ჰესბოლას, ჰამას, ალ-ქაიდას XXI საუკუნეში დაემატა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი, სისხლიანი ტერორისტული ორგანიზაცია ერაყისა და ლევანტის სახელმწიფოდ წოდებული დაიშის საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალულმა ადამიანებმა დაიწყეს თავმოყრა და ტერორისტული საქმიანობის განხორციელება. ამ მხრივ არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კანონიერი თუ უკანონო გადაკვეთის გზით საქართველოს თუ უცხო ქვეყნის არაერთი მოქალაქე შეუერთდა ამ ტერორისტულ ორგანიზაციას, რის საპასუხოდაც სახელმწიფოს მიერ დასჯადი გახდა ტერორისტული საქმიანობის განხორციელების, მომზადების, ან მსგავს საქმიანობაში, ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, ან გადაკვეთის მცდელობა. (187, 323<sup>2</sup>-ე)

ზოგიერთი რელიგიური შემადგენლობის შეხედულებანი, წარმოდგენები ახალისებს ან მისაღებად თვლის ადამიანის ტრეფიკინგს, ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა: ადამიანის ყიდვა-გაყიდვა, მონურ მდგომარეობაში ჩაყენება და სხვა.

რიგ შემთხვევებში ეს გამოვლინებანი თვით ტრეფიკინგის მსხვერპლში არ იწვევს პროტესტის შეგრძნებას, რელიგიური წარმოდგენები ასევე დამაზიანებლად მოქმედებს

ნარკომანიაზე, ნარკოტიკების კონტრაბანდასა და სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამომწვევ სხვა დანაშაულზე.

ეკონომიკური ვითარება იაფ მუშახელზე მოთხოვნის ზრდა განაპირობებს სახელმწიფო საზღვარზე ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენას, როგორცაა მიგრანტთა უკანონო გადაყვანა, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს ტრეფიკინგს. არაჯანსაღი ეკონომიკური მდგომარეობა, საგადასახადო და საბაჟო გადასახადების შეუსაბამობა განაპირობებს სახელმწიფო საზღვარზე საქონლის საბაჟო წესების დარღვევით გადატანა-გადმოტანას, კონტრაბანდას. ეკონომისტები ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად მთლიანი შიდა პროდუქტის დონეს განიხილავენ. ოფიციალური მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცემულობამ საქართველოში 2015 წელს მიაღწია 33, 9 მილიარდ ლარს, 2016 წელს 35, 8 მილიარდ ლარს, 2017 წელს 40, 8 მილიარდ ლარს, ხოლო 2018 წელს 44, 6 მილიარდ ლარს, რეალური ზრდა პროცენტებში შესაბამისად მოცემული წლების მიხედვით შეადგენდა 3, 0%, 2, 9%, 4, 8% და კვლავ 4, 8%. (178) მთლიანი შიდა პროდუქტის აღნიშნული ტემპით ზრდა უმნიშვნელოდ აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რასაც საქართველოს ხელისუფლება თანმიმდევრულად ახორციელებს, ეკონომიკის გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რაც მომავალში დადებითად აისახება სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის დინამიკაზე.

გლობალიზაცია - „გლობალიზაცია ადამიანებს უკეთესი მომავლის იმედს უსახავს, მაგრამ ამავდროულად მას თან სდევს სერიოზული საფრთხე-დანაშაულის ინტერნაციონალიზაცია“.  
(7, 90)

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულები საფრთხეს ქმნის არა კონკრეტული ქვეყნისთვის, არამედ გლობალურად მსოფლიო საზოგადოებისთვის. „მე-20 საუკუნის საწყისი პერიოდიდან ორგანიზებული დანაშაული გამლიერდა, გასცდა რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის საზღვრებს და სახელმწიფოთაშორისო მოვლენად ჩამოყალიბდა“. (76, 99)

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული აქტიურად უკავშირდება სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რამდენადაც ასეთი ორგანიზაციები დაკავებულნი არიან ნარკოკონტრაბანდით, იარაღის კონტრაბანდით, ტრეფიკინგით, მიგრანტთა უკანონო გადაყვანით და სხვა დანაშაულებრივი საქმიანობის ფართო მოცულობით. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი ახორციელებს თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი თუ თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში არმყოფი მატერიალური თუ არამატერიალური საშუალების, სახელმწიფოთა საზღვარზე უკანონო

გადატანა-გადმოტანას. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო აქტიურად თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული იქნა არაერთი კონვენცია, რომელსაც შეუერთდა საქართველო და საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ დონეზე ბრძოლა გამოუცხადა ამ ყველაზე საშიშ კრიმინალურ გამოვლინებას.

ტექნოლოგიური მიზეზები - XX საუკუნიდან მოყოლებული, ტექნოლოგიური აღმავლობის დონემ დღემდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია, სახელმწიფო საზღვრის ფიზიკურად გადალახვის გარეშე დამნაშავეს მიეცა საშუალება ნებისმიერი სახის ელექტრონული საშუალებით მოახდინოს, მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო იმპორტი, დაამყაროს კავშირი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან, გადაიბიროს ტრეფიკინგის მსხვერპლი და სხვა.

სატრანსპორტო მიმოსვლის გამარტივებამ, საზღვაო, საჰაერო, თუ სახმელეთო გადაზიდვების არნახულმა ზრდამ დამნაშავეთა სამყაროს შეუქმნა შესაძლებლობა საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადაზიდოს სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკი თუ სხვა კონტრაბანდული საქონელი. ტრეფიკინგის მსხვერპლი თუ მიგრანტები და სხვა მათთვის საინტერესო პირები ფარულად გადაიყვანოს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გააადვილა საქონლის უკანონო იმპორტ-ექსპორტის განსახორციელებელი ყალბი დოკუმენტაციის დამზადება, ფიზიკურ პირთა საზღვარზე გადასაადგილებლად საჭირო ყალბი დოკუმენტაციის დამზადება და სხვა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა კრიმინოლოგიური ანალიზისათვის მნიშვნელოვანი მონაცემები მიიღება საზოგადოების ანკეტური გამოკითხვით. ასეთი გამოკითხვა სახელმწიფო სტრუქტურების ოფიციალურ სტატიკური მონაცემებისაგან დამოუკიდებელ ინფორმაციას იძლევა დანაშაულის ცალკეული სახეების დომინირების შესახებ, გადმოგვცემს საზოგადოების, ცალკეული პიროვნების სუბიექტურ ხედვას. სახელმწიფო საზღვარზე არსებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი გარემოებების შესახებ, გვაწვდის მათ აზრს დანაშაულის პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.

გამოკითხვა ჩატარდა დახურული ანკეტების გამოყენებით, (დანართი N1) რესპოდენტებს დასმული კითხვის ირგვლივ მათი პოზიციის დასაფიქსირებლად მიეწოდა რამდენიმე სავარაუდო პასუხი. (დანართი N2)

კვლევისას გამოყენებული იქნა ანონიმურობის მეთოდი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 380 რესპოდენტმა, დაცული იქნა გენდერული თანასწორობა, გამოიკითხა 190 მდედრობითი და 190 მამრობითი სქესის ადამიანი, საიდანაც 167 პირი (43, 9%) 18-25 წლისაა, 90 პირი (23, 6%) 25-35 წლისაა, რესპოდენტთა 30% - 114 პირი 35-55 წლისაა, 55 წლის ასაკს გადაცილებულია 9 რესპოდენტი (2, 5%). თბილისის მაცხოვრებელია 230 რესპოდენტი (60, 5%) რეგიონების მაცხოვრებელია 150 რესპოდენტი (39, 4%).

გამოკითხულთაგან 167 რესპოდენტი (43, 9%) სტუდენტია, უმუშევარი ან დროებით უმუშევარია, 34 რესპოდენტი (8, 9%), 23 რესპოდენტი კერძო სტრუქტურაშია დასაქმებული (6%), ინდივიდუალური მეწარმე ან კერძო ბიზნესის მფლობელია 147 რესპოდენტი (38, 6%), პენსიონერია 9 პირი (2, 3%). ყველა რესპოდენტმა უარყო ნასამართლეობა.

რესპოდენტისთვის წარდგენილ ანკეტაში შეტანილი იყო 12 კითხვა, სავარაუდო პასუხებით (დანართი 2) კითხვები იყო შემდეგი შინაარსის:

1. თქვენი აზრით, დაცულია თუ არა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენისაგან?
2. თქვენი აზრით, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის თუ არა სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენა?
3. თქვენი აზრით, რა არის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მაპროვოცირებელი ძირითადი ფაქტორი?
4. თქვენი აზრით, ქვეყნის შიდა პრობლემებიდან ყველაზე მეტად რომელი განაპირობებს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენას?
5. თქვენი შეხედულებით, ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დანაშაულის ჩადენა იწვევს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას?
6. როგორ მიგაჩნიათ, ხერხდება თუ არა სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი ყოველი დანაშაულის სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენა?
7. თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელია ლატენტური დანაშაული, დანაშაული, რომელთა გამოვლენაც სახელმწიფო საზღვარზე ყველაზე მეტად ვერ ხერხდება?
8. როგორ შეაფასებთ სახელმწიფო ორგანოების ბრძოლის ეფექტურობას სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით?
9. თქვენი აზრით, სახელმწიფოს რომელი ორგანოების ფუნქციური მოვალეობაა სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღკვეთა?
10. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სახელმწიფო საზღვარზე დანაშაულის პრევენცია-აცილების კუთხით, რომელი ორგანოს საქმიანობას გამოარჩევდით დადებითად?

11. თქვენი შეხედულებით, რა ეფექტური ღონისძიებების გატარებაა საჭირო სახელმწიფო საზღვარზე დანაშაულებრივ ქმედებათა აღსაკვეთად?

12. უშუალოდ სახელმწიფო საზღვარზე რომელი ღონისძიებების გატარება შეუწყობს ხელს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთას? (დანართი N 2)

კვლევის შედეგების დაჯამებით მივიღეთ შემდეგი მოცემულობა.

შედეგების ანალიზი.

პირველ კითხვაზე, თქვენი აზრით, დაცულია თუ არა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენისაგან, რესპოდენტისთვის მიწოდებული იყო ხუთი სავარაუდო პასუხი:

- დაცულია სრულყოფილად;
- დაცულია დამაკმაყოფილებლად;
- არასაკმარისადაა დაცული;
- არ არის დაცული;
- მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დაცულია დამაკმაყოფილებლად. ამ მოცემულობას აფიქსირებს 275 რესპოდენტი (72, 3%), 12 რესპოდენტის (3, 1%) აზრით, საზღვარი დაცულია სრულყოფილად, 61 რესპოდენტს (16%) მიაჩნია, რომ სახელმწიფო საზღვარი არასაკმარისად არის დაცული, 32 რესპოდენტს (8, 4%) გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. 18-25 წლის ყველა ახალგაზრდა და 25-55 წლის ასაკის რესპოდენტთა 52, 9 %-ს მიაჩნია, რომ სახელმწიფო საზღვარი დამაკმაყოფილებლადაა დაცული. ხოლო 55 წლის ასაკს ზევით რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არ არის დაცული.

მეორე კითხვაზე, თქვენი აზრით, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის თუ არა სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენა?

ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სავარაუდო პასუხები:

- ა) პრობლემა მნიშვნელოვანია;
- ბ) პრობლემა არც თუ მნიშვნელოვანია;
- გ) პრობლემა უმნიშვნელოა.

აქ რესპოდენტთა აზრი ერთმნიშვნელოვანია, მათ 95, 5%-ს 363 რესპოდენტს მიაჩნია, რომ პრობლემა მნიშვნელოვანია, დანარჩენ რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ პრობლემა არც თუ ისე



მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ასეთი პოზიციის ახსნის საფუძველი დაფიქსირდა ქვემოთ დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებში.

შემდეგ შეკითხვაზე, თქვენი აზრით, რა არის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა მაპროვოცირებელი ძირითადი ფაქტორი? მიწოდებული იყო შემდეგი სავარაუდო პასუხები:

- ა) საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ბ) რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- გ) მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობით გამოწვეული მიგრაციული პროცესები;
- დ) ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთა ზრდა;
- ე) მიჭირს პასუხის გაცემა.

მოცემულ კითხვაზე 314 რესპოდენტს (82, 6%), მათ შორის ყველა მეწარმესა და ბიზნესში დასაქმებულ პირს აღნიშნულის მიზეზად მიაჩნია რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რესპოდენტთა სხვა ნაწილს მიაჩნია, რომ მიზეზი საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. აღნიშნული შეიძლება აიხსნას სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებით, მეზობელ თურქეთის სახელმწიფოში ლტოლვილთა დიდი ნაკადის შესვლით და სხვა რთული ეკონომიკური მდგომარეობით, რუსეთის მიერ საჰაერო ფრენების აკრძალვით განპირობებული ტურისტული ნაკადების შემცირების მდგომარეობით და სხვა გარე ფაქტორებით, რამაც იმოქმედა ლარის გაუფასურებაზე და დაძაბა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მეოთხე კითხვაზე, თქვენი აზრით, ქვეყნის შიდა პრობლემებიდან ყველაზე მეტად რომელი განაპირობებს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენას? მიწოდებული იყო შემდეგი სავარაუდო პასუხები:

- ა) ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა;
- ბ) მიგრაცია-ემიგრაცია;
- გ) ნარკომანია;
- დ) ტრეფიკინგი;
- ე) კონტრაბანდა;
- ვ) სხვა ფაქტორები;

ზ) მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა 58, 9%-ს, 244 რესპოდენტს, მათ შორის მეწარმე-ბიზნესმენტთა 85, 7%-ს, (126 პირს) და 87 სტუდენტს (52%) მიაჩნია, რომ მიზეზი ოკუპირებული ტერიტორიების არსებობაა. 103 რესპოდენტს (27, 1%) მიაჩნია, რომ მიზეზი ნარკომანიაა, 16 რესპოდენტი, 4, 2%, ფიქრობს მიზეზი ზოგადად კონტრაბანდაა, 2 ქალბატონ რესპოდენტს (0, 5%) მიაჩნია ტრეფიკინგი, ხოლო დანარჩენი რესპოდენტები უთითებენ სხვა ფაქტორს.

მოცემულ შემთხვევაშიც რესპოდენტთა პასუხები გამოწვეულია უმეტესად ქვეყანაში შექმნილი ვითარებით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის გაუვრცელებლობის გამო საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დიდი ნაწილის უკონტროლოდ დატოვების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიებზე დანაშაულის კატასტროფული ზრდით, ადამიანის უფლებათა ყოველ წუთიერი დარღვევით, კრიმინალურ ელემენტთა არათუ დაუსჯელობით, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორის ქვეშ ყოფნით. ასევე მედია საშუალებებით სისტემატიურად მოწოდებული ინფორმაციით ნარკომოვაჭრეების გამოვლენისა და დაკავების, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებით ამოღების ფაქტების დემონსტრირებით.

შემდეგ კითხვაზე, თქვენი შეხედულებით, ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დანაშაულის ჩადენა იწვევს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მიწოდებული იყო შემდეგი პასუხები:

ა) ნარკოკონტრაბანდა;

ბ) ტრეფიკინგი;

გ) მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა;

დ) ზოგადად კონტრაბანდა;

ე) საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა;

ვ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა;

ზ) მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა უმეტესობას, 133 რესპოდენტს, (35%), მიაჩნია ზოგადად კონტრაბანდა. ამ შემთხვევაშიც აღნიშნულ პასუხს მხარს უჭერს მეწარმე-ბიზნესმენტთა 82, 3%, (121პირი), ნარკოტიკებით კონტრაბანდას აფიქსირებს რესპოდენტთა 31% (118 რესპოდენტი), რომელიც მოიცავს ყველა ასაკის რესპოდენტს. 56 რესპოდენტი (14, 7%) უთითებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევას. 47 რესპოდენტის (12, 3%), აზრით ასეთია

მიგრანტთა უკანონო გადაყვანა. საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობას აფიქსირებს 19 რესპოდენტი (5%), ორი რესპოდენტი (0, 5%) აფიქსირებს ტრეფიკინგს, ხოლო 5 რესპოდენტს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

აღნიშნული პოზიცია შეიძლება აიხსნას რესპოდენტისათვის მიწოდებული იმ ინფორმაციით, რომელსაც ისინი ღებულობენ სხვადასხვა საშუალებით, სამთავრობო სტრუქტურების ოფიციალური განცხადებით, მედიის მიერ მოწოდებული თუ ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციით, საზოგადოებაში გავრცელებული აზრით თუ სხვა.

მეექვსე შეკითხვაზე, როგორ მიგაჩნიათ, ხერხდება თუ არა სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი ყოველი დანაშაულის სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენა, სავარაუდო პასუხებად მითითებული იყო:

- ა) ხერხდება სრულად;
- ბ) ხერხდება ნაწილობრივ;
- გ) ხერხდება ცუდად;
- დ) მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა 74, 4%- 284 რესპოდენტს მიაჩნია, რომ ხერხდება ნაწილობრივ, 56 რესპოდენტს (14, 7 %) აზრით, ასეთი ხერხდება ცუდად, ხოლო სხვა რესპოდენტებს გაუჭირდათ კითხვაზე პასუხის გაცემა.

შემდეგი შეკითხვა, თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელია ლატენტური დანაშაული, დანაშაული, რომელთა გამოვლენაც სახელმწიფო საზღვარზე ყველაზე მეტად ვერ ხერხდება? სავარაუდო პასუხებად მიწოდებული იყო:

- ა) ტრეფიკინგი;
- ბ) მიგრანტთა უკანონო გადაყვანა;
- გ) ნარკოკონტრაბანდა;
- დ) ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა;
- ე) მიჭირს პასუხის გაცემა.

სავარაუდო პასუხებიდან 203 რესპოდენტმა (53, 4%) მიუთითა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა, 197 რესპოდენტმა (40, 6%) მიუთითა ნარკოკონტრაბანდა, 36 რესპოდენტმა (9, 4%) მიუთითა მიგრანტთა უკანონო გადაყვანაზე, ხოლო ყველა სხვა რესპოდენტმა, 34 პირმა (8, 9%) მიუთითა ტრეფიკინგზე.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ უთითებს ყველა ასაკისა და სქესის რესპოდენტი. ნარკოტიკთა კონტრაბანდას ძირითადად აფიქსირებენ 18-35 წლის ასაკის რესპოდენტები, ტრეფიკინგზე უთითებენ მდედრობითი სქესის რესპოდენტები, მიგრანტთა უკანონო გადაყვანაზე პასუხის დამაფიქსირებელ რესპოდენტთა 86% (31 რესპოდენტი) 35-55 ასაკის პირია.

აღნიშნული მოცემულობა, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ რესპოდენტთა უმრავლესობას გათვითცნობიერებული აქვს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კონტროლის განხორციელების შეუძლებლობის გამო ვერ ვლინდება ყველა ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ფიქსირდება საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გაუკონტროლებელი მონაკვეთიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე პირთა უკანონო შეღწევის დროს, ასევე რესპოდენტთა დიდ ნაწილს აქვს უტყუარი ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე, დედაქალაქ თბილისში თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის შესახებ და მათ გააზრებული აქვთ, რომ ასეთის შემოტანა საქართველოში განხორციელებულია უკანონოდ, რისი აღკვეთაც უშუალო სასაზღვრო მონაკვეთზე სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით ვერ განხორციელდა.

შეკითხვაზე, როგორ შეაფასებთ სახელმწიფო ორგანოების ბრძოლის ეფექტურობას სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მითითებული იყო შემდეგი სავარაუდო პასუხები:

- ა) სრულყოფილად;
- ბ) საშუალოდ;
- გ) უარყოფითად;
- დ) მიჭირს პასუხის გაცემა.

აღნიშნული შეკითხვა მნიშვნელოვანწილად ეხმიანებოდა რესპოდენტისთვის დასმულ პირველ კითხვას სახელმწიფო საზღვრის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან დაცვის ხარისხთან დაკავშირებით. მოცემულ კითხვაზეც პასუხი თითქმის პირველი შეკითხვის პასუხების იდენტური მივიღეთ, 265 რესპოდენტს (69, 7%) სახელმწიფო ორგანოების ბრძოლის ეფექტურობა შეაფასებული აქვს საშუალოდ, 10 რესპოდენტი (2, 6%) ასეთს სრულყოფილად აფასებს, 60 რესპოდენტი ასეთს აფასებს უარყოფითად, ხოლო სხვა რესპოდენტებს უჭირთ კითხვაზე პასუხის გაცემა.

მეცხრე შეკითხვაზე, თქვენი აზრით, სახელმწიფოს რომელი ორგანოების ფუნქციური მოვალეობაა სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა-აღკვეთა, პასუხებზე:

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს;

ბ) ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურს;

გ) თავდაცვის სამინისტროს;

დ) ყველას ერთად;

ე) მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა უმრავლესობამ 207 რესპოდენტი (54, 4%) მიუთითა „ყველას ერთად“ 132 რესპოდენტმა (34, 7%) მიუთითა შემოსავლების სამსახური. აღსანიშნავია, რომ ეს პასუხი დააფიქსირეს მეწარმე-ბიზნესმენებმა, რესპოდენტებმა, რაც მიუთითებს, რომ მათ, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ამ უწყების საქმიანობად მიიჩნიეს, 31 რესპოდენტი (8, 1%) უთითებს განცალკევებულად შინაგან საქმეთა სამინისტროზე. ამ რესპოდენტთა ასაკი 18-35 წელია, 9 რესპოდენტი (ყველა მათგანი პენსიონერია) უთითებს თავდაცვის სამინისტროს, მხოლოდ ერთ რესპოდენტს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

შემდეგ შეკითხვაზე, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან სახელმწიფო საზღვარზე დანაშაულის პრევენცია, აცილების კუთხით, რომელი ორგანოს საქმიანობას გამოარჩევდით დადებითად, მითითებული სავარაუდო პასუხებიდან:

ა) სასაზღვრო პოლიცია;

ბ) შემოსავლების სამსახური;

გ) თავდაცვის სამინისტრო;

დ) არც ერთის;

ე) მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა უმრავლესობამ - 362 რესპოდენტმა (95, 2%) მიუთითა - მიჭირს პასუხის გაცემა, 9 რესპოდენტმა (2, 3%) მიუთითა არც ერთის, ხოლო ასევე 9 რესპოდენტმა მიუთითა სასაზღვრო პოლიცია, აღნიშნული იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ზოგადად დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით და ვერ უთითებენ

ვერც ერთ ორგანოზე, რომელიც სახელმწიფო საზღვარზე მოსალოდნელი დანაშაულის პრევენციას ახდენს.

კვლევის მეთერთმეტე კითხვა, თქვენი შეხედულებით, რა ეფექტური ღონისძიებების გატარებაა საჭირო სახელმწიფო საზღვარზე დანაშაულებრივ ქმედებათა აღსაკვეთად, სავარაუდო პასუხებად მითითებული იყო:

- ა) კანონის გამკაცრება;
- ბ) საზღვარზე კონტროლის გაძლიერება;
- გ) ორივე ერთად.

რესპოდენტთა უმრავლესობამ, 323-მა რესპოდენტმა, (85%) მიუთითა სასაზღვრო კონტროლის გამკაცრება, 21 რესპოდენტს (5, 5%), რომელთაგან ყველა 35 წლის ასაკის ზევით მამაკაცია, მიაჩნია, რომ პრობლემას მოგვარებს კანონის გამკაცრება, ხოლო დანარჩენმა რესპოდენტებმა მიუთითეს, რომ საკითხის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს კანონის გამკაცრება და საზღვარზე კონტროლის გაძლიერება ერთობლიობაში.

აღნიშნული შედეგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსახლეობას კანონის სიმკაცრე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ და ძირითად საშუალებად არ მიაჩნიათ, ისინი ჰუმანურად უდგებიან პრობლემის მოგვარებას და მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო საზღვარზე დადგენილი წესების შესრულება და ასეთზე კონტროლის გაძლიერება უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთას.

ბოლო მეთორმეტე კითხვაზე, უშუალოდ სახელმწიფო საზღვარზე, რომელი ღონისძიებების გატარება შეუწყობს ხელს მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთას, მითითებული სავარაუდო პასუხებიდან:

- ა) სახელმწიფო საზღვრის ბორდერიზაცია და ტექნიკური აღჭურვა ელექტრონული სისტემებით;
- ბ) მეზაჟეთა და მესაზღვრეთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- გ) მოსაზღვრე სახელმწიფოთა სასაზღვრო სამსახურებთან კოორდინაციის გაძლიერება;
- დ) მიჭირს პასუხის გაცემა.

რესპოდენტთა პასუხები თანაბრად გადანაწილდა პირველ ორ პასუხზე. 182 რესპოდენტს (47, 8%) მიაჩნია, რომ საუკეთესო ღონისძიება იქნება სახელმწიფო საზღვრის ბორდერიზაცია და ტექნიკური აღჭურვა, 176 რესპოდენტს (46, 3 პროცენტი) კი მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს

მეზაჟეთა და მესაზღვრეთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა. 22 რესპოდენტს კი მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მეზობელ სახელმწიფოთა სასაზღვრო სამსახურებთან კოორდინაციის გაძლიერება.

გამოკითხვის შედეგების შეჯამებით გამოიკვეთა, რომ საზოგადოება დაინტერესებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებული მდგომარეობით და ფლობს საკმაო ინფორმაციას სახელმწიფო საზღვარზე არსებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა და ამ კუთხით არსებულ გამოწვევათა შესახებ. გამოკითხულთა უმრავლესობას, მიუხედავად ასაკისა, განათლებისა, საქმიანობისა თუ გენდერული კუთვნილებისა, მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენა მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის ქვეყნის სტაბილურობისათვის. გამოიკვეთა, რომ საქართველოს მოსახლეობა ყურადღებით აკვირდება ჩვენს მოსაზღვრე ქვეყნებში და მთლიანად რეგიონში არსებულ ვითარებას და მიაჩნია, რომ იქ არსებული არასტაბილური მდგომარეობა პროვოცირებს საქართველოს საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენას. რესპოდენტთა პოზიცია, რიგ საკითხებში, თანხვედრაშია საქართველოს სახელმწიფო ორგანოების სტატისტიკურ ანგარიშებში ასახულ მონაცემებთან, რესპოდენტები სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ძირითად მიზეზად ასახელებენ ნარკომანიას, კონკრეტულად ნარკოტიკების კონტრაბანდას. აღნიშნულ საკითხს საგანგაშოდ მიიჩნევენ ძირითადად სტუდენტები 18-25 წლის ახალგაზრდები. ასევე მნიშვნელოვან პრობლემათა შორის განიხილავენ ზოგადად კონტრაბანდას, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევას და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევას, აღსანიშნავია, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც აღნიშნული დანაშაულები იზრდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებზე გარკვეულ გავლენას ახდენს სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების მიერ დასახელებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და შედეგებზე საზოგადოების სისტემატიური ინფორმირება. გამოიკვეთა, რომ მოსახლეობა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დანაშაულებრივ ქმედებათა აღსაკვეთად კანონის გამკაცრებას მხარს არ უჭერს და მიაჩნია, რომ ამისათვის საკმარისია საზღვარზე კონტროლის გაძლიერება, რაშიც მოიაზრებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ელექტრონული საშუალებებით ტექნიკურ აღჭურვას და მეზაჟეთა და მესაზღვრეთა კვალიფიკაციის ამაღლებას. პარალელურად მათი ტექნიკური საშუალებით უზრუნველყოფას.

### 3.3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები

სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინოლოგიური დახასიათებისათვის ღირებულია მისი ფსიქოლოგიური კუთხით განხილვა. სუბიექტის სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების დანახვა მნიშვნელოვანია დამნაშავეს კრიმინოლოგიური ქცევის მოტივაციის ანალიზისათვის.

ადამიანს აქვს შემეცნების უნარი, ეს არის მისი პოტენციური შესაძლებლობა, რომლის რეალიზაციაც ხდება საზოგადოებაში გეგმაზომიერი და სწორი აღზრდის პირობებში. (12, 144) ადამიანები ჩვეულებრივ თავიანთი პოტენციურ შესაძლებლობებს ავლენენ ახდენენ იმ უნარ-ჩვევების შესაბამისად, რაც განვლილი ცხოვრების განმავლობაში შეიძინეს. მათ შესწევთ უნარი მართონ საკუთარი შემეცნებითი პროცესები, აკონტროლონ საკუთარი თავი, საკუთარი ქცევა, თუმცა რიგ ადამიანებს ახასიათებთ დელიქვანტური ქცევა, რაც განსხვავდება ადამიანის ნორმალური ქცევისგან.

დამნაშავე განსხვავდება კანონმორჩილი პიროვნებისაგან, მას ახასიათებს დელიქვანტური ქცევა, კრიმინალური მიდრეკილება და მოტივაცია, ახასიათებს ემოციურ-ნებითი დეფორმაცია, აქვს განსხვავებული უარყოფითი სოციალური ინტერესი.

სპეციალისტებს შორის არ არსებობს საერთო შეხედულება ქმედების აღმძვრელი და მმართველი ფაქტორების შესახებ. მისი სტრუქტურის, სისტემისა და კანონზომიერების თაობაზე. (12, 121)

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა იზიარებდა რა ფსიქოლოგიურ თეორიას, აფიქსირებდა, რომ „საბჭოთა სისხლის სამართლისათვის უცხოა პირის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე, პასუხისმგებლობა მართლ მისი მოქმედებით გამოწვეული შედეგისათვის, ე. ი. ობიექტური შერაცხვა. საბჭოთა სისხლის სამართალი მხოლოდ სუბიექტურ შერაცხვას აღიარებს, ყოველთვის ითვალისწინებს პირის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან, ე. ი. მის ბრალს, რომელიც შეიძლება იყოს ორი ფორმის: განზრახი და გაუფრთხილებელი (24, 120) შესაბამისად, ბრალი განიხილებოდა, როგორც „პირის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიშ ქმედებასთან და ქმედებით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან“. (24, 120)



აღნიშნული მიდგომა ჩაანაცვლა ბრალის ნორმატიულმა თეორიამ, რომლის მიხედვითაც ბრალი არის, „მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის“. (39, 6)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ინკრიმინირებული, სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული დანაშაული განზრახაა ჩადენილი „თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა“. (41) ამ დეფინიციით სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნაა სუბიექტის ფსიქიკის ინტელექტუალური მომენტის დადგენა, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ხოლო ფსიქიკის ნებელობითი მომენტია განზრახვის ნიშანი, როცა პირს გათვალისწინებული აქვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა და სურს ეს შედეგი. თუ პირი „დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდაუვალობაში, მას აქვს ქმედების განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი, როცა ეს მისთვის არასასურველია“. (39, 132)

„ვინაიდან დანაშაული ნებელობითი ქმედებაა, არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენისას მოტივისა და მიზნის დადგენა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა“. (41, 264)

იურიდიულ ლიტერატურაში მოტივისა და მიზნის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს, მაგრამ საერთოა ის აზრი, რომ „მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა, რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება, ხოლო მიზანი ის აზრობრივი მოდელია, რისი მიღწევაც პირს სურს დანაშაულის ჩადენით“. (41, 242)

მოტივი არის პიროვნების გააზრებული შინაგანი ნება, მამოძრავებელი ძალა, რომელიც მას ალბინებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, აკადემიკოს დ. უზნაძის მტკიცებით, არსებობს ორი ძირითადი პირობა, რომლის გარეშეც ადამიანის ქცევა სრულიად შეუძლებელია: „ესაა, უპირველეს ყოვლისა, ფაქტი ქცევის სუბიექტში რაიმე მოთხოვნილების არსებობისა და შემდეგ-სიტუაციაც, რომელშიც ეს მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს“. (45, 54)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ყალიბდება შინაგანი და გარეგანი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების თანხვედრის დროს. სუბიექტს შინაგანი სურვილი, რომელიც მას აღუძრავს დანაშაულის ჩადენის მოტივაციას, ხელსაყრელ განვითარებას პოულობს, თუ პირი ხედავს, რომ მისი ქმედების განხორციელებას

ხელს უწყობს გარკვეული ობიექტური ფაქტორები, მაგალითად, სახელმწიფო საზღვრის დაცვაში არსებული ხარვეზები, არასათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, მესაზღვრეთა და მებაჟეთა დაბალი კვალიფიკაცია, ტერიტორიების ოკუპაციის გამო საზღვარზე კონტროლის განხორციელების შეუძლებლობა და სხვა.

ამერიკელი ფსიქოლოგი, პროფესორი ფილიპ ჯორჯ ზიმბარდო განიხილავს ფსიქოლოგიურ თეორიებს, ის აღნიშნავს: „ფსიქოლოგიური თეორიებისთვის საერთო ისაა, რომ ისინი დეტერმინიზმის პოზიციაზე დგანან, დეტერმინიზმი გულისხმობს, რომ ყველა მოვლენა -ფიზიკური, ფსიქიკური და ქცევითი -განპირობებულია კონკრეტული მიზეზით, ანუ მის შედეგს წარმოადგენს, ეს მიზეზები შეიძლება თავად ადამიანში ან გარემოში იყოს“. (24, 24)

იმანუელ კანტის შეხედულებით, „ადამიანის ყველა ქცევა, მოქმედება მოვლენაში განსაზღვრულია ემპირიული ხასიათით და სხვა ბუნების წესრიგის თანახმად, თანამოქმედი მიზეზებით“. (28, 346)

დანაშაულის მოტივის წარმოშობას, მის ჩამოყალიბებას, წინ უსწრებს მოტივაცია. ფ. ზიმბარდო მოტივაციას განმარტავს, როგორც „ფიზიკური და ფსიქიკური აქტივობის დაწყების, მიმართულების მიცემის და მართვის პროცესს“. (23, 461) მისი აზრით, მოტივაცია დინამიკური ცნებაა, რომელიც გამოიყენება ქცევისათვის მიმართულების მიმცემი პროცესების აღსაწერად. (24, 499)

სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა უმეტესობის მოტივი ანგარებაა. ისეთ დანაშაულებს როგორებიცაა: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ნარკოკონტრაბანდა, საქართველოს სახელმწიფო (საბაჟო) საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა, სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა და სხვა განაპირობებს ანგარებიანი მოტივის არსებობა. ხოლო ცალკეულ დანაშაულთა შემთხვევაში მოტივაცია შეიძლება უკავშირდებოდეს რელიგიურ, პოლიტიკურ ექსტრემიზმს (საქართველოს სსკ 323<sup>2</sup>-ე მუხლის 1<sup>1</sup>-ე ნაწილის შემთხვევაში). (306) სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს მოტივი შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული, ის შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ანგარებას, ექსტრემიზმს, ასევე იყოს სოციალური ხასიათის, როგორიცაა სამუშაო მიგრაცია, ოჯახის გაერთიანება და სხვა.

სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დიდი ნაწილი, როგორც აღინიშნა, სუბიექტური მხრივ, განზრახია. აღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობის მაკვალიფიცირებელი მუხლების დისპოზიციის კონსტრუქცია დანაშაულის მიზნით დეტერმინებულია, დანაშაულის მიზანზეა დამოკიდებული ადამიანით

ვაჭრობის/ტრეფიკინგი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup>-143<sup>2</sup>-ე მუხლების), მძევლად ხელში ჩაგდება (სისხლის სამართლის კოდექსის 144 -ე მუხლი), ასევე სსკ-ის კოდექსის 172-ე, 234-ე, 323<sup>2</sup>-ე და სხვა მუხლები. (306)

2014-2018 წლებში რეგისტრირებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების კონტრაბანდის 1370 შემთხვევა, საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის 513 შემთხვევა, ტრეფიკინგის 92 შემთხვევა. სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანის 15 შემთხვევა. ეს ქმედებები განპირობებულია დამნაშავეთა ანგარებიანი მოტივაციით, 2017 წელს საერთაშორისო ტერორისტებად აღიარებული ახმედ ჩატაევის, იბრაგიმ ადაშევის და სხვათა მხრიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადაიკვეთა განხორციელდა ტერორისტული აქტის მომზადების მიზნით.

2014-2018 წლებში უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია 35 დასახელებაზე მეტი ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება, მათ შორის ისეთი ძლიერმოქმედი საშუალებები, როგორებიცაა: ჰერონი, 703, 545 კგ. ოდენობით; 333, 581 კგ. მარიხუანა. ამოღებულ ნარკოტიკულ საშუალებათა შორისაა ისეთი ძლიერი ნარკოტიკული საშუალებები, როგორებიცაა: ოპიუმი, ამფეტამინი, მორფინი და სხვა (104, 23-24) ჰერონის ფასი „შავ ბაზარზე“ 130 აშშ დოლარს უტოლდება, 1 გრამი მეტამფეტამინის ფასი 100 აშშ დოლარია. მხოლოდ 2018 წელს ამოღებულია 12 662 აბი სუბოტექსი. (104, 23) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, „შავ ბაზარზე“ 1 აბი სუბოტექსის ფასი 700-800 ლარია, შსს განცხადებით, „ჰერონი“ და სუბოტექსი ძირითადად ირანიდან შემოდის, ხოლო სინთეტიკური ნარკოტიკები - თურქეთიდან“. (106)

სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ანგარების მოტივით ჩამდენ პირთა ღირებულებითი ორიენტაცია მიმართულია უკანონო შემოსავლის მიღებისკენ.

ფსიქოლოგი თამაზ გოგიჩაიშვილი დამნაშავე პიროვნების ერთ-ერთ სტრუქტურულ ფენომენად განიხილავს ღირებულებით ორიენტაციას, უთითებს, რომ ეს განსაზღვრავს პიროვნების გარესამყაროსადმი და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებას. ყოველი დამნაშავეს მოტივაციური მექანიზმი წარმოუდგენელია ღირებულებათა ორიენტაციისა და სუბიექტის პოზიციისა ფართო სპექტრის გარეშე“. (17, 14-15)

იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ილია ამინოვი, მატერიალური სარგებლის მისაღებად ჩადენილ განზრახ დანაშაულს განიხილავს მუდამ გარკვეული პირადი ინტერესების მქონე მიზანდასახულ დანაშაულად. (12, 113)

სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ შემომტანი, თუ თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი პროდუქციის ან თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული პროდუქციის დადგენილი წესის დარღვევით შემომტანი დამნაშავენი აღნიშნული კატეგორიის საქმეთა ანალიზის მიხედვით გამოირჩევიან კარგი ორგანიზებულობის უნარით, აქვთ გარკვეული, მეტწილად საკმარისი განათლება, კომპიუტერული თუ ელექტრონული ტექნიკის გამოყენების ფართო ცოდნა, გამოირჩევიან კრეატიულობით, რასაც გარკვეულ შემთხვევებში წარმატებით იყენებენ თავიანთი დევიანტური ქცევის განსახორციელებლად. სახელმწიფო საზღვარზე მოძრავი ნივთის უკანონო გადაადგილების მიზნით განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებში აწყობენ სამალავებს, რომელსაც მაღალპროფესიულად ნიღბავენ. ამზადებენ პოლიგრაფიულად სანდო ყალბ დოკუმენტებს, სწავლობენ სახელმწიფო სასაზღვრო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის „ხელსაყრელ“ მარშუტებს, ახორციელებენ კონტრაბანდული გზით შემოტანილი პროდუქციის გასაღების ორგანიზებას, რისთვისაც იყენებენ კომპიუტერულ თუ სხვა ელექტრონულ ტექნიკურ საშუალებებს. თავიანთი პროფესიული ცოდნის თუ უნარ ჩვევების გამოყენებით ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელს ხდიან დაგეგმილი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

პროფესორი გ. ლლონტი ახასიათებს რა დამნაშავეთა შესაძლებლობების მნიშვნელობას, ასეთს აკუთვნებს დამნაშავეს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, პროფესიულ, განათლებასა და სხვა ფაქტორთა ერთობლიობას, რაც ადამიანს ანიჭებს სუბიექტურ უნარს განახორციელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. (4, 113)

„დანაშაულებრივი ქცევა-ესაა დროში და სივრცეში განფენილი პროცესი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ იმ ქმედებებს, რომლებიც ცვლიან გარესამყაროს, არამედ მათ წინამორბედ ფსიქოლოგიურ მოვლენებსაც და პროცესებსაც, რომლებიც განსაზღვრავენ მართლსაწინააღმდეგო ქცევის გენეზისს“. (72, 287)

სუბიექტის დანაშაულებრივი ქცევის შეკავება შესაძლებელია თუ აღმოფხვრილი იქნება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის არსებული ხელსაყრელი პირობები, უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საზღვრის მაღალკვალიფიციური დაცვა, სასაზღვრო გამშვები პუნქტების აღჭურვა თანამედროვე მაღალხარისხიანი ტექნიკური საშუალებებით და კვალიფიციური კადრებით, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლებრივი ნორმების არსებულ გამოწვევებთან სისტემატიურ თანხვედრაში მოყვანა. სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გარდაუვალობის შეგნება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს პოტენციური დამნაშავეის ფსიქოლოგიურ განწყობაზე.

„რაც უფრო ეფექტურად მოქმედებს პიროვნებაზე სამართლებრივი კონტროლი, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ის არ ჩაიდენს დანაშაულს, თუნდაც უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდეს“. (67, 119)

პირი თავისი განზრახვის ფარგლებში აფასებს რა დანაშაულის შესაძლო ჩადენისათვის არსებულ სიტუაციას, შეიძლება მივიდეს სუბიექტურ შეფასებამდე, რომ არ არსებობს დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელი სიტუაცია, მაგრამ საკუთარი ამბიციურობით, თვითდაჯერებულობით უმმაფრდება საკუთარი ეგოს, მე-ს უპირატესობა და მაინც ახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას.

პროფესორ ი. ამინოვის განმარტებით, კრიმინალური ფსიქოლოგები „ბოლომდე იცავენ პოზიციას, რომ დანაშაული პირდაპირი სიტუაციური გარემოებების გამო კი არ ხდება, არამედ ადამიანის გარკვეული მტკიცე პიროვნული მახასიათებლების წყალობით, რამეთუ თითოეულ ინიციატივას გააჩნია ქვევის დამახასიათებელი წესის აქტუალიზაციის გარკვეული დონე“. (12, 114) აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, რადგან საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ პირი ხედავს რა დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელ გარემოებას და სიტუაციას მიიჩნევს უსაფრთხოდ, დამნაშავეს უმტკიცდება დანაშაულის ჩადენის მოტივაცია, რამეთუ უკონტროლობა, სახელმწიფო საზღვრის სიტუაციური დაუცველობა პირდაპირ იქცევა დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელ გარემოებად.

### 3.4. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ეკონომიკური მიზეზები

საბჭოთა წყობილების რღვევამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა ქვეყანაში კორუფციული სისტემის ჩამოყალიბება წარმოშვა.

„წარმოების სფეროში ფართომასშტაბიანი დანაშაულობის ორგანიზაციამ, საბანკო თაღლითობამ, „ფულის გათეთრების“ ქსელის გაფართოებამ, ძალადობის გამოყენებამ რეკეტისა და დაშინების მიზნით, პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობამ, ტერორიზმმა, მკვლელობის შეკვეთამ, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ლობირებამ, კონტრაბანდაში და ნარკობიზნესში მონაწილეობამ, ასევე სხვა ფაქტებმა წინა პლანზე წამოწიეს ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემა. (7, 183)

სახელმწიფოს მიერ გატარებული საკანონმდებლო და პრაქტიკული მკვეთრი, რადიკალური ღონისძიებების შედეგად შესაძლებელი გახდა სიტუაციის ნორმალიზება,

პროცესის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევა, თუმცა გასული საუკუნის 90-იან წლებში სეპარატისტულ რეგიონებში, - აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, - ეთნიკური ქართველების მიმართ წარმოებულმა ძალადობამ, საკუთარი საცხოვრისიდან მათი გამოდევნისთვის წარმოებულმა საბრძოლო მოქმედებებმა, 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს მიმართ წარმოებულმა აგრესიულმა ომმა და ამ ორი რეგიონის ოკუპაციამ განაპირობა ამ ძირძველი ქართული მიწებიდან იქ მცხოვრები ეთნიკური ქართველების თუ ოკუპანტებისა და სეპარატისტებისათვის არასასურველი სხვა ეროვნების მოსახლეობის გამოდევნა, ეთნიკური წმენდა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მყოფი ქვეყნისათვის ასი ათასობით იძულებით გადაადგილებულ უსახლკაროდ და მინიმალური შემოსავლის გარეშე დარჩენილ პირთა პრობლემა მძიმე ტვირთად დააწვა ეკონომიკას. ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის ზღვარზე ან მასზე დაბლა დაშვებამ, უმუშევრობის ზრდამ ხელი შეუწყო შრომით ემიგრაციას, მოსახლეობის საქართველოდან გადინებას. გაიზარდა შიდა მიგრაციული პროცესებიც, სამუშაოს მაძიებელთა სოფლებიდან და სხვადასხვა რეგიონიდან დედაქალაქში და სხვა დიდ ქალაქებში ჩამოსახლების პროცესი. საქართველოს გარეთ რეგიონში სირია-ერაყის ტერიტორიაზე ტერორისტული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და მისი ლიკვიდაციისთვის წარმოებულმა ომმა, ასევე მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა გამოიწვია საქართველოში ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადის ზრდა და უკანონო მიგრაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულმა სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყანაში არსებულ კრიმინოლოგიურ მდგომარეობაზე.

საერთო ეკონომიკური ფაქტორებიდან აღსანიშნავია უმუშევრობა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში დაუსაქმებელი, უმუშევარი იყო 290 200, ადამიანი შრომისუნარიანი მოსახლეობის 14, 6%, 2015 წელს დაუსაქმებელთა რიცხვი შეადგენდა 284 200 შრომისუნარიანი მოსახლეობის 14, 1%-ს, მომდევნო 2016 წელს უმუშევრად მიჩნეულია 278 900 პირი, 14% შრომისუნარიანი მოსახლეობის, 2017 წელს ეს მაჩვენებელი გაუტოლდა 276 400 და შეადგინა შრომისუნარიანი მოსახლეობის 13, 9%, 2018-2019 წლებში ფიქსირდება უმუშევართა კლების ტენდენცია 245 700 (12, 7%) და 221 000 14, 6% ადამიანი. (93)

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, უმუშევრების პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაჩვენებლებთან შედარებით. ეკონომიკურად აქტიურად მიჩნეულია პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას მომსახურებისთვის ან საქონლის საწარმოებლად და აღნიშნული პირი ასაკით

არის 15 წლის და ზევით. დასაქმებულად კი მიიჩნევა პირი, რომელიც გამოკითხვის წინა პერიოდში 7 დღის განმავლობაში მუშაობდა თუნდაც ერთი საათით მაინც, რაშიც მიიღო ან უნდა მიიღოს გარკვეული შემოსავალი, ან ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინა მეურნეობაში დასაქმებულ წევრებს. თვითდასაქმებულად ითვლება პირის, მესაკუთრის ნებისმიერი საქმიანობა მოგების ან საკუთარი (ოჯახის) შემოსავლის, ფულით ან ნატურით მიღების მიზნით, ხოლო უმუშევრად ითვლება პირი (15 წლის ასაკს ზემოთ), რომელიც გამოკითხვამდე 4 კვირის განმავლობაში ეძებდა სამუშაოს, 7 დღის განმავლობაში საერთოდ არ უმუშავია, თუმცა სურვილი ჰქონდა ემუშავა და ეძებდა სამუშაოს. ბევრ კრიტიკულ შეკითხვას აჩენს თვითდასაქმებული პირის კრიტერიუმი, ასევე უმუშევართა რეალური მაჩვენებლის აღრიცხვის სიზუსტე.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმებულთა უდიდეს ნაწილად მიიჩნევა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული ან თვითდასაქმებული პირები, 2017 წლის მონაცემებით, ასეთს შეადგენდა დასაქმებულთა 40, 1%, ხოლო 2018 წელს დასაქმებულთა 38, 9%.

მოცემულ მონაცემთა რევიზიას ახდენს ასევე ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც გვაწვდის გაზომილი სიღარიბის დონეს. ასეთად გვაძლევს ფარდობით მაჩვენებელს მედიანური (შუა სიდიდის) 60% ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილს და ასეთს 2014 წელს შეადგენდა მოსახლეობის 23, 5%, 2015 წელს მოსახლეობის 21, 6%, 2016 წელს - 22%, ხოლო 2017-2018 წლებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად უტოლდებოდა 21, 9%-ს და 20, 1% -ს. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი კი 2014 წელს უტოლდება 23, 5%-ს, 2015 წელს 21, 6%-ს, 2016 წელს 22%-ს, 2017 წელს 21, 9%-ს, ხოლო 2018 წელს 20, 1%-ს. (94)

უმუშევრობა წარმოადგენს დანაშაულისა და მათ შორის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებით გამომწვევ მიზეზს. უქონელი, გაჭირვებული ადამიანი ადვილად მოწყვლადია, ის ადვილად ებმება დანაშაულებრივ საქმიანობაში. ადამიანი, რომელიც ვერ ახერხებს ქვეყანაში საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზებას, გამოსავალს ეძებს კრიმინალურ საქმიანობაში, კავდება ისეთი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობით, როგორებიცაა: კონტრაბანდა, ნარკოკონტრაბანდა, მიგრანტთა კონტრაბანდა, ტრეფიკინგი და სხვა დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც უკავშირდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთას, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევასა და სხვა ქმედებებს.

მიგრაციის და ტრეფიკინგის მთავარ გამომწვევ მიზეზად ექსპერტთა დიდი ნაწილი ასახელებს არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებას. (61, 12)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში იზრდება სავაჭრო ექსპანსია, იხვეწება და ვითარდება ტექნოლოგიები, იზრდება მოთხოვნილება განათლებულ პროფესიონალ კადრებზე, ასეთის დეფიციტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დასაქმებაზე, აუარესებს ამ კატეგორიის პიროვნებათა სოციალურ მდგომარეობას, უბიძგებს მათ დანაშაულის ჩადენისკენ, ამიტომაც, რომ სოციალური საკითხებიდან გარკვეული ადგილი უკავია განათლების საკითხს. ასევე მნიშვნელოვანია სამართლებრივი განათლება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სწორ საგანმანათლებლო პროგრამებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ნარკომანიის, ტრეფიკინგის, ზოგადად კონტრაბანდის და სხვა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, ინფორმირებულობა, კანონის ცოდნა ზღუდავს ადამიანის ნებას დაარღვიოს კანონი.

### 3.5. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პოლიტიკური მიზეზები

პოლიტიკური მოვლენებიდან უპირველესად აღსანიშნავია დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში მომხდარი სამოქალაქო დაპირისპირება და კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა, სეპარატისტულ რეგიონებში, - ყოფილ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში რუსეთის ფედერაციის მიერ ინსპირირებული საომარი მოქმედებები.

პოლიტიკური მიზეზებიდან მნიშვნელოვანია ოკუპაცია, აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის ყველაზე ხელსაყრელ ფაქტორს. ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან რეგიონში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში - დანიშნული მარიონეტული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ოკუპირებულ რეგიონში მოქცეულ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განხორციელებას, ამ რეგიონში ადამიანის ძირეულ ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევებთან ერთად არნახულ დონეს მიაღწია ნარკომანიამ, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვამ, ტრეფიკინგმა, იარაღით უკანონო ვაჭრობამ და სხვა დანაშაულებრივმა ქმედებებმა. (7, 183)

პოლიტიკურ მიზეზებშია მოქცეული საქართველოს მოსაზღვრე მეზობელი სახელმწიფოების სოციალურ - პოლიტიკური მდგომარეობა. ქვეყნებს შორის მოქმედი



საომარი თუ გაყინული კონფლიქტები, რთული ვითარებაა ახლო აღმოსავლეთში. ერაყში, სირიაში, თურქეთში და სხვაგან. გახშირებული ტერაქტები, ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადები ართულებს ამ ქვეყნების ისედაც რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ნარკოკონტრაბანდის, ტრეფიკინგისა და სხვა დანაშაულთა გავრცელებისათვის, რაც, თავის მხრივ, ძაბავს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებასა და აძლიერებს ქვეყნის გარედან მომდინარე რისკებს.

## თავი IV. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილი მართლსა- წინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის ასპექტები

### 4.1. არალეგალური მიგრაციის პრევენციის თავისებურება

ხალხთა მიგრაცია კაცობრიობის განვითარების ისტორიის თანმდევი პროცესია, ადრეული ადამიანების ჰომო ერგასტერის (Homo ergaster) „მუშა ადამიანის“ და ჰომო ერექტუსის (Homo Erectus) „წელში გამართული ადამიანის“ გადაადგილება თავდაპირველად აფრიკის კონტინენტზე დაიწყო დაახლოებით 2-1, 9 მილიონის წლის წინ, ჰომო ერექტუსის მიგრაცია აფრიკიდან სხვა კონტინენტებზე 1, 5 მილიონი წლის წინ განხორციელდა. ამ ადამიანთა სამარხები აღმოჩენილია საბერძნეთის, ესპანეთის, ჩინეთის ტერიტორიაზე და სხვა ადგილებში. ჰომო საპიენსი (Homo sapiens) „გონიერი ადამიანი“ უკვე მთელ დედამიწაზე გავრცელდა. მან აფრიკიდან მიგრაციით მოიცვა ევროპის, აზიისა და ამერიკის კონტინენტები. (133)

1991 წელს საქართველოში, დმანისში აღმოაჩინეს ადამიანის ნაშთები, რომლებიც დაახლოებით 1, 8 მილიონი წლით დათარიღდა. აღმოჩენილი ადამიანი ჰომო ჰაბილისის (Homo habilis) „მარჯვე ადამიანსა“ და ჰომო ერექტუსის (Homo Erectus) „გამართული ადამიანს“ შორის ადამიანთა სხვა სახეობას წარმოადგენდა და მას ჰომო გეორგიკუსი (Homo georgicus) „ქართველი ადამიანი“ უწოდეს. (133)

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართველთა, მესხთა, იბერთა და კოლხთა წინაპარი ტომები მუსკები, ტაბალები და კასკები, მცირე აზიაში სახლობდნენ და ძვ. წ. XI საუკუნიდან „ხშირად ძლევამოსილ ბრძოლას აწარმოებენ ასურელების წინააღმდეგ“. ძვ. წ. IX საუკუნიდან მოყოლებული ბრძოლაში ასურელები იმარჯვებენ. ამ ბრძოლას ძვ. წ. VII საუკუნეში კიმირიელთა მცირე აზიაში შესევამ მოულო ბოლო. დაამხო ასურეთი და ქართველ ტომთა უკანასკნელი ტალღაც ჩრდილოეთისკენ წასწია. ამ დროიდან მოყოლებული ქართველთა ტომები მცირე აზიაში ქრება და შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროთი და ამიერკავკასიით განისაზღვრება. (58, 38)

ხალხთა გადასახლების პროცესს თითქმის სისტემატური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მოსახლეობის გლობალური გადასახლების პროცესი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებამდე დაიწყო, რომის პერიფერიებიდან გერმანული ტომების რომის იმპერიის საზღვრებში შეჭრით და იქ დასახლებით. გუთები ჩრდილო-დასავლეთ ევროპიდან შავი ზღვის მომიჯნავედ დასახლდნენ, ალემანები იტალიაში შევიდნენ, ფრანკები გალიაში. 375 წელს ცენტრალური

აზიიდან წამოსული თურქულ-მონღოლური ტომები, ჰუნები თავს დაესხნენ გერმანულ ტომებს. მისგან ლტოლვილი ვესტ-გუთები რომმა შეიფარა, ვესტ-გუთებმა გაანადგურეს ჯერ იმპერატორ ვალენტინის ჯარი, ხოლო 410 წელს ააოხრეს და გამარცხეს რომი. შემდგომ გადავიდნენ ესპანეთის ტერიტორიაზე და დააარსეს ტულუზის სამეფო. ფრანკებმა გალიაში დააარსეს ფრანკთა სახელმწიფო, ანგლებმა, საქსებმა და იუტებმა მოახდინეს დიდ ბრიტანეთში მიგრაცია. ადრეულ შუა საუკუნეებში სამხრეთ ურალიდან და ვოლგისპირეთიდან ემიგრირებულმა ფინურ-უნგრულმა ტომებმა, მადიარებმა დაამხეს დიდი მორავია და სათავე დაუდეს უნგრეთის სახელმწიფოს შექმნას. ემიგრირებულმა სლომილებმა საფუძველი ჩაუყარეს ფინეთის სახელმწიფოს წარმოქმნას, იესიტების ტომმა, ესტასედებმა შექმნეს ესტონეთის სახელმწიფო.

632 წელს ცენტრალური აზიიდან წამოსულმა ბულგარელებმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნეს ბულგარეთის სახელმწიფო.

1492 წელს ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენით დაიწყო ევროპის მიგრაცია ამერიკის კონტინენტზე. დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ესპანეთმა მთლიანად მოიცვეს ჩრდილო ამერიკის ტერიტორია და იქ საკუთარი კოლონიები შექმნეს, პორტუგალიამ და ესპანეთმა მოახდინეს სამხრეთ ამერიკის კოლონიზაცია. სამხრეთ ამერიკაში კოლონიები დააარსეს ნიდერლანდებმა, ამერიკის კონტინენტზე, როგორც იაფი მუშახელის, დაიწყო აფრიკიდან მონების მიგრაცია, კონტინენტზე მიგრანტთა ტალღა დაიძრა ესპანეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ავსტრიიდან, საბერძნეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან.

1606 წელს, ამერიკის აღმოჩენის შემდგომ, მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დიდმა ბრიტანეთმა მიისაკუთრა და იქ პატიმართა ჩასახლება დაიწყო. ხოლო შემდგომ მოხდა დიდი ბრიტანელების, გერმანელების, იტალიელების, ბერძნების, ჩინელებისა და სხვათა მასობრივი მიგრაცია, ავსტრალიის კონტინენტზე მოსახლეობის 90% უკვე ევროპული წარმოშობისა გახდა.

საქართველოში სხვა ეთნოსის, სხვა ერების მიგრაციამ არაერთგვაროვანი გავლენა მოახდინა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე.

ძველი ქართული საისტორიო მასალების მიხედვით, ებრაელების პირველი ტალღის მიგრაცია საქართველოში ძვ. წ. 586 წელს ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღების შემდგომ მოხდა, ებრაელთა პირველი კომპაქტური დასახლება მცხეთის გარეუბანში მომხდარა. ამას მოჰყვა სხვადასხვა პერიოდში ებრაელთა რამდენიმე ჯგუფის მიგრაცია საქართველოში და მათი ჩასახლება კახეთისა და ქართლის სხვადასხვა უბანში, XIX

საუკუნეში საქართველოში ებრაელთა მიგრაცია განხორციელდა ევროპიდან, თურქეთიდან, ირანიდან და სხვა რეგიონებიდან. ებრაელები კარგად შეეწყვნენ ქართულ კულტურასა და წეს-ჩვეულებებს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებასა თუ კულტურულ ცხოვრებაში.

საქართველოში ოსთა მიგრაცია, ქართველ მეცნიერთა მონაცემებით, XVII საუკუნეში დაიწყო ქართლის მთიანეთში, ამის შემდგომ, XVIII საუკუნიდან, დაიწყო საქართველოში ოსთა ინტენსიური მიგრაცია. შედეგად მივიღეთ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ 1922 წლის 20 აპრილს საქართველოს შემადგენლობაში „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა ავტონომიური ოლქის“ შექმნა. 1990-იანი წლებიდან საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ოსური მოსახლეობის მიერ დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა და 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“, რამაც წარმოშვა შეიარაღებული კონფლიქტი ქართველ და ოსურ მოსახლეობას შორის, რაც 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მხრიდან აგრესიული ომის წარმოებითა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოკუპაციით დასრულდა. საქართველოს სახელმწიფოს სტაბილურობას ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე ასევე მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა სომეხთა მასობრივმა მიგრაციამ.

სომეხთა პირველი მასიური მიგრაცია საქართველოში VII საუკუნეში განხორციელდა, როცა სომეხთა კათალიკოსმა, დიოფიზიტმა, ქრისტიანი სომეხები აიძულა დაეტოვებინათ სომხეთის ტერიტორია. XVIII საუკუნეში მეფე ერეკლე მეორემ სომხეთიდან და ყარაბაგიდან 7000-ზე მეტი სომეხი შემოასახლა. რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიის შემდგომ დაიწყო საქართველოში სომეხთა მასობრივი მიგრაციის პროცესი. 1804 წელს გენერალმა ციციანოვმა ქვემო ქართლში 2000 სომეხი შემოასახლა, 1807-1808 წლებში რუსებმა საქართველოში 1906 სომეხი შემოასახლეს, 1809-11 წლებში მთავარმართებელმა ტირმასოვმა ყარაბაგიდან 2 140 სომეხი ჩამოასახლა, 1795-1827 წლებში ერევნის სახანოდან 20 000 სომხამდე იქნა ემიგრირებული. 1830 წელს რუსებმა არზრუმიდან სამცხე-ჯავახეთში 34 000 სომეხი ჩამოასახლეს, 1800 წლისთვის საქართველოში სომეხების რაოდენობა თუ მინიმალური იყო 1897 წელს მხოლოდ ახალციხის მაზრაში 15 144 სომეხი ცხოვრობდა, ხოლო ახალქალაქის მაზრაში მათი ოდენობა 52 539 ადამიანს შეადგენდა. ბორჩალოს მაზრაში 24 986 სომეხი ჩასახლდა. თბილისის გუბერნიაში სომეხთა რიცხვმა 105 035 მიაღწია, აქედან თბილისში 27 123 სომეხი ჩასახლდა. (57) საქართველოში იმიგრირებულ სომეხებს გაუჩნდათ პრეტენზია საქართველოს ძირძველი მიწა-წყლის დაუფლებაზე. დაიწყეს საქართველოს ისტორიის ძირძველი ძეგლების დაზიანება, მათზე ქართული კვალის წაშლა და სომეხურ ძეგლებად

გამოცხადება. 1918 წელს სომეხი დაშნაკები შეეცადნენ ქართული მიწების ძალადობის გზით მიტაცებას. დაიწყო საქართველოში ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობის წვრთნა და შეიარაღება, შედეგად, ეს უკანასკნელნი თავს ესხმოდნენ ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, ხოცავდნენ მათ. 1918 წლის 6 და 9 დეკემბერს საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები. (50. 61)

31 დეკემბერს სომხური სამხედრო ძალები უკუგდებული და განდევნილი იქნენ საქართველოს ტერიტორიიდან.

1801 წლის 12 სექტემბერის მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შესახებ თან ერთვოდა რესკრიპტი, რომლითაც იმპერატორი ალექსანდრე I მაშინდელ მთავარმართებელს ავალებდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზღვარგარეთიდან ქრისტიანი ხალხის ჩამოსახლების ხელშეკრულებისათვის. (319) რუსეთმა საქართველოში შემოსახლა ბერძნები, გერმანელები, რუსები, (განსაკუთრებით ტვერის, ყუბანის და დონის კაზაკები), საქართველოში ჩამოსახლეს ე. წ. „მწვალელები“ ერეტიკოსები, დუხობორები, მალაკნები, რასკოლნიკები და სხვები. რუსეთი აღნიშნულ პირებს ასახლებდა კომპაქტურად, რითაც საფუძველს უყრიდა საქართველოს კოლონიზაციას.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 86, 8 % ეროვნებით ქართველია, მოსახლეობის 6, 3% აზერბაიჯანელი, 4, 5 % სომეხი. ასევე საქართველოში ცხოვრობენ რუსები, ოსები, იეზიდები, უკრაინელები, ქისტები, ბერძნები, ასირიელები და სხვა ეროვნების ადამიანები. (90) არსებული მონაცემებით, მხოლოდ 1990-2014 წლებში საქართველო მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა. აქედან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები დაბრუნდნენ თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში. თუმცა დიდია შრომით მიგრაციაში წასულ ქართველთა რიცხვიც.

მიგრაციის ისტორია გვიჩვენებს, რომ უკონტროლო ქაოსური მიგრაცია იწვევს კულტურათა დაპირისპირებას. რასაც ხშირ შემთხვევაში თან სდევს ძალადობა და შეიარაღებული კონფლიქტები.

იტალიელ კულტუროლოგ უმბერტო ეკოს, განასხვავებდა რა მიგრაციასა და იმიგრაციის საფრთხეებს, მიაჩნდა, რომ იმიგრაციის გაკონტროლება პოლიტიკური საშუალებებით შესაძლებელია, ხოლო მიგრაციას ადარებდა სტიქიურ უბედურებას, რომელთანაც ვერაფერს გააწყო, მას მიაჩნდა, რომ კულტურათა შეტაკებამ, შესაძლოა, სისხლიანი შედეგები გამოიწვიოს და გარკვეული დოზით ეს იქნება გარდუვალი. (67)

XXI საუკუნეში მიგრანტთა მასობრივმა შეჭრამ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე რიგი მაღალგანვითარებული სახელმწიფოებიც გლობალური გამოწვევების წინაშე დააყენა.

მიგრაციული სისტემების არსი უკავშირდება ერთმანეთთან პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაახლოებულ ქვეყნებს შორის დამოუკიდებელი მიგრაციული პროცესების არსებობას. მიგრაციული ნაკადები, ჩვეულებრივ, მიმართულია ერთი ან რამდენიმე დანიშნულების (მიმღები) ქვეყნისკენ, თუმცა სისტემას გააჩნია მიგრაციული კავშირები სხვა ქვეყნებთანაც და სხვა მიგრაციულ სისტემებთან. (84)

ამერიკის პრისტონისა და პენსილვანიის უნივერსიტეტების პროფესორი დუგლას სტივენ მასსეის, თავის სტატიებში „რატომ ხდება მიგრაცია, თეორიული სინთეზი“ და „საერთაშორისო მიგრაციის თეორიები: მიმოხილვა და შეფასება“, ეხება რა მიგრაციული ქსელის საკითხებს, გამოაქვს დასკვნა, რომ მიგრაციის ერთეული შემთხვევები საფუძველს უდებს მყარი მიგრაციული კავშირების წარმოქმნას, მიგრაციული ქსელის ჩამოყალიბებას. ახალი მიგრანტები, უკვე ჩამოყალიბებული „სტაჟიანი“ მიგრანტები და არამიგრანტები, როგორც წარმოშობის, ასევე მიმღებ სახელმწიფოებში თავიანთი წარმომავლობის, ნათესაობისა თუ მეგობრულ ურთიერთობათა გამოყენებით ქმნიან ემიგრაციულ ქსელს, რაც ხელს უწყობს ახალ გარემოში მათ სოციალურ ადაპტაციას, ახალ საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას და აძლევთ საშუალებას, დაძლიონ მიგრაციის შემზღვეველი პოლიტიკა. (78, 431-466)

#### 4.1.1. მიგრაციული პროცესების მართვაში სახელმწიფოს წამყვანი როლი

სახელმწიფოს აკისრია წამყვანი როლი მიგრაციული პროცესების მართვაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორებიცაა:

- კანონის უზენაესობა, რაც გამომდინარეობს ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან;
- ნულოვანი ტოლერანტობა ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგისა და მიგრანტთა სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის მიმართ;
- თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო დონეზე;
- გამჭვირვალობა;

- დისკრიმინაციის დაუშვებლობა რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, რელიგიური, გენდერული, ეთნიკური, პოლიტიკური, სოციალური ან სხვა რაიმე ნიშნით;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების ჯეროვანი შესრულება;
- თანამშრომლობა საერთაშორისო რეგიონულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლა;
- საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელების ხელშეწყობა. (61)

#### 4.1.2. არალეგალური მიგრაციის პრევენციის ღონისძიებები, როგორც საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი

ამ მიმართულებით 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიაში წარმოდგენილია სახელმწიფოს ხედვა იმიგრაციული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო დაცვისა და შიდა მიგრაციის შესახებ. სტრატეგიულმა გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმების ინსტიტუციურ განვითარებას საქართველოში, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისაკენ. შესაბამისად, დინამიურად ვითარდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების, არალეგალური მიგრაციისა და ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარებას, საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვას და ინტეგრაციის ხელშეწყობას. თანამედროვე გამოწვევებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ქმედითი ღონისძიებები ხორციელდება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად. მიგრაციული პროცესების ეფექტიანად მართვისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, იწარმოება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა. წინამდებარე სტრატეგია ეფუძნება უკანასკნელ წლებში მიგრაციის მართვის სფეროში მიღწეულ შედეგებს, ითვალისწინებს არსებულ გამოწვევებს და აყალიბებს მათთან გამკლავების მექანიზმებს. არალეგალურ მიგრაციულ

ნაკადებთან და მათთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლა და მათი პრევენცია მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით. არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები დადებით გავლენას ახდენს ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების განვითარებაზე, ხოლო ლეგალური მიგრაციის საშუალებების გაფართოება და ხელმისაწვდომობა, დადებითად აისახება მიგრაციასთან დაკავშირებული არალეგალური საქმიანობისა და დანაშაულის სხვადასხვა ფორმის შემცირებაზე. (270)

#### 4.1.3. არალეგალური მიგრაციის პრევენციის ღონისძიებები, როგორც სამართლებრივი რეგლამენტაციის ნაწილი

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონის (2014წ) თანახმად, მნიშვნელოვანია იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც შეაკავებს არალეგალურ მიგრაციას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია უცხოელის საქართველოდან გაძევების სამართლებრივი რეგლამენტაცია. (173)

აღნიშნული კანონის 51-ე მუხლის თანახმად, უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან, თუ:

- ა) იგი კანონიერი საფუძვლის გარეშე შემოვიდა საქართველოში;
- ბ) აღარ არსებობს საქართველოში მისი შემდგომი ყოფნის კანონიერი საფუძველი;
- გ) საქართველოში მისი ყოფნა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს;
- დ) მისი საქართველოდან გაძევება აუცილებელია საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით;
- ე) იგი სისტემატურად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას;
- ვ) მან საქართველოში შემოსვლის ან ყოფნის კანონიერი საფუძველი ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტის წარდგენით მოიპოვა;
- ზ) მას განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა – სასჯელის მოხდის შემდეგ;



თ) მას შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი – სასჯელის მოხდამდე, ან დანიშნული აქვს პირობითი მსჯავრი – გამოსაცდელი ვადის გასვლამდე.

პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოდან გაძევებული უცხოელის საქართველოში შემოსვლის აკრძალვა. კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოდან გაძევებულ უცხოელს ეკრძალება საქართველოში შემოსვლა 2-დან 5 წლამდე ვადით. საქართველოში შემოსვლის აკრძალვის ვადას განსაზღვრავს უცხოელის საქართველოდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. საქართველოში შემოსვლის აკრძალვა არ ვრცელდება იმ უცხოელზე, რომელიც, ამ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნებაყოფლობით დატოვებს. ეს წესი არ ვრცელდება ამავე კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“-„თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლით უცხოელის საქართველოდან გაძევების შემთხვევაზე. საქართველოდან გაძევებული უცხოელი ვალდებულია საქართველოდან გასვლამდე ან გასვლის შემდეგ გადაიხადოს საქართველოში ყოფნის წესების დარღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმა. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მასზე არ გაიცემა საქართველოს ვიზა დაკისრებული სახდელის აღსრულებამდე.

#### 4.1.4. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენისა და ქვეყნიდან გაძევების კონტროლის სისტემა, როგორც პრევენციული ღონისძიება

პრევენციულ ღონისძიებათა შორის აქტუალურია ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენისა და ქვეყნიდან გაძევების კონტროლის სისტემა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ასევე მის პრევენციასა და აღკვეთაზე. აღნიშნული მიმართულებით სამინისტროში პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში 2014 წლიდან ფუნქციონირებს მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ტერიტორიაზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა აღმოჩენასა და ქვეყნიდან გაძევების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ამასთან, მიგრაციის დეპარტამენტის ფარგლებში შეიქმნა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი მოთავსების იზოლატორი, რომელიც გათვლილია 92 პირზე.

უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ეფექტიანი შიდაუწყებრივი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, შსს-ში შეიქმნა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის ამოცანაა მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

2010 წლიდან საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, აიღონ ე. წ. მეორე თაობის, ხოლო 2016-დან მე-3 თაობის ბიომეტრიული პასპორტები - მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული სამგზავრო დოკუმენტი. სათანადოდ, მუდმივად ხდება პასპორტების სრულყოფა და უფრო ძლიერი დაცვის მექანიზმებით აღჭურვა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს მიერ გაცემული დოკუმენტების სანდოობის ხარისხი. 2020 წლიდან იგეგმება უფრო გაძლიერებული პარამეტრების მქონე ბიომეტრიული პასპორტების გამოშვება, პოლიკარბონატის მონაცემთა გვერდითა (Data Page) და გაძლიერებული ინტეგრირებული ელექტრონული მატარებლით (ე. წ. ჩიპი). დოკუმენტის ელექტრონული პროფილი სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკომისიის 2018 წლის 30 ნოემბრის № C (2018) 7774 გადაწყვეტილებასთან. 2011 წლიდან ქვეყანაში დაიწყო ელექტრონული პირადობის და ბინადრობის მოწმობების გაცემა. (139)

#### 4.1.5. არალეგალური მიგრაციის საფრთხეების პრევენციის პრობლემა

მნიშვნელოვანია აგრეთვე არალეგალური მიგრაციის საფრთხეების პრევენციის პრობლემა. როგორც ცნობილია, კრიმინალური დაჯგუფებები გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უზრუნველყოფენ ადამიანების იმ ქვეყანაში გადაყვანას, რომლის მოქალაქეები არ არიან და არც ლეგალურად შესვლისთვის საჭირო დოკუმენტაცია აქვთ.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია პრევენციის ზომების დიფერენციაციის საკითხი. პრევენციულმა სისტემამ უნდა გაითვალისწინოს: ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა, სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი შრომა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საოჯახო მეურნეობებსა და სხვა სექტორებში, ადამიანის სხეულის ორგანოებით ვაჭრობა. (61)

4.1.6. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სისხლის სამართლებრივი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლი 344<sup>1</sup>-ე) კრიმინალიზებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანა ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. (29)

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენციის ოქმის - სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ (საქართველო შეუერთდა 2006 წელს) მიზანია „მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა, ამ მიზნით წევრ-სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, საზღვარზე უკანონოდ გადასული მიგრანტების უფლებათა დაცვის პირობით“. (284)

ოქმის მიხედვით, მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა ნიშნავს „პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური თუ სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით პირის უკანონო შესვლის უზრუნველყოფას წევრ-სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ან მუდმივი მცხოვრებიც არ არის ეს პირი“. (284)

სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანით ზიანი ადგება კანონით დაცულ სიკეთეს და შესაბამისად, დანაშაულის ობიექტია საქართველოში დადგენილი მმართველობის წესი და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა.

ობიექტურად, დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში დამნაშავეს მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნებისმიერი ხერხით მიგრანტის უკანონო გადაყვანაში.

საერთაშორისო დონეზე ტერმინი „მიგრანტის“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს, ჩვეულებრივ, ტერმინი „მიგრანტი“ მოიაზრებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირი მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რაც ნაკარნახევაა „პირადი კეთილდღეობის“ მიზეზით და ხდება გარე იძულებითი ფაქტორის ჩარევის გარეშე. (82) ზოგადად, მიგრანტში (ლათ. migrans (migrantis) იგულისხმება ადამიანი, რომელიც საცხოვრებლად გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე“. (82)

საქართველოს 1998 წლის 26 ივნისის კანონით „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ“ (ძალადაკარგულად გამოცხადდა 01/06/2006წ) მიგრანტის განმარტება მოცემული იყო, როგორც „იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების მონაწილე პირი“.. (182)

დღეისათვის საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში „მიგრანტის“ სტატუსის ოფიციალური განმარტება არ მოიძიება. თუმცა საქართველოს კანონმდებლობით განმარტებული „უცხოელი“ არ შეიძლება ცალსახად ჩაითვალოს მიგრანტად, ტერმინის შინაარსს შორის არსებული სხვაობის გამო. გაეროს ადამიანთა უფლებათა დეკლარაციით იმ პირთა შესახებ, რომლებიც არ არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც ისინი ცხოვრობენ. (მუხლი 1) უცხოელი განმარტებულია ნებისმიერ პირად, რომელიც არ წარმოადგენს იმ ქვეყნის მოქალაქეს, სადაც ის იმყოფება. (298)

მიგრანტისაგან სამართლებრივად განსხვავდება თავშესაფრის მაძიებელი, ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელი პირი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1951 წლის კონვენციით „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, ლტოლვილია პირი, რომელიც „საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, სექსუალური უმცირესობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება“. (276) საქართველო ამ კონვენციას 1999 წლის 28 მაისს შეუერთდა.

საქართველოს კანონმდებლობით ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირად განიხილება უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის განსაზღვრულ პირობებს, მაგრამ არსებობს რეალური რისკი, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას მას ემუქრება სერიოზული ზიანი, სასიკვდილო განაჩენი ან სიკვდილით დასჯის საფრთხე, წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ან სასჯელი, სიცოცხლისათვის სერიოზული ინდივიდუალური საფრთხე. (181)

საქართველოს კანონმდებლობით, უცხოელები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში არიან, „მასობრივად შემოსული პირები“ და საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას და არ შეუძლიათ საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივად დარღვევის გამო, განიხილებიან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მაძიებელ პირებად. (181, 21)

ამდენად, არც საერთაშორისო და არც შიდა საკანონმდებლო დონეზე მიგრანტის დეფინიცია განსაზღვრული არ არის (გამონაკლისია შრომითი მიგრანტის დეფინიცია),

შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344<sup>1</sup>-ე მუხლს შენიშვნის სახით დაერთოს ავთენტური განმარტება და განისაზღვროს მიგრანტის ცნება.

დანაშაული მატერიალურია, შედეგდამოკიდებულია და დამთავრებულად ითვლება მიგრანტის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის მომენტიდან, ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიგრანტის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა განხორციელდა მიგრანტის საქართველოში შემოყვანის თუ საქართველოდან გაყვანის მიზნით.

სუბიექტური მხრივ, დანაშაული განზრახია და ამასთან ის ხორციელდება პირდაპირი განზრახვით, რადგან დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი. მიგრანტის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფინანსური თუ სხვა მატერიალური სარგებლის მიღება, ახლობლის დახმარების სურვილი და სხვა.

დამნაშავის მიერ მიგრანტის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით: საზღვრის ფეხით გადაკვეთით, ავტოტრანსპორტით, სარკინიგზო ტრანსპორტით, საჰაერო მიმოსვლის საშუალებით, ზღვაზე გემით, სხვა მცურავი საშუალებებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ხდება უკანონოდ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა შეიძლება განხორციელდეს ფარულად სასაზღვრო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, სახელმწიფო საზღვრის ე. წ. „მწვანე ზოლში“ გადაკვეთით. (179) დაფიქსირებულია სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის განხორციელებაც მიგრანტთა სატრანსპორტო საშუალებაში სპეციალურად მოწყობილ სამალავში მოთავსებით. (178)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედების დამამძიმებელ გარემოებად ითვლება მისი არაერთგზის ჩადენა. დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება, თუ ამავე კოდექსის 344<sup>1</sup>-ე მუხლით წინათ ნასამართლევი პირი კვლავ ჩაიდენს აღნიშნულ დანაშაულს. დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით, პირი წინათ ჩადენილი ანალოგიური დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, ან/და თუ ჩადენილი დანაშაულისთვის ნასამართლეობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

ქმედების შემდგომი დამამძიმებელი გარემოებაა პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა ორი ან მეტი პირის მიმართ, ამ შემთხვევაში დამამძიმებელი გარემოება სახეზეა, თუ სახელმწიფო საზღვარზე მოხდება ორი ან მეტი მიგრანტის უკანონო გადაყვანა. ამ ვითარებაში მნიშვნელობა არა აქვს, ეს დამნაშავემ ჩაიდინა ერთი მოქმედებით, მაგალითად, სახელმწიფო საზღვარზე ორი ან მეტი მიგრანტის ერთდროულად გადაყვანით, თუ მიგრანტთა დროის მცირე ინტერვალით საზღვარზე სათითაოდ გადაყვანით.

ქმედების დამამძიმებელი გარემოებაა დანაშაულის ჩადენა მიგრანტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნით, ეს გულისხმობს მიგრანტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალური კონკრეტული საფრთხის შექმნას. ეს საფრთხე შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მაგალითად, საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის მიზნით, დანაშაულ ტერიტორიაზე გავლა, ადიდებული მდინარის გადალახვა, სიცოცხლისათვის სახიფათო კლდოვანი რელიეფის მქონე მთის გადალახვა და სხვა.

ქმედება, თუ მას თან ახლავს მიგრანტის მიმართ არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობა, მისი ექსპლუატაციის ჩათვლით, ასევე განიხილება დამამძიმებელ გარემოებად. მიგრანტის მიმართ არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: სიტყვიერად, მისი დაცინვით, ლანძღვით, გინებით და სხვა. მოქმედებით. მაგალითად, მიგრანტისათვის გამოსაყენებლად უვარგისი საკვების მიცემით ან საკვების მიუცემლობით. მიგრანტის ექსპლუატაცია შეიძლება გამოიხატოს მის იძულებაში, ანაზღაურების გარეშე შეასრულოს სხვადასხვა სამუშაო, ასევე მიგრანტის სექსუალური ექსპლუატაცია და სხვა.

საქართველოს სსკ-344<sup>1</sup>-ე მუხლის მესამე ნაწილით განსაკუთრებით დამამძიმებელ ქმედებად ითვლება ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ. საქართველოს კანონმდებლობით დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად რომ დაკვალიფიცირდეს, იგი უნდა განახორციელოს დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, ე. ი. ჯგუფმა, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი და რომელშიც შეიძლება არც იყოს განაწილებული როლები მის წევრებს შორის, მაგრამ სავალდებულოა ჯგუფის წევრების წინასწარი შეკავშირება ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ან პირდაპირი, არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზნის ქონა.

დამამძიმებელი გარემოებაა, თუ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულმა ქმედებამ გამოიწვია მიგრანტის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე

შედეგი. აქ კანონმდებელი მხედველობაში იღებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევას. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა შეიძლება გამოწვეული იქნეს სატრანსპორტო საშუალებებში სპეციალურად მიგრანტთა ფარული გადაყვანისთვის მოწყობილ სამალავებში მოთავსებული მიგრანტის გაგუდვით, წყლის სივრცის გადალახვისას მიგრანტის წყალში ჩავარდნითა და დახრჩობით და სხვა. სხვა მძიმე შედეგი იქნება მიგრანტის ჯანმრთელობისთვის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება.

თუ მიგრანტის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის დროს მძიმე შედეგი დადგა განზრახი მოქმედებით, ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით. ხოლო გაუფრთხილებლობის გამო ამ შედეგის დადგომის შემთხვევაში დამატებითი კვალიფიკაცია საჭირო არ არის, რადგან ეს თვითონ სსკ 344<sup>1</sup>-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი ნიშანია. (22, 28-30)

იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე მიგრანტის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღებს ხელს, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. თუმცა მას შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს სხვა უკვე ჩადენილი ქმედებისათვის, მაგალითად, ყალბი დოკუმენტის დამზადება-შექენისათვის და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე ვერ მოასწრებს მიგრანტის სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანას, საზღვრის უკანონო გადაკვეთას, სახეზე იქნება დანაშაულის მცდელობა. ხოლო თუ დამნაშავეს დააკავებენ მიგრანტის საზღვარზე უკანონოდ გადაყვანისათვის ყალბი დოკუმენტაციის მომზადების პროცესში, ან ამავე მიზნით მიგრანტის უკანონოდ გადასაყვან სატრანსპორტო საშუალებებზე სამალავების მოწყობის მომენტში, მაშინ სახეზე იქნება სსკ 344<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად მომზადება.

საქართველოში მიგრანტის უკანონოდ შემოყვანა შეიძლება მოხდეს საქართველოდან მისი მესამე ქვეყანაში გადაყვანის მიზნით. ამ შემთხვევაში საქართველო გახლავთ შუალედური ქვეყანა. იმ გარემოებას, რომ დამნაშავეს მიზანი არ არის მიგრანტის საქართველოში დატოვება და მიგრანტის საქართველოში შემოყვანა მოხდა დროებით (ტრანზიტული მიგრაცია) სსკ-344<sup>1</sup>-ე მუხლის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რადგან დანაშაულის ჩადენა დამთავრდა საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის მომენტში. თუ დამნაშავემ შეძლო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის გზით მიგრანტის საქართველოში შემოყვანა, მაგრამ დანაშაულის ფაქტი გამოვლინდა მხოლოდ მიგრანტთა

საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის უკანონო გადაკვეთით მესამე სახელმწიფოში გადაყვანის მცდელობისას, სახეზე იქნება დამთავრებული დანაშაული და დანაშაულის მცდელობა.

ტრანზიტული მიგრაციის მიზანი შეიძლება იყოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ორჯერ უკანონოდ გადაკვეთა (მიგრანტის ქვეყანაში უკანონოდ შემოყვანა და მესამე სახელმწიფოში უკანონოდ გაყვანა), ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, კანონმდებელმა იმსჯელოს სსკ 344<sup>1</sup>-ე მუხლში ტრანზიტული მიგრაციის, როგორც ქმედების დამამძიმებელი გარემოების ასახვაზე. (22, 30-31)

„მიგრანტები არ შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში იმ ფაქტის გამო, რომ ისინი გახდნენ მათი სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანის მიზნით ყალბი სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შექმნის, ასეთი დოკუმენტის შექმნა-გადაცემის ან ფლობის ობიექტები. (284)

შესაბამისად, საქართველოს სსკ 344<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი არ არის მიგრანტი, აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტია ის პირი, რომელიც ახორციელებს მიგრანტის საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადაყვანას. ეს პირი შესაძლებელია იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს (14 წლის ასაკს) მიღწეული შერაცხადი ნებისმიერი ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი კუთვნილებისა ან მოქალაქეობის არქონისა, ასევე იურიდიული პირი, მიუხედავად მისი რეგისტრაციის ადგილისა.

## 4.2. ქვეყნის უსაფრთხოების პრევენციის თავისებურება

### 4.2.1. უსაფრთხოების პრევენციის სრულყოფის პრობლემა

საზღვრის დაცვა წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ნაწილს. გასაგებია, რომ უსაფრთხოების სისტემის სირთულეები ლოგიკურად აისახება საზღვრის უსაფრთხოების მდგომარეობაზე. ამიტომ მოკლედ შევეხოთ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის პრობლემებსა და გამოწვევებს.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესისთვის არ არსებობს მკაფიო ნიშნულები, რითაც იწყება და სრულდება იგი. უფრო სწორად, დასაწყისზე და დასასრულზე საუბარი პირობითია, რადგან ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი პოლიტიკის დაგეგმვას, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვასაც „ციკლის“ ხასიათი აქვს. 2009-2010 წლებში სამ ეტაპად დაიგეგმა ეროვნული უსაფრთხოების



პოლიტიკა. თუმცა, ჯერ ერთი, ციკლი არ იყო სწორად განსაზღვრული, რადგან ძნელი სათქმელია პირველ ეტაპზე შესამუშავებელი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და ბოლო ეტაპზე შესამუშავებელი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას შორის რამდენად არსებითი იქნებოდა განსხვავება და რა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში. ამ ორი კონცეპტუალური დოკუმენტის ცალ-ცალკე შემუშავების მეორე ციკლი არ დასრულებულა, რადგან ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია არ შემუშავებულა. (85)

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ არ იკვეთება მტკიცე კავშირი ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და უწყებრივ დონეზე შემუშავებულ კონცეპტუალურ დოკუმენტებს შორის. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესს უნდა ჰქონდეს ერთიანი ხასიათი. საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ჩვენთან უკვე მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, წარმოადგენენ მთავარ კონცეპტუალურ დოკუმენტებს ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, სწორედ ისინი უნდა იყოს ერთგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტები უწყებრივ დონეზე შესამუშავებელი კონცეპტუალური დოკუმენტებისათვის. პრაქტიკაში კი, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ხშირად ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელი, საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, იღებს უწყებრივ დონეზე კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავების გადაწყვეტილებას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ განახლებულა 2011 წლის შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსია და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგები ამა თუ იმ ფორმით აისახა ყველა იმ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტში, რომელიც რუსეთის ამგვარ ქმედებებს პირდაპირ თუ ირიბ საფრთხედ მიიჩნევდნენ. მათ შორის, მაგალითად, ეს მოვლენები აისახა 2015 წელს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში შემუშავებულ, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში. ასევე - 2017 წელს, უკვე პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დროს შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში. ევროკავშირმა კი 2016 წელს, 2003 წლის შემდეგ პირველად, გადაწყვიტა შეეცვალა საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელშიც რუსეთი და მისი აგრესიული პოლიტიკა საკმაოდ ადეკვატურად არის შეფასებული. (85)

აგრეთვე ყურადსაღებია შემდეგი შენიშვნა. როგორც აღნიშნულია, საქართველოს, სხვა დიდი თუ მცირე ქვეყნებისგან განსხვავებით, 2014 წლის მოვლენები საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში არ აუსახავს. ზოგადად, საქართველოს ტიპის ქვეყნისთვის, რომლის გარშემო უსაფრთხოების გარემო საკმაოდ სწრაფად იცვლება, 7-8 წელი საკმარისზე

მეტი პერიოდია იმისთვის, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია გადაიხედოს. შესაბამისად, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს საკანონმდებლო რეგულაციის მეშვეობით დროის ლიმიტირებული პერიოდის დაწესება, რომლის შემდეგაც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უნდა გადაიხედოს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს, თუ რითი იწყება და სრულდება საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ციკლი. გასაახლებელია ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები - საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტი და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ამ ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უწყებრივი კონცეპტუალური დოკუმენტები, რაც ერთგვარად შეკრავს საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის პროცესს. (85)

4.2.2. საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინება, როგორც უსაფრთხოების პრევენციის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი

უსაფრთხოების პრევენციის სისტემაში მნიშვნელოვანია საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია:

- რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტების თავიდან აცილება, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკის გათვალისწინება;

- კავკასიაში არსებული კონფლიქტების ანალიზი და შესაბამისი ზომების დაგეგმვა;
- საერთაშორისო ტერორიზმთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერება;

- სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება გამოწვევაა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის. მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განმეორების შემთხვევაში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევა. საქართველოს უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის გაუმჯობესება. ეკონომიკის არასათანადო ტემპით განვითარებამ, სახელმწიფო შემოსავლების მკვეთრად შემცირებამ, უმუშევრობის უკიდურესმა ზრდამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სოციალურ დაძაბულობასა და დაემუქროს ქვეყნის განვითარებას,

სტაბილურობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულია ქვეყნის ეკონომიკისა და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და ზრდა;

- კიბერსაფრთხეების პრევენცია;
- ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
  - სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით ყველა მოქალაქისათვის სათანადო პირობების შექმნა სახელმწიფო ენის შესასწავლად, რაც ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში;
  - საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო რეინტეგრაცია და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის აღდგენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტებია. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება;
  - საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება. (203)

#### 4.3. საბაჟო წესების დარღვევის პრევენციის თავისებურება

##### 4.3.1. საბაჟო წესების დარღვევის პრევენციის ზოგადი კრიმინოლოგიური დახასიათება

საბაჟო სისტემა არსებობს ქვეყანაში საქონლის იმპორტის გადასაჭრელად, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს იმპორტისა და ექსპორტისთვის საქონლის დაბეგვრის პროცედურის დაწესებით. ამ საფუძველზე გადახდისაგან თავის არიდება, თაღლითური გადახდის მეთოდები ან ნებისმიერი სახის კომერციული და საბაჟო სამართალდარღვევა ქმნის საბაჟო წესების დარღვევის სფეროს.

სანქციები კომერციულ და საბაჟო თაღლითობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მითითებულია შესაბამის რეგულაციებში. თუმცა, ზოგიერთი ამოცანა ხშირად წარმოიშობა საბაჟო ადმინისტრაციული და აღმასრულებელი რეგულაციების ბოროტად გამოყენების გამო. დევიანტური ქცევა და დანაშაული სხვადასხვა გზით ვითარდებიან და თავს არიდებენ სასჯელს.

აღნიშნული ტიპის დანაშაული, როგორც სოციალური ფენომენი, იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და მოითხოვს დანაშაულის დაძლევის მეთოდების შეცვლას ადამიანის საზოგადოების განვითარების შესაბამისად. ისე რომ, კრიმინალური პოლიტიკა და

განსაკუთრებული კრიმინალური საშუალებების გამოყენება, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი, თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია.

საბაჟო დანაშაულების განვითარებამ გზა გაუხსნა ამ მოვლენისადმი კრიმინოლოგების ყურადღებას. კერძოდ, დანაშაულის სოციალური მიზეზების კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების აღმოფხვრას; ამავდროულად, მსოფლიოს ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრევენციული კრიმინოლოგიის ფორმირებას, როგორც გამოყენებითი კრიმინოლოგიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. თანამედროვე პირობებში კრიმინოლოგებმა შემოგვთავაზეს მრავალი კლასიფიკაცია, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ტიპის პრევენციის სისტემა: კრიმინალური (პროაქტიული) და არაკრიმინალური (რეაქტიული). სისხლის სამართლის პრევენცია ხორციელდება დანაშაულებრივი ქცევის ჩადენის შემდეგ. არაკრიმინალური პრევენცია ხორციელდება დანაშაულობის გენეზისზე ზემოქმედების გზით. (149, 219-224)

კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა წამყვან როლს თამაშობს საბაჟო დანაშაულის პრევენციის სისტემაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია:

- ეფექტური, დროული და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება ეროვნული წარმოების დასაცავად;
- ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლა კონტრაბანდის წახალისების მოსაშორებლად;
- კონტრაბანდის შესახებ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაციის გაუმჯობესება;
- სამუშაო ადგილების შექმნა სპეციალურად მოსაზღვრე რეგიონებში მყოფი უმუშევრებისთვის;
- მკაცრი სასაზღვრო კონტროლის განხორციელება;
- შიდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მათი ფასების შემცირება;
- კონტრაბანდული საქონლის რეკლამირების აკრძალვა;
- ხალხის განათლების გაძლიერება მედიის საშუალებით კონტრაბანდის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლაში;
- ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებში ვაჭრობის კონკრეტული წყაროების ზედამხედველობისა და კონტროლის გაუმჯობესება. (151, 293-300)

საბაჟო სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის დროს საჭიროა განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად. კონტრაბანდასთან დაკავშირებული დანაშაულის პირველადი პრევენციის

დროს საჭიროა გავითვალისწინოთ ადამიანების მიდრეკილების ძირითადი მიზეზები ამ დანაშაულის ჩადენისკენ. თუ საზოგადოებაში მოიხსნება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სიღარიბე და უმუშევრობა, საზოგადოებაში დანაშაულის დონე შემცირდება. ჩადენილი დანაშაულის საპასუხოდ პროფილაქტიკური მიდგომის გარდა, საჭიროა გათვალისწინებული იქნას შესაბამისი სასამართლო პოლიტიკა დანაშაულის ხელახალი ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ანუ დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საკმარისი მონიტორინგის ფაქტორები, საქონლის კონტრაბანდასთან დაკავშირებული დანაშაულის სფეროების გამოსარიცხად და სიტუაციური პრევენციის ზომების მისაღებად. თუ ჩვენს საზღვრებში სათანადოდ არ ტარდება მონიტორინგი, მაშინ დანაშაულის აღბათობა გაიზრდება და ამით ქვეყნის საზღვრებში მათი შესვლისა და გასვლის კონტროლი ეფექტური იქნება მარტო სიტუაციურად და არა მუდმივად.

ფაქტორებს შორის უნდა აღინიშნოს საბაჟო სისტემის მართვის გაუმჯობესების ზომებიც. ამ ზომების განხორციელება მიზნად ისახავს საბაჟო წესების დარღვევების თავიდან აცილებას, სამუშაო ეთიკის კულტურის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და საბაჟო პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კორუფციის მოწყვლადობა, ზომების იდენტიფიცირება და მათი დაცვისა და აღმოფხვრის გადაწყვეტილებები. ამასთან, მნიშვნელოვანია აღმასრულებელი საბაჟო და ადმინისტრაციული თანამდებობების სათანადო შესრულების კონტროლი. არანაკლებ აქტუალურია სამუშაო ჯგუფების გააქტიურების სურვილი მოსყიდვისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და ადმინისტრაციული „ჯანმრთელობის“ გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების დადგენა მათი ადამიანური რესურსების აღჭურვისა და პროპორციული განაწილებისთვის. (145)

კორუფციასთან ბრძოლა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საბაჟო დანაშაულის პრევენციაში. ნებისმიერი სახის კორუფცია ანადგურებს საზოგადოების ზნეობრივ და სულიერ საფუძვლებს, ამცირებს საზოგადოების ნდობას პოლიტიკური სისტემისადმი და უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების განვითარებაზე. კორუფციის საერთო ასპექტი ყველა ორგანიზაციულ და ოფიციალურ საქმიანობაში წარმოადგენს ანომალიასა და ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დარღვევას. კორუფცია არის მძიმე, ფარული და მრავალფეროვანი ბიზნესი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა იყოს რთული, მუდმივი და ხანგრძლივი. საინტერესო მომენტია, რომ კორუფციასთან ბრძოლას არ შეუძლია მისი აღმოფხვრა, მაგრამ მას შეუძლია შეამციროს იგი. შესაბამისად, საბაჟო კორუფციის მოგვარება მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას ძირითადი მიზეზებისა და შედეგების გადასაჭრელად.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბაჟო დანაშაულის პრევენციაში. საბაჟო, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მეურვე, პასუხისმგებელია საქონლისა და მგზავრების შემოსვლისა და გასვლის კონტროლზე. ბუნებრივია, ნარკოტიკებით მოვაჭრეები ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ საბაჟო და გადაზიდონ ნარკოტიკების გემები სხვადასხვა ჯგუფის მძიმე ტვირთის საშუალებით, მათი მანქანაში ან კომერციულ საქონელში ჩასმა და ა. შ.

#### 4.3.2. საბაჟო დანაშაულობის პრევენცია და სისხლისსამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხების დახასიათება

1. 2000 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლებოდა ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებდა 800 ლარს. ოდენობაში იგულისხმებოდა არა ნივთის ღირებულება, არამედ გადაუხდელი თანხის ოდენობა. ხოლო, დღეს, დიდ ოდენობას განსაზღვრავს ნივთის საბაჟო ღირებულება, რომელიც უნდა აჭარბებდეს 15 000 ლარს. მიუხედავად ამ თანხების სხვაობისა, საბოლოო ჯამში, თითქმის თანაბარი თანხა გამოდის, რადგან იმპორტის გადასახადი ძირითად ნივთებთან მიმართებაში არის 5%. 15 000 ლარის 5% კი უდრის 750 ლარს. აღნიშნული საკითხი არაა გადაწყვეტილი პირის სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, რადგან, დღეის მდგომარეობით, დიდი ოდენობის ზღვარი შემცირებულია. დღეს მოქმედი რედაქცია პირის საზიანოდ არის გადაწყვეტილი, ნივთების არალეგალურ შემოტანაზე, რომლებზეც იმპორტის გადასახადი 0%-ის ტოლია. ძველი რედაქციის შემთხვევაში, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, რადგან დიდ ოდენობად ითვლებოდა 800 ლარზე მეტი საბაჟო გადასახდელი, დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით კი საბაჟო გადასახდელს მნიშვნელობა არ აქვს და პირს მაინც დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდესაც შემოიტანს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების ნივთს მაშინ, როდესაც ამ ნივთის შემოტანით სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი არ ადგება.

2. შემდეგი საკითხია: უნდა დაისაჯოს თუ არა პირი სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით, რომელმაც საზღვარგარეთიდან მიიღო საფოსტო გზავნილი და არ განაბაჟა საქონელი. დასკვნის თანახმად, აღნიშნული დისპოზიციით კანონმდებელმა იმპერატიულად დაადგინა საბაჟო წესის დარღვევის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრები. კერძოდ, აღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, სახეზე იყოს

სახელმწიფო საზღვარზე დიდი ოდენობით ნივთის გადატანის ან გადმოტანის შემთხვევა. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ადგილს - საბაჟო საზღვარს, რაც დამნაშავის ქმედებით უნდა გადალახოს საქონელმა. აღნიშნული კი გულისხმობს აღმსრულებლის მიერ აქტიური ქმედების განხორციელებას. რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს უმოქმედობით მოცემული დანაშაულის ჩადენას საფოსტო გზავნილის მიმღების მიერ.

3. ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანების მიხედვით, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, უმეტეს საქონელზე იმპორტიორს შეუძლია გამოიტანოს საქონელი და გადაიხადოს იმპორტის გადასახდელები 5 კალენდარული დღის ვადაში. მსჯელობის შედეგად დავასკვნით, რომ აღნიშნული შემთხვევა ვერ ჩაითვლება სსკ-ის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, რადგან ამ დროს მეწარმეს მოტყუებით გააქვს საქონელი ისე, რომ არ აქვს გადასახადის გადახდის განზრახვა. ასეთი სახის მოტყუების შესახებ კი სსკ-ის 214-ე მუხლის დისპოზიციაში ნახსენები არ არის.

4. მნიშვნელოვანია საკითხი: წარმოადგენს თუ არა საზღვარზე საქონლის ფიზიკური გადატანა ყოველთვის ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთას, რის შედეგადაც დავადგინეთ, რომ სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთა წარმოადგენს ფიზიკურ მომენტს, ხოლო ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთა გულისხმობს (როდესაც შემოტანილ საქონელზე ჩასატარებელია პროცედურები) - სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის შემდგომ მასთან დაკავშირებული საბაჟო პროცედურების ამოწურვას. (18, 227-235)

5. სსკ-ის 214-ე მუხლის დეფინიციაში უბრალოდ „შემოტანის/გატანის“ ცნების არსებობა არ არის საკმარისი, რადგან სახელმწიფოს საზღვრის შიგნით საქონლის შემოტანაც და გატანაც შეიძლება გულისხმობდეს მრავალ სხვადასხვა საქმიანობას: იქნება ეს იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანის რეჟიმი, შიდა გადამუშავების რეჟიმი, გარე გადამუშავების რეჟიმი და საწყობის რეჟიმი. ამათგან, ნაწილის განხორციელება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფოს მატერიალურ ზიანს აყენებს, ნაწილი კი - არა. მსჯელობის შედეგად დავადგინეთ, რომ საქართველოს ეკონომიკურ ინტერესს მხოლოდ იმპორტი, რეექსპორტი და დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაცია უქმნის საფრთხეს, რის გამოც სსკ-ის 214-ე მუხლში სწორედ ამ სამი სასაქონლო ოპერაციის თაობაზე უნდა იყოს აღნიშნული. პირი, რომელიც საქონელს დანარჩენ სასაქონლო ოპერაციებში მოაქცევს, არ უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, იგი უნდა დაისაჯოს ადმინისტრაციული წესით, რადგან მისი საერთოდ დაუსჯელობის შემთხვევაში ზიანი მიადგება სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ინტერესებს.

6. შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დეფინიცია არც ერთ საკანონმდებლო აქტში არ არის ასახული. საშიში ქიმიური ნივთიერებების დეფინიცია ჩამოყალიბებული იყო საქართველოს კანონში საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ, რომლის მიხედვითაც საშიში ქიმიური ნივთიერება განსაზღვრული იყო ისეთ ნივთიერებად და პრეპარატად, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, ამასთან, მიკუთვნებული იყო ტოქსიკურობისა და საშიშროების შემდეგ კლასებში: ფეთქებადი ნივთიერებები, დამჟანგავი ნივთიერებები, უკიდურესად აალებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებები. თუმცა აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2010 წლის 08 აპრილის „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც, თავის მხრივ, საერთოდ არ შეიცავდა დეფინიციას, თუ რა იგულისხმებოდა საშიშ ქიმიურ ნივთიერებებში. ამდენად, ქართული კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ ქიმიურ ნივთიერებათა ცნებას და სპეციალური რეესტრით ადგენს მათ მახასიათებლებს და კატეგორიებს, მაგრამ ცალკე გათვალისწინებული არ არის შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების ჩამონათვალი. საქართველოს კანონმდებლობით, ეს ორი ცნება არ არის განსაზღვრული და გამოყენებულია მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლში. სსკ-ის 214-ე მუხლი ბლანკეტურია, მაგრამ ამ ორ ცნებასთან მიმართებით არ არსებობს სპეციალური ნორმა, რაც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების დადგენისათვის. ამდენად, აუცილებელია ამ ორი კატეგორიის ნივთიერების გათვალისწინება და მათი დახარისხება სპეციალური ნორმებით, ან მათი ამოღება სსკ-ის 214-ე მუხლის შემადგენლობიდან. (18, 227-235)

7. საბაჟოზე შემოტანისას პირს შეიძლება წესრიგში ჰქონდეს ყველა დოკუმენტაცია, თუმცა არ ჰქონდეს ტვირთი ეტიკეტირებული. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში არ არის იმ დანაშულის ხერხების შესახებ მითითებული, რაც ამ მუხლის პირველ ნაწილშია ჩამოთვლილი, ამდენად, გაურკვეველია, არის თუ არა აუცილებელი სსკ-ის 214-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ხერხების გამოყენება სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით პასუხისმგებლობისათვის, რადგან მასში აღნიშნულია მხოლოდ დადგენილი წესის დარღვევით შემოტანის თაობაზე, რაც უნდა გულისხმობდეს ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის, N263-ით, ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის (რომლის მიხედვითაც საჭიროა, ფეთქებადი ნივთიერების ნიშანდება და ეტიკეტირება), დადგენილი წესის დარღვევით



შემოტანას. ამდენად, ეტიკეტირების გარეშე შემოტანა ჩაითვლება საბაჟო წესის დარღვევად, რის გამოც პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აღნიშნული არ უნდა ჩაითვალოს სწორად. საჭიროა სსკ-ის 214-ე მუხლის შენიშვნაში დაემატოს ის, რომ თუ პირი ყველა საჭირო დოკუმენტაციას წარადგენს საბაჟოზე და არ მოხდება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ტვირთის შემოტანა, პირი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და დაისჯება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით.

8. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილში ერთადაა მოქცეული საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღისა და მასობრივი განადგურების იარაღის გადმოტანის შემთხვევები. გამოდის, რომ ერთი პისტოლეტის გადატანა ან გადმოტანა იმავე საფრთხის შემცველია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, როგორც მასობრივი განადგურების იარაღი. უმჯობესი იქნება აღნიშნულ ნორმაში ცვლილების შეტანა და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება, რადგან მასში მოქცეულია ისეთი ნივთები, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას. ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით შემოტანა უნდა გადავიდეს თავში - დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ. სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლი ცალკე აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გადატანაზე ან გადმოტანაზე. ანალოგიურად უნდა იყოს მოწესრიგებული ცეცხლსასროლი იარაღის შემთხვევაშიც.

9. საბაჟო წესის დარღვევით ნარკოტიკული საშუალების შემოტანა ცალკე არის გამოყოფილი, მისი საშიშროებიდან გამომდინარე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით, სასჯელის სახით გათვალისწინებულია ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემთხვევაში მე-4 ნაწილით გათვალისწინებულია თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი კი, რომელშიც დანაშაულის საგნად სხვა ნივთებთან ერთად მოხსენიებულია ცეცხლსასროლი იარაღის საბაჟო წესის დარღვევით შემოტანა, სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ ხუთიდან რვა წლამდე. საინტესოა, რატომ ჩათვალა ნარკოტიკული საშუალების საბაჟო საზღვარზე შემოტანა კანონმდებელმა უფრო მძიმე დანაშაულად, ვიდრე შხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების შემოტანა, მაშინ, როდესაც ამ ნივთიერების შემოტანით ბევრად უფრო მძიმე შედეგი შეიძლება დადგეს?

ამდენად, დავადგინეთ, რომ აუცილებელია მოხდეს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული არაადეკვატური სასჯელის უფრო სამართლიანი განსაზღვრა. (18, 227-235)

4.4. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები, როგორც საზღვრის დაცვის პირობა

4.4.1. ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც ძირითადი პრევენციული ზომა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი რთული კრიმინოგენული სიტუაცია საზღვრის დაცვის სფეროში წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას. ამჟამად, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებთან.

საქართველოს მთავარ საფრთხეებს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა. გრძელდება რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაოფიციალური ანექსიის პროცესი, იზრდება მილიტარიზაცია, ოკუპირებული ტერიტორიების განზრახ იზოლაცია, უკანონო დაკავებები და ეთნიკური დისკრიმინაცია საქართველოს მოსახლეობის მიმართ.

როგორც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშშია აღნიშნული, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებული პროცესები აჩვენებს, რომ რუსეთი თანდათან ახორციელებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაოფიციალური ანექსიის პოლიტიკას. ამ პროცესის ნათელი მაგალითებია რუსეთის მიერ დე ფაქტო აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან გაფორმებული ე. წ. ალიანსის შეთანხმებების პრაქტიკული განხორციელების ნაბიჯები. ამასთან დაკავშირებით, 2017 წელს შეიქმნა რუსეთისა და დე ფაქტო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი „ინფორმაციისა და კოორდინაციის ცენტრი“. სოხუმის რუსეთის ფედერალურ საბაჟო სამსახურში გაიხსნა ე. წ. სპეციალიზირებული საბაჟო პუნქტი. 2017 წლის 01 ნოემბერს დე ფაქტო ცხინვალის მიერ განხორციელდა ცხინვალის შეიარაღებული ძალების რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ჩართვა. (85)

2017 წლის 9 აპრილს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ჩატარებული უკანონო „რეფერენდუმის“ შედეგად შეიცვალა "რესპუბლიკის" სახელი და ახლა მას ეწოდა "სამხრეთ

ოსეთის რესპუბლიკა - სახელმწიფო ალანია“, როგორც რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი ფედერალური სუბიექტი ("ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია"). ზემოაღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს ცხინვალის რეგიონის რუსეთთან ინტეგრაციის გაძლიერებასა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრულ გამორიცხვას. (85)

ანგარიშში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ინსტიტუციონალურ დონეზე რუსეთი თანდათან ანადგურებს სოხუმისა და ცხინვალის ე. წ. დე ფაქტო სუვერენიტეტს. აშკარაა, რომ ოფიციალური მოსკოვის სტრატეგიული მიზანია ეფექტური და სრული კონტროლის დამყარება ე. წ. სააგენტოებსა და ფუნქციებზე (ე. წ. საზღვრის დაცვა, საბაჟო სამსახური, "სამართალდამცავი" და "თავდაცვის" ორგანოების ფუნქციონირება და ა. შ. (85)

ფიქსირდება ოკუპირებული ტერიტორიების ფინანსური დამოკიდებულების მაღალი ხარისხი რუსეთის ცენტრალურ ბიუჯეტთან. მონაცემების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, რუსეთის ფედერაციისგან მიღებული ფინანსური დახმარების წილი დე ფაქტო ბიუჯეტებში იყო დაახლოებით 48% (88 მილიონი აშშ დოლარი) აფხაზეთში და დაახლოებით 90% (121 მილიონი აშშ დოლარი) ცხინვალის რეგიონში.

კვლავ პრობლემად რჩება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ „საზღვრის ბორდერიზაციის“ უკანონო პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რუსეთის ფედერალური ბანკის წარმომადგენლები. ეს პროცესი კარგად არის კოორდინირებული დე ფაქტო ხელისუფლებასთან და მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის ჩართვას ე. წ. საზღვრების „დელიმიტაციისა“ და „დემარკაციის“ პროცესში. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს დაფიქსირდა 126 უკანონო დაკავება რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე. წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის მიზეზით, 52 უკანონო დაკავება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით და 74 ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონთან დაკავშირებით. (85)

#### 4.4.2. საოკუპაციო ძალების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენცია და ადამიანის უფლებების დარღვევებისგან დაცვის ეფექტური მექანიზმები

საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) მიმართვაში გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 93-ე სესიისადმი აღინიშნა, რომ სადაც რუსული ძალები ახორციელებენ ეფექტურ კონტროლს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე, რუსეთი პასუხისმგებელია მისი მმართველობის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე ითვალისწინებს, რომ ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია სხვა სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ ექცევა, განურჩევლად იმისა, თუ როგორ ახორციელებს ეს ქვეყნები ეფექტურ კონტროლს ასეთ ტერიტორიებზე, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დარღვევაზე, რასაც ითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. (23)

ადამიანის უფლებების დარღვევების უმეტესობა განპირობებულია მათი ეთნიკური წარმოშობით და გამომდინარეობს რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი და ფაქტო ადგილობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკიდან. (23)

აფხაზეთის და ფაქტო კანონების თანახმად, "აფხაზური ეროვნების პირები (აბაზა) " ითვლებიან "აფხაზეთის რესპუბლიკის" მოქალაქეებად, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა და საცხოვრებელი ადგილისა. აფხაზეთის მოქალაქეობა ვრცელდება აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც 1999 წლიდან მუდმივად ხუთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამრიგად, არსებული კანონმდებლობა დისკრიმინაციულია იმით, რომ ის საშუალებას აძლევს ეთნიკურ აფხაზებს, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობენ ისინი, ავტომატურად გახდნენ მოქალაქეები. მაგრამ უქმნის დაბრკოლებებს არა ეთნიკურ აფხაზებს, რომელთაც სურთ გახდნენ მოქალაქეები. (23)

პრაქტიკაში, მოქალაქეობის მოთხოვნები პირდაპირ და ირიბად დისკრიმინაციას უწევენ აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს, ხოლო სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე დისკრიმინაცია არ ვრცელდება. პირველი, 1999 წლამდე მუდმივი ბინადრობის მოთხოვნა გამორიცხავს აღმოსავლეთ აფხაზეთის ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც 1992-1993 წლების ომის დროს გადაურჩნენ საბრძოლო მოქმედებებს 1999 წლის შემდეგ დაბრუნებამდე. შესაბამისად, დაახლოებით 45-50, 000 ეთნიკური ქართველიდან, რომლებიც ოკუპირებულ აფხაზეთში ცხოვრობენ, მხოლოდ რამდენიმე ასეულ ადამიანს აქვს რეალური დოკუმენტები

აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ. გარდა ამისა, 2014 წელს დე ფაქტო ხელისუფლებამ გაუუქმა და წაართვა მოქალაქეებს საქართველოს პასპორტები. (23)

2009 წლიდან რუსეთის მესაზღვრეები სრულად აკონტროლებენ ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებს. ადგილობრივი მაცხოვრებლების თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის შეზღუდვის გამო რეგულარულად ირღვევა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები პირადი და ოჯახური ცხოვრების, ჯანმრთელობის, განათლების, საცხოვრებლისა და საკუთრების შესახებ.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მძიმე მდგომარეობა მოწმობს ეთნიკური დისკრიმინაციის, სეგრეგაციისა და ასიმილაციის კოორდინირებული პოლიტიკის არსებობას, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის იძულებას დატოვონ ოკუპირებული რეგიონები. ეთნიკურმა წმენდამ კულმინაციას მიაღწია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში.

სახალხო დამცველის წარდგინებაში დასახულია პრევენციული ზომები. ამ მიმართულებით აღინიშნება, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა დაასრულოს დისკრიმინაციული პოლიტიკა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონში, ამიტომ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა რეკომენდაცია უნდა გაუწიოს რუსეთის მთავრობას შემდეგი ზომების შესახებ:

1. დისკრიმინაციული პოლიტიკის აღმოფხვრის მიზნით რუსეთმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განსახორციელებლად, როგორებიცაა: თავისუფალი გადაადგილება, სამუშაო, საცხოვრებელი ფართი, ჯანმრთელობა, ზრუნვა, ქონება და განათლება. ამის გარდა აუცილებელია მიიღოს ზომები ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში / ცხინვალის რეგიონში ეთნიკური ქართველების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სრულად სარგებლობის უზრუნველსაყოფად. (23)

2. სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლების უზრუნველყოფის მიზნით უნდა უზრუნველყოს შესაბამისი იურიდიული ზომების მიღება ფაქტობრივი და რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ რასობრივი დისკრიმინაციის საფუძველზე უკანონო საქციელის გამო, ეთნიკური ნიშნით დანაშაულის დაუსჯელობის აღსაკვეთად. აუცილებელია დასრულდეს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის დაკავება

ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გამოყოფა.

3. განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია რუსეთმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პოლიტიკის ცვლილებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ რეგიონებში, რათა ქართველმა მოსწავლეებმა მიიღონ დაწყებითი და საშუალო განათლება საკუთარ ენაზე, აგრეთვე მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. (23)

#### 4.4.3. საოკუპაციო ძალების მიერ საზღვრის ბორდერიზაციის შეჩერების ზომები

საქართველოს კოალიციის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრის, იუსტიციის საერთაშორისო ორგანიზაციის, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT), ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის, კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებზე საერთაშორისო ცენტრის და ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის წევრებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებიდან მალევე რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაიწყო ე. წ. „სასაზღვროების ბორდერიზაცია“, რაც ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევაა. რუსმა მესაზღვრეებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციიდან თვითნებურად შექმნეს სასაზღვრო ნიშნები, ლოზოები და მავთულხლართები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. ეს უკანონო ქმედებები მიზნად ისახავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ქვეშ მყოფი ტერიტორიების ფიზიკურ გამოჯვანას დანარჩენი საქართველოსგან. 2017 წლის 30 ნოემბრისთვის საქართველოში დაფიქსირდა 30 – ზე მეტი სასაზღვრო შემთხვევა, საიდანაც დაზარალდა 33 სოფელი სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ და შვიდი სოფელი აფხაზეთის გამყოფი ხაზის გასწვრივ. (83) ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

2019 წლის 7 აგვისტოს სოფელ გუგუტიანთკარში ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ განახლდა ხელოვნური ბარიერების თვითნებური მონტაჟი, პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ ბარიერების მუდმივი მშენებლობის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სხვა სახლების წართმევაც მოხდება.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, სარწყავ სისტემას შეუძლია ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა და შედეგად მოსახლეობამ შეიძლება დაკარგოს წყალი.

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავება რამდენიმე წელია გრძელდება. საქართველოს სახალხო დამცველის მონაცემებით, 2011 წლიდან 2018 წლამდე, 2 706 ადამიანი გახდა უკანონო დაკავების / გატაცების მსხვერპლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ. ამ ადამიანებს, რომლებიც შემდგომ დაკავებულნი არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ დაწესებულებებში, ხშირად ექმნებათ არასათანადო მოპყრობა და მათ არ აქვთ ოჯახთან დაკავშირების უფლება. საოკუპაციო ძალების ეს უკანონო ქმედებები გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არის ორგანიზებული, რეგულარული და შეიძლება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იყოს.

ზემოთ აღწერილი სიტუაციის გათვალისწინებით საქართველოს მხარე მოუწოდებს სახელმწიფოებს:

1. გამოიყენოს ყველა დიპლომატიური და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი, რათა დასრულდეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია და დასრულდეს საქართველოს მოქალაქეების ადამიანის ძირითადი უფლებების უხეში დარღვევები;

2. აუცილებელია პატრულირების დამყარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზზე მდებარე სოფლებში, სადაც ხდება უკანონო დაკავებები და საზღვრის დარღვევები;

3. მნიშვნელოვანია ყველაზე ცხელ და საშიშ ადგილებში მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციული და საგანმანათლებლო მუშაობით;

4. აუცილებელია შეჩერდეს უკანონო საზღვრის შეზღუდვა და ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავება და მათი გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა;

5. საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა მიიღოს ზომები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის / ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების წინააღმდეგ და უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების წვდომა ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

6. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო უნდა დააკვირდეს მიმდინარე პროცესებს, გააანალიზოს დანაშაულები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. 2008 წლის

ავვისტოს ომის დროს ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებებზე პასუხისმგებელ პირთა სამართლის პასუხისმგებაში მიცემამ შეიძლება პროფილაქტიკური გავლენა მოახდინოს არსებულ დარღვევებზე. შესაბამისად, უნდა იყოს უზრუნველყოფილი მიმდინარე გამოძიების დროული დასრულება და ამ დანაშაულთათვის ყველაზე მეტად პასუხისმგებელ პირთათვის ორდერის ბრძანების გაცემა. (83)

#### 4.4.4. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის განხორციელების პირობების უზრუნველყოფა

ამ კანონმდებლობის ძირითადი პრინციპია დებულება, რომ საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიო და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის ჰააგის რეგულაციების, 1949 წლის ჟენევის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი ადგენს შემდეგი სახის პრევენციულ ზომებს, კერძოდ:

1. ზღუდავს თავისუფლად გადაადგილებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე;
2. არეგულირებს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე;
3. ზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე;
4. იცავს ადამიანის უფლებებს და კულტურულ მემკვიდრეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე;
5. ადგენს უკანონო ორგანოების (თანამდებობის პირების) საქმიანობის ფარგლებს. (186)


ბოლო პუნქტთან დაკავშირებით აუცილებელია კრიმინოგენული სიტუაციის ვითარების აღწერა. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა წამოჭრა საკითხი, სწორად ხორციელდება თუ არა ეს კანონი. მაგალითად, 2017 წლის მაისში მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი დაუბრკოლებლად შემოვიდა და დატოვა საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკანონოდ იმყოფებოდა აფხაზეთში 2010 წელს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რეგისტრირებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე უცხოელთა უკანონო შემოსვლის 363 შემთხვევა (იხ. დიაგრამა No1). დარღვევების რაოდენობა 2009-დან 2016 წლისთვის 78-დან 19 შემთხვევამდე შემცირდა.




ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით, სამინისტრომ 8 წლის განმავლობაში მხოლოდ 4 ასეთი შემთხვევა დააფიქსირა (იხ. დიაგრამა No2).

დიაგრამა No1.



დიაგრამა No2.



„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ოფიციალური წერილით მიმართეს. წერილში დასახულია შემდეგი სახის ზომები:

1. ევროკომისიის რეკომენდაციით, საქართველომ უფრო ინტენსიური უნდა გახადოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობისა და შერიგების/კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა და ფაქტო ხელისუფლებასთან პრაგმატული თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფის გზით;

2. გადადგას პრაგმატული და კონსტრუქციული ნაბიჯები ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობის, გადაადგილებისა და ინვესტიციების წახალისების მიმართულებით;

3. გადახედოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს;

სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სხვა სოციალური მომსახურების შეთავაზება შერიგებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია – საჭიროა მისი გაფართოება ისეთი წინაპირობების გარეშე, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობების მიღების ვალდებულება.“ (83)

#### 4.5. ტერორიზმის პრევენციის თავისებურება

##### 4.5.1. ტერორიზმის პრევენციის კრიმინოლოგიური უზრუნველყოფა

გასული წლებისგან განსხვავებით, მთლიანად ტერორისტული აქტივობა ანალიზდებოდა კორონავირუსის გავრცელების ჭრილში. მთავარი კითხვები ეხებოდა ტერორიზმის და პანდემიის ურთიერთკავშირს და ამ უკანასკნელის გავლენას კონტრტერორისტულ ძალისხმევებზე, მაგრამ ჩრდილში იყო პრევენციის კრიმინოლოგიური ასპექტები. (87) ამის აუცილებლობა განპირობებულია ტერორიზმის თანამედროვე ტენდენციებით, რომელთა განვითარება მოითხოვს:

1. ტერორისტული იდეოლოგიის დადგენას, ტერორისტული/ექსტრემისტული ნარატივის დროულ გამოვლენასა და ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელების ხელის შეშლას;

2. მსგავსი იდეოლოგიის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მათთან გამკლავების გზების შემუშავებას;

3. ტერორისტული/ექსტრემისტული მიზნებისთვის რელიგიის გამოყენების ხელის შეშლას;

4. ტერორისტული/ექსტრემისტული იდეების გავრცელების თვალსაზრისით მოწყვლადი ჯგუფების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და მათი მონაწილეობით სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელებას;

5. ტერორიზმში ბრალდებულთა დერადიკალიზაციასა და რესოციალიზაციას;

6. ტერორიზმისა და ექსტრემიზმის კუთხით ქალებისა და გოგონების წინაშე მდგარი გამოწვევების შესწავლას;

7. რადიკალიზაციის პრევენციის, დერადიკალიზაციისა და რესოციალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას ბავშვებისა და მოზარდების მიმართ; (290)

8. ექსტრემისტული ჯგუფების ფინანსური დახმარების შეზღუდვის ზომების მიღებას; (144)

9. ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის პროცესში სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციას. პროფილაქტიკური ზომები მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას და მრავალდონიან მონაწილეობას, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა სამთავრობო უწყებების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, რელიგიური და კულტურული ორგანიზაციების, აგრეთვე ავტორიტეტული რელიგიური პირების აქტიურ თანამშრომლობას. (144)

#### 4.5.2. ტერორიზმის პრევენციის სამართლებრივი ველის სრულყოფა

თეორიაში გავრცელებული კლასიფიკაციებისაგან განსხვავებით, ნაშრომში მოცემულია ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია ძირითადი ნიშნის – მოტივისა და მიზნის და არაძირითადი – გამოყენებული ხერხისა და საშუალების, სამოქმედო ფარგლების, განმახორციელებელი სუბიექტის მიხედვით. სამოქმედო მოტივაცია წარმოადგენს ტერორისტული აქტივობის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტს. იმის მიხედვით, თუ რა არის ტერორისტების სამოქმედო მოტივი და სავარაუდო სასურველი შედეგი, ტერორისტული აქტივობის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს რელიგიურ, სეპარატისტულ, ეთნიკურ, მემარჯვენე, მემარცხენე და სხვა მოძრაობებად. იმის მიხედვით, თუ რა

კონკრეტულ საშუალებას და ხერხს შეარჩევს ტერორისტული აქტივობისთვის სუბიექტი, შეიძლება გამოიყოს ბირთვული, ქიმიური, ფეთქებადი, კომპიუტერული და სხვა სახის ტერორიზმი. (18, 173-180)

ტერორიზმის უმნიშვნელოვანეს და იმანენტურ ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ დაშინება. საქართველოს და პოსტსაბჭოური სივრცის სისხლის სამართლის კოდექსებში დაშინება არამართებულადაა მიჩნეული სუბიექტური მხარის ნიშნად ან უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მიზნად. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, რომელშიც ტერორისტულ აქტად მიჩნეულია აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება და ა. შ. “ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით”. ტერორისტული აქტის მიზანი დაშინება არ არის. დაშინება არის საშუალება სახელმწიფო ხელისუფლებაზე, საზოგადოებაზე ზემოქმედების და ტერორისტთათვის სასურველი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. დაშინება ტერორიზმის დროს საბოლოო მიზანი კი არ არის, არამედ საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებაა.

როგორც დაკვირვებები ადასტურებს, ჩამორთმეული ნარკოტიკების რაოდენობის ზრდასთან ერთად, კოლუმბიელმა კონტრაბანდისტებმა შეცვალეს მარშრუტები, გამოიყენეს მექსიკა, როგორც სატრანზიტო პუნქტი, ნარკოტიკების შეერთებულ შტატებში ტრანსპორტირებისთვის. სატრანსპორტო მარშრუტების უფრო დინამიური გავლით, ავტომობილების ურთიერთშემცვლელიობა გაიზარდა კონტრაბანდის ოპერაციის მოდალური მახასიათებლების საფუძველზე მოქნილობის უზრუნველსაყოფად. პროფესიონალი კონტრაბანდები ან მიმართავენ მსუბუქ მანქანებს, კომერციულ ავიაკომპანიებს, სავაჭრო საზღვაო გემებს, სამგზავრო / სატვირთო რკინიგზებს, სამხედრო თვითმფრინავებს და კომერციულ სატვირთო მანქანებს, ან იყენებენ საკუთარ პერსონალურ მანქანებს, როგორცაა სასაზღვრო კატაპულტები, სპეციალურად შექმნილი საგზაო ტრანსპორტი, სწრაფი ნაგებობები და ნახევრად ავტომატიკა და სრულად ჩაძირული გემები, რომ აღარაფერი ვთქვათ ჯორჯზე. ხშირად იცვლება გადაცემის წერტილებისა და არალეგალური სადისტრიბუციო ცენტრების ადგილმდებარეობა, პოლიციელთა დარბევის რისკის შესამცირებლად. კონტრაბანდისტები ჭკვიანურად სახავენ სტრატეგიას კონტრდაზვერვის საბაჟო და სასაზღვრო პატრულირების ოპერატიული პროცედურებისა და საზღვრის გადაკვეთის ოპტიმალური დროის გამოსაანგარიშებლად. საკმაოდ ახალგაზრდა ქალებს განსაკუთრებული გამოყენება აქვთ კონტრაბანდის ჯგუფებში, რადგან ისინი მრავალი მისიით იგზავნიან კონკურენტების, პოლიციის, საზღვრის პატრულირების, პოლიტიკოსების წრეში, რათა ყველა ხერხით დაეუფლონ საიდუმლო ინფორმაციას. (22, 253-265)

4) ინსტიტუციური კოორდინაციის პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას კონტროლის მართვაში.

სასაზღვრო სამსახურის ინსტიტუციური ასპექტების შემსწავლელ ლიტერატურაში აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ინსტიტუციური მმართველობის სტრუქტურები დაიყო განყოფილებებად და უწყებებად, იყო პრეტენზიები იმის შესახებ, რომ ერთმა სააგენტომ არ იცის რას აკეთებს მეორე და რომ მათი პროგრამები არათანმიმდევრულია. სათანადო კოორდინაცია სხვადასხვა სამთავრობო უწყებას შორის აუცილებელია ეფექტურობის დონის მისაღწევად. ინსტიტუციური მმართველობის სტრუქტურები არის ძალაუფლებისა და უფლებამოსილების ფორმები, ურთიერთობების მოდელები, უფლებები და მოვალეობები ორგანიზაციებში. კოორდინაცია არის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც აძლიერებს ინდივიდების ან ორგანიზაციების შესაძლებლობას, ითანამშრომლონ სასურველი მიზნის მისაღწევად და შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საბოლოო სახელმწიფო, რომელშიც მთავრობის პოლიტიკა და პროგრამები ხასიათდება მინიმალური სიჭარბით, შეუსაბამობითა და ხარვეზებით. (113)

სახელმწიფო უწყებები, როგორებიცაა საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი, უპირატესობას ანიჭებენ იერარქიულ სტრუქტურებს. აღნიშნული სფერო მოიცავს სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს, მკაფიო უფლებამოსილებას და სხვა მითითებებს. აღნიშნული სტრუქტურები ეფექტურად მუშაობენ, სანამ სააგენტოები კარგად არიან ინტეგრირებულნი და აქვთ მკაფიო უფლებამოსილება იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ თავიანთი საქმიანობის პროცესში. ამასთან, ფუნქციონალური გაურკვევლობის ზრდასთან ერთად ამოცანები უფრო რთულდება და რუტინულდება, იერარქიების ეფექტურობა მცირდება. (46. 2-42)

ეკონომიკის გლობალურმა ხასიათმა (მათ შორის უკანონო ვაჭრობა) აიძულა საბაჟო და სამართალდამცავი ორგანოები ეთანამშრომლათ და გაეზიარებინათ სადაზვერვო ინფორმაცია საერთაშორისო დონეზე. გლობალიზაცია ნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროები უფრო და უფრო ცენტრალური მოთამაშეები ხდებიან საშინაო პოლიტიკის საკითხებში. ამას გარდა, თავისუფალი ვაჭრობის რეგიონალური ინიციატივები, როგორებიცაა: ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება (NAFTA), ევროკავშირი და სამხრეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN), აგრეთვე მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების ინიციატივები, როგორიცაა საბაჟო სავაჭრო პარტნიორობა ტერორიზმის წინააღმდეგ. (C-TPAT), სავაჭრო-საბაჟო თანამშრომლობამ (AEO) და კონტეინერების უსაფრთხოების ინიციატივამ (CSI) წამოაყენეს ახალი მოთხოვნები საბაჟო ორგანოების წინაშე კოორდინაციის გასაუმჯობესებლად.

#### 4.8.4. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანისა და გატანის პრევენციის თავისებურება

ნარკოკონტრაბანდა, ტრეფიკინგი, იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორიზმი და რიგი სხვა დანაშაული საერთაშორისო საზოგადოების, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს ერთიან შემამფოთებელ პრობლემას წარმოადგენს. ეს დანაშაულები ემუქრებიან მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ქვეყნის სტაბილურობას, უსაფრთხოებას, მის სუვერენულ განვითარებას, დამანგრეველად მოქმედებენ ქვეყნების ეკონომიკაზე, კულტურაზე, საფრთხეს უქმნის სახელწიფო უსაფრთხოებას და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა დანაშაულმა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახელი დაიმკვიდრა.

ნარკოკონტრაბანდა, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, მსოფლიოს გლობალურ საფრთხეს უქმნის, ამიტომ გასულ მეოცე საუკუნეში საერთაშორისო საზოგადოებამ მას ბოროტება უწოდა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი გამოსცა. 1961 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით „ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ“ (1972 წლის ოქმით შეტანილი ცვლილებებით) ნარკომანია, ნარკოკონტრაბანდა შეფასდა, როგორც კაცობრიობისათვის სოციალურ-ეკონომიკური საფრთხის შემცველი ბოროტება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციაში „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ხაზი გაესვა კავშირს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და ორგანიზებულ დანაშაულს და მასთან დაკავშირებულ სხვა ფორმებს შორის და აღინიშნა, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა წარმოადგენს „საერთაშორისო დანაშაულებრივ საქმიანობას“. (282) კონვენციით აღინიშნა, რომ „უკანონო ბრუნვას მოაქვს დიდი ფინანსური მოგება და სიმდიდრე, რაც ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს სამთავრობო სტრუქტურებში, ლეგალურ კომერციულ და საფინანსო ბიზნესში და საზოგადოების ყველა დონეზე შეღწევის, მათი გახრწნისა და კორუმპირების საშუალებას აძლევს.“

აღნიშნული კონვენციებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ნარკოტიკული საშუალებების ექსპორტ-იმპორტის მისი ტრანზიტის დროს სახელმწიფოთა მხრიდან საკანონმდებლო რეგულაციების დაცვას. 1988 წლის კონვენციით, სახელმწიფოებს პირდაპირ დაევალებათ მოითხოვონ, რომ „კანონიერი ექსპორტისთვის განკუთვნილი ნარკოტიკული

საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები სათანადოდ იყოს მარკირებული და დოკუმენტირებული“, რათა თავიდან იქნას აცილებული ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, ნარკოკონტრაბანდა.

კონვენციებმა მოუწოდეს სახელმწიფოებს საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით თავიანთ კანონმდებლობაში დაადგინონ ის ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა ჩაითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად, იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, მისი ტრანსპორტირება, იმპორტი და ექსპორტი არის დანაშაულებრივი ქმედება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო ხელშეკრულებათა მოთხოვნების შესრულების მიზნით საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 5 დეკემბერს მიიღო კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოტიკული დახმარების შესახებ“, რაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 2012 წლის 23 მაისს, იმავე დასახელების ახალი, დღეისათვის მოქმედი კანონის მიღებით.

აღნიშნული კანონი არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ბრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაზღვრავს ამ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვის პირობებს, ექსპორტის, იმპორტისა და ტრანზიტის საკითხებს. (167)

ახალი (1999 წლის) სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებამდე ნარკოტიკულ საშუალებათა საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანა-გატანა განიხილებოდა კონტრაბანდად და განთავსებული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსით ცნება კონტრაბანდა შეიცვალა საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის სახელით ჩამოყალიბებულ დანაშაულთა სახით. ამასთან, კოდექსში შემოტანილი იქნა ნარკოტიკული დანაშაულის თავი და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონო გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, სსკ 262-ე მუხლის სახით განთავსდა ნარკოტიკულ დანაშაულთა თავში, რაც სწორად გადადგმული ნაბიჯია, რადგან საბაჟო საზღვარზე, საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევასთან ნარკოკონტრაბანდის მიზმა სამართლებრივად გაუმართლებელი იქნებოდა.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლით, ინკრიმინირებული დანაშაულისგან დაცვის ობიექტია მოსახლეობის ჯანმრთელობა, საქართველოს კანონით „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და ნარკოტიკული დახმარების შესახებ“ და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ექსპორტ-იმპორტის და ტრანზიტის წესი.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონო შემოტანაში, საქართველოდან უკანონო გატანაში, ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვაში.

დანაშაულის საგანია ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება.

ამ ნივთიერებათა საქართველოში შემოტანა, საქართველოდან გატანა, კანონიერი გზით დასაშვებია თუ ეს პროცედურა ხორციელდება „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორების და ნარკოტიკული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით და შესაბამისად, საქართველოს სსკ 262-ე მუხლით დასჯადია ამ მუხლით განსაზღვრული საგნის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანა-გატანა. რაც შეეხება ტრანზიტს „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორების და ნარკოტიკული დახმარების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ამ ნივთიერებათა ტრანზიტი აკრძალულია, რის გამოც ტრანზიტი ყველა შემთხვევაში დასჯადი ქმედებაა. (3, 617)

ტრანზიტი ნიშნავს მომწოდებელი სახელმწიფოდან ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიის გადაკვეთით ტვირთის გადატანას მიმღებ სახელმწიფოში. „, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ. “ საქართველოს კანონს ერთვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებათა ოთხი სია. პირველ სიაშია შეტანილი ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები. აქ შედის უმაღლესი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე ნარკოტიკული საშუალებები, ასევე მათთან გათანაბრებული სხვა ნივთიერებები, რომელთა ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე მკაცრად არის შეზღუდული. ამ ნივთიერებათა ბრუნვა (გარდა სასწავლო სამეცნიერო, საექსპერტო და კრიმინალისტიკურ საქმიანობაში გამოყენებისა) საქართველოში აკრძალულია.

მეორე სიაში შეტანილია ბრუნვისათვის შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებები, ეს ნარკოტიკული საშუალებები წარმოადგენენ მაღალი სამედიცინო და სოციალური რისკის

მქონე საშუალებებს, რომელთა გამოყენება სამედიცინო მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია, ამ საშუალებათა წამლის ფორმების ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე შეზღუდულია.

მესამე სიაში შეტანილია ფსიქოტროპული ნივთიერებები, მეოთხე სიაში შეტანილია პრეკურსორები, ამ ნივთიერებებს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო დამზადებაში წამყვანი ადგილი უკავიათ.

აღნიშნულ სიებში შეტანილ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ბრუნვის სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებენ მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ლეგალური ბრუნვა დასაშვებია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე გამოცემული კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტ-ექსპორტის, საქართველოში კანონიერად შემოტანისა და საქართველოდან კანონიერად გატანის უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამისი საქმიანობის და ნებართვის მქონე ლიცენზირებულ იურიდიულ პირებს.

ამ ნივთიერებათა შემოტანამდე და გატანამდე იურიდიული პირი ვალდებულია მიიღოს წინასწარი შეთანხმება და ნებართვა. ამასთან ოპერაციების განხორციელება დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ იმ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, რომელთაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საქართველოში შემოტანა-გატანის საბაჟო მომსახურების უფლება.

ნებართვის გაცემამდე სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტი და ექსპორტი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ექსპორტიორი ან იმპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოსთან, რაზეც კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გასცეს წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

წინასწარი შეთანხმების დოკუმენტში აღინიშნება ტვირთის იმპორტიორი (ექსპორტიორი) იურიდიული პირის დასახელება, მათი ფაქტობრივი და იურიდიული მისამართები, გადასატანი პროდუქტის რაოდენობა, წამლის ფორმა, დოზის ერთეული, რაოდენობა, ტრანსპორტის სახეობა, რომლითაც ხორციელდება ტვირთის იმპორტ-ექსპორტი, იმპორტ-ექსპორტის მიზანი, დოკუმენტის მოქმედების ვადა, მისი გაცემის თარიღი და სხვა.

ნარკოტიკული საშუალებების იმპორტ-ექსპორტი ხორციელდება კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტაციით. ამ დოკუმენტაციის არარსებობისას საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ეს ნივთიერებები უნდა დაკავდეს და იურიდიულ პირს არ მიეცეს იმპორტ-ექსპორტის განხორციელების უფლება. საგადასახადო ორგანოს ტვირთის დაკავების ვალდებულება აქვს მაშინაც, თუ სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას აღმოჩნდა, რომ გადასატანი ტვირთის ფაქტობრივ რაოდენობასა და სანებართვო რაოდენობას შორის არის სხვაობა. აღნიშნულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს სრულყოფილი გამოკვლევა და გაირკვეს, ხომ არ ჰქონდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა-გატანის მცდელობას ადგილი. (196)

იკრძალება საფოსტო გზავნილით სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შემოტანა-გატანა, გამონაკლისია საექსპერტო დანიშნულების მიზნით შემოტანა-გატანა, ასევე „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სარეგისტრაციო ნიმუშების, რეფერენს-სტანდარტებისა და ეტალონური სტანდარტული ნიმუშების საფოსტო გზავნილით შემოტანა-გატანა.

საქართველოში, გარდა კანონით დაშვებული გამონაკლისისა (სასწავლო-სამეცნიერო კვლევით, საექსპერტო და კრიმინალისტიკურ საქმიანობაში გამოყენებისა), იკრძალება ნომერ პირველ სიაში შეტანილ ნარკოტიკულ საშუალებათა ბრუნვა, რაც მოიცავს ამ საშუალებათა საქართველოში შემოტანა-გატანის აკრძალვასაც.

აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების შემოტანა-გატანა მიწვრთი საწყობის საბაჟო ტერმინალის მისამართით. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც იმპორტიორი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტში გასატანი პროდუქციის მისაღებად მითითებულია კონკრეტული მიწვრთი საბაჟო საწყობის საბაჟო ტერმინალი.

აკრძალულია ნარკოტიკული საშუალებების რეექსპორტიც, გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ფიზიკურ პირს, რომელიც შემოდის საქართველოში, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტით გამვლელ ფიზიკურ პირს უფლება აქვს სამკურნალო მიზნით თან იქონიოს ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციით, (საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად). ფიზიკური პირის მიერ ამ მიზნით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანა და საქართველოს ტერიტორიის

გავლით სხვა ქვეყანაში გადატანა არ წარმოადგენს ამ ნივთიერებათა ექსპორტ-იმპორტს ან ტრანზიტს, რადგან ამ ნივთიერებების თან ქონა და გამოყენება ამ პირისთვის წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესს.

ფიზიკური პირის მიერ სამკურნალო მიზნით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანა-გატანა რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის N01-32/6 ბრძანებით განსაზღვრული წესით. ბრძანების შესაბამისად, ნებადართულია ფიზიკური პირის მიერ საქართველოში შემოსვლისა და გასვლისას სამკურნალო მიზნით ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების (გარდა „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენციის IV სიაში შეტანილი ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების თაობაზე 1971 წლის კონვენციის I სიაში შეტანილი ფსიქოტროპული ნივთიერებებისა) შემოტანა-გატანა 31 დღის მარაგის ოდენობით. ნარკოტიკული საშუალების იმპორტ-ექსპორტის წესი განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის N153/6 ერთობლივი ბრძანებით „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების იმპორტის და ექსპორტის წესის დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული ბრძანებით (მეხუთე მუხლი), ნარკოტიკული საშუალების იმპორტი ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაკვეთით, ბრძანებით დადგენილია ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორების ექსპორტიორების იურიდიული პირის მიერ წარსადგენი წინასწარი შეთანხმების დოკუმენტის ნიმუშები, მასში შესატანი სავალდებულო მონაცემების აღნიშვნით.

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ექსპორტ-იმპორტის საკითხები რეგულირდება „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 16 აპრილის კანონით. აღნიშნული კანონით (მული 4-ე მუხლი) იკრძალება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან სატრანზიტო გადაზიდვა. ასეთი დასაშვებია სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო და კრიმინალისტიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით. ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა გამოყენების სფეროს, ამ ნივთიერებათა ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ცალკეული სახეობების განხორციელება, (მათ შორის იმპორტ-ექსპორტის საკითხებიც) ხდება ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების,



პრეკურსორების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი (მეოთხე და მეხუთე) თავებით დადგენილი წესით. (167)

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა გადაადგილებისა და ტვირთის გადატანა-გადმოტანის საკითხებს არეგულირებს საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის კანონი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“. მოცემული კანონით ნებისმიერ პირს, რომელმაც დაარღვია ან ცდილობდა დაერღვია სახელმწიფო საზღვარი, გაიტანა ან ცდილობდა გადაეტანა ტვირთი კანონით განსაზღვრული წესის დარღვევით, ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრთა გადაადგილების, ასევე საქონლის (მომრავი ნივთის) და ტრანსპორტის გადაადგილების სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კოდექსის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორია შედგება საქართველოს სახმელეთო ტერიტორიისაგან, ტერიტორიული და შიდა წყლებისაგან და მათი საჰაერო სივრცისგან, საქართველოს საბაჟო ტერიტორია მოიცავს განსაკუთრებით ეკონომიკურ ზონაში განლაგებული დანადგარების, ნაგებობების და ხელოვნური კუნძულების ტერიტორიებს, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია.

საქართველოს საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნის, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შემოტანა-გატანა შეიძლება განხორციელდეს საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვრის ე. წ. „მწვანე ზოლის“ ფარული გადაკვეთით ან საბაჟო საზღვარზე არსებული საბაჟო პუნქტის გავლით მისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, ასევე იმ საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, რომელსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სფეროში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესით არა აქვს მინიჭებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შემოტანა-გატანაზე საბაჟო მომსახურების უფლება.

მალული გატანის დროს ნარკოტიკულ საშუალებებს, მის ანალოგ პრეკურსორს ან ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას მალავენ წინასწარ მოწყობილ სამალავებში მოთავსებით, ან ისეთი ფორმით მათი დამალვით, რომ ისინი საბაჟო კონტროლის გავლისას ვერ იქნეს აღმოჩენილი საბაჟო კონტროლის განმახორციელებელი პირების მიერ. ნარკოკონტრაბანდისტები

სხვადასხვა ხერხს მიმართავენ იმისთვის, რომ მოახდინონ ნარკოტიკების სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე უკანონო გადატანა-გადმოტანა.

2015 წლის 30 სექტემბერს ამჟამად მსჯავრდებულმა პირმა, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 14 ერთეულად დაფასოებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით 1, 6728 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონის“ (მარილი) შემცველი თეთრი ფერის ნივთიერება, რომელსაც მალავდა საკუთარი სხეულის შინაგან ორგანოებში (სწორნაწლავში), ამ ფაქტის გამოვლენა საბაჟო გამშვებ პუნქტზე შესაძლებელი გახდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე.

ცალკეულ შემთხვევებში ნარკოკონტრაბანდისტები ნარკოტიკულ საშუალებას მალავენ სატრანსპორტო საშუალებაში მოწყობილ სამალავებში და ამ სატრანსპორტო საშუალებებს სამართავად გადასცემენ პირებს, რომლებმაც შესაძლოა არც იცოდნენ ავტო მანქანაში თუ სხვა სატრანსპორტო საშუალებაში ნარკოტიკული საშუალების დამალვის შესახებ, თვითონ კი ქვეყანაში შემოდიან ან ქვეყნიდან გადიან სხვა საშუალებით და მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემდგომ იბრუნებენ იმ სატრანსპორტო საშუალებას, რომელშიც ნარკოტიკი დამალეს.

2015 წლის 5 ივლისს სომხეთის რესპუბლიკიდან საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით მოქალაქემ მალულად „Toyota Land Cruiser“ ის ავტომანქანის საწვავის გაუქმებულ ავზში დამალული 236, 137 გრამი „მეტამფეტამინი“ და 60345, 264 გრამი „ამფეტამინი“ უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. რა დროსაც იგი დაკავებული იქნა ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული პირი სცნო უდანაშაულოდ და გაათავისუფლა სასამართლო სხდომის დარბაზიდან იმ მოტივით, რომ ვერ იქნა დადგენილი ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა პირმა იცოდა ავტომანქანაში, რომელიც მას არ ეკუთვნოდა და მხოლოდ სამართავად ჰქონდა გადაცემული აღნიშნულ ნარკოტიკულ საშუალებათა განთავსების, საწვავის გაუქმებულ ავზში დამალვის ფაქტი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი სცნო კანონიერად.

სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კანონშესაბამისია, რადგან სასამართლო განხილვისას ვერ დაუდასტურდა პირს ბრალეულობა, ხოლო ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ.

ნარკოტიკული საშუალების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადატანა-გადმოტანა ცალკეულ შემთხვევაში ხორციელდება ისე, რომ ამ ქმედებით დაინტერესებული პირი ან მისი დავალებით სხვა პირი საერთოდ არ ესწრება ამ ფაქტს.

ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა 2007 წელს განიზრახეს ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოტანა. აღნიშნულის განსახორციელებლად ისინი დაუკავშირდნენ საფრანგეთში მყოფ თავიანთ მეგობარს და მისცეს დავალება შეეძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და უზრუნველყო მისი საქართველოში გადმოგზავნა. მან დავალების შესაბამისად შეიძინა ნარკოტიკული საშუალების შემცველი აბები, რომელიც განათავსა სპეციალურად ამ მიზნისთვის შეძენილი ავტომანქანის კარებში მოწყობილ სამალავში და ავტომანქანა გადაზიდვის ფორმის გამოყენებით გამოაგზავნა საქართველოში. მას შემდგომ, რაც ავტომანქანა, რომელშიც განთავსებული იყო ნარკოტიკული საშუალება, შემოვიდა საქართველოში, ქ. ფოთში. ავტომანქანის თბილისში ტრანსპორტირების მიზნით ქ. ფოთში გაემგზავრა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი. 2007 წლის 31 იანვარს მათ ქ. ფოთის ტერმინალიდან გამოიყვანეს აღნიშნული ავტომანქანა, ქ. ფოთში ავტოგასამართ სადგურზე საწვავის შევსების დროს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ისინი დაკავებულნი იქნენ პოლიციის თანამშრომლების მიერ, რა დროსაც მანქანაში მოწყობილი სამალავიდან ამოღებული იქნა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 396 აბი და 4 აბის ნატეხი, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერების საერთო შემცველი შეადგენდა განსაკუთრებით დიდ ოდენობას 3, 193 გრამს.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნის საქართველოში უკანონო შემოტანა და საქართველოდან უკანონო გატანა შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო საბაჟო გამშვებ პუნქტში დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებით გამოყენებით, რაშიც მოიაზრება საბაჟო კონტროლისათვის ყალბი დოკუმენტის წარდგენა.

ნარკოტიკული საშუალების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტი ხორციელდება სპეციალურად ამ მოქმედების შესასრულებლად განკუთვნილი დოკუმენტით, კერძოდ, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული წინასწარი შეთანხმების დოკუმენტით. ამ დოკუმენტში შეტანილია დეტალური მონაცემები იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა შესახებ, რომელთა იმპორტ-ექსპორტიც ხორციელდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მოითხოვონ, რომ „კანონიერი ექსპორტისთვის განკუთვნილი ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული

ნივთიერებები სათანადოდ იყოს მარკირებული და დოკუმენტირებული 1961 წლის კონვენციის 31-ე მუხლის, 1961 წლის შესწორებული კონვენციის 31-ე მუხლის და 1971 წლის კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან“.

დოკუმენტის მოტყუებით გამოყენება შეიძლება გამოიხატოს ყალბი დოკუმენტების დამზადებაში და საბაჟო კონტროლს განმხორციელებელი პირისთვის წარდგენაში. ამისთვის არ არის სავალდებულო მთლიანი დოკუმენტის გაყალბება, საკმარისია დოკუმენტის ცალკეული მონაცემების გაყალბება, მაგალითად, რაოდენობის ან დასახელების შეცვლა და სხვა.

დოკუმენტი შეიძლება არ იყოს ყალბი, მაგრამ იყოს უკანონოდ მიღებული, მაგალითად, წინასწარი შეთანხმების დოკუმენტს, რომელიც ამ ნივთიერებათა იმპორტ-ექსპორტის ძირითადი დოკუმენტია, გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. ნარკოტიკული საშუალების იმპორტი ხორციელდება აღნიშნული სამინისტროს დაკვეთით თუ სამინისტროს მოხელემ წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი გასცა, ასეთი მოთხოვნის არარსებობის პირობებში სახეზე იქნება დოკუმენტის უკანონო გაცემა. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის ექსპორტ-იმპორტის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი საქმიანობისა და ნებართვის მქონე იურიდიულ პირს, თუ ასეთი ნებართვის არმქონე პირზე გაიცა წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არ არის ყალბი, იგი ჩაითვლება უკანონოდ.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლი შედგება ხუთი ნაწილისგან, პირველი ნაწილით დასჯადია საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.

პირველი პრიმა ნაწილით დასჯადია ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა.

მეორე ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის პირველი ან <sup>1</sup> ნაწილით ჩადენილი ქმედება დიდი ოდენობით, ასევე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის დიდი ოდენობები მოცემულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და

ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე დართული ნუსხებით და ცალკეული ნივთიერებებისათვის ეს ოდენობა მათი მოქმედების ხარისხის გათვალისწინებით სხვადასხვაა.

მუხლის პირველი პრიმა მუხლი მოიცავს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერ ოდენობას და „სსკ 262-ე მუხლზე დართული შენიშვნის მიხედვით“.

მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დიდი ოდენობა ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს არ ეხება.

ჯგუფური დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სსკ 27-ე მუხლში და სსკ 262-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის ცნება განსაზღვრულია ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლის მესამე ნაწილით დამამძიმებელი გარემოებებია ამ მუხლის პირველი, 1<sup>1</sup> ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) არაერთგზის;

გ) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეიძლება განახორციელოს იმ პირმა, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა საშუალებას აძლევს პირადად ჩაიღიწოს ან ხელი შეუწყოს მოცემული დანაშაულის ჩადენას. ეს პირები შეიძლება იყვნენ მაღალი, საშუალო თუ დაბალი რანგის მოხელეები და მათთან გათანაბრებული პირები, ტექნიკური მუშაკები და სხვა სპეციალური სუბიექტები.

ნარკოტიკული საშუალების სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე გადატანა-გადმოტანასთან, მის იმპორტ-ექსპორტთან სამსახურებრივი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მოხელეებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, ასევე ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე პირებს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა აქვთ სასაზღვრო სამსახურში დასაქმებულ პირებს და სხვა ნებისმიერ პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა საშუალებას აძლევს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაიტანონ და გადმოიტანონ ტვირთი, საბაჟო შემოწმების გარეშე.

დანაშაულის ჩადენა არაერთგზის და იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, განხილულია სსკ 260-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოებების დახასიათებისას.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლის მეოთხე ნაწილით დამამძიმებელი გარემოებაა ამ მუხლის, პირველი, 1<sup>1</sup> მეორე ან მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა:

- ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით;
- ბ) ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

საქართველოს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნის და განსაკუთრებით დიდი ოდენობები, ისევე როგორც დიდი ოდენობები განსაზღვრულია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე დართულ ნუსხებში. განსაკუთრებით დიდი ოდენობა არ ვრცელდება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე, რადგან მუხლზე დართული შენიშვნის მიხედვით, პირველი პრიმა მუხლი მოიცავს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ნებისმიერ ოდენობას. (167)

ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლში და ასეთი გაანალიზებული იქნა სსკ 260-ე მუხლის დახასიათებისას.

ნარკოკონტრაბანდის შემთხვევაში ორგანიზებული ჯგუფის მოქმედება განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როგორც წესი, ასეთ ორგანიზებულ ჯგუფს ახასიათებს განსაკუთრებული შეკავშირებულობა, ორგანიზებული ჯგუფის წევრები ხშირად წარმოადგენენ ერთ ოჯახს და აქვთ ერთმანეთის აბსოლუტური ნდობა, მათ შორის მოვალეობები განაწილებულია ნარკოკურიერების, ნარკოგასაღების, შენახვისა და სხვა იმ ფუნქციათა შესაბამისად, რაც უკავშირდება ნარკოტიკების უკანონო არალეგალურ ბრუნვას. 2007 წელს საქართველოს მოქალაქე ა. ა-მ ჩამოაყალიბა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი თავისი ძმის, დედის და ორი მეგობრის შემადგენლობით. ა. ა-ს ხელმძღვანელობით დანაშაულებრივმა ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც განიზრახეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შექმნა და შემდგომი გასაღების მიზნით საქართველოში მალულად, უკანონოდ შემოტანა, რასაც სისტემატიური ხასიათი ექნებოდა.

მათ შორის განაწილდა როლები, რომლის მიხედვითაც ა. ა-ს მეგობრები უზრუნველყოფდნენ ევროპაში უკანონოდ შექმნილი ნარკოტიკის საქართველოში შემოტანას, ხოლო ა. ა. დედასთან და ძმასთან ერთად მათ გაასაღებდა.

2007 წლის მარტის დასაწყისში ა. ა-ს ერთი მეგობარი გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატის „სუბოტექსის“ აბები, აღნიშნული დამალა სათამაშო ტრაქტორში და თავისი მართვის ქვეშ მყოფი საფრანგეთშივე შეძენილი ავტომანქანით გადაზიდა თურქეთში, სადაც ნარკოტიკული საშუალება გადაიტანა და დამალა. ა. ა-ს ავტომანქანის სათადარიგო საბურავში. აღნიშნული ნარკოტიკი 2007 წლის 11 მარტს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით მალულად შემოიტანა საქართველოში, რის შემდგომაც გადაზიდა ქ. თბილისში საცხოვრებელ ბინაში. იმავე დღეს პოლიციის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს რა ავტომანქანა ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით 15, 208 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატის „სუბოტექსის“ 1901 აბი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით, საქართველოს სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 79 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული 2014 წელს, მომდევნო 2015 წელს რეგისტრირებული იქნა ამ დანაშაულის 130 შემთხვევა, 2016 წელს 248, ხოლო 2017 წელს რეგისტრირებული იქნა 200 ასეთი დანაშაული. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს რეგისტრირებული იქნა ნარკოდანაშაულის სულ 5122 ფაქტი. 2015 წელს 3747 ფაქტი, 2016 წელს - 5196 დანაშაული, ხოლო 2017 წელს - 4762 დანაშაული. აღნიშნულ დანაშაულთა ანალიზი მოწმობს, რომ ხშირ შემთხვევებში საბაჟო სამსახური ვერ უზრუნველყოფს საბაჟო კონტროლის განხორციელებისას ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენას, ასევე ხდება ნარკოტიკული საშუალების ე. წ. „მწვანე ზოლის“ გავლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გზით საქართველოში უკანონო შემოტანა და შემდგომში ამ ნარკოტიკთა აღმოჩენა ხდება შ/ს სამინისტროს თანამშრომლების მიერ ოპერატიული ინფორმაციის, თუ სხვა საგამომძიებლო მოქმედებებით მიღებული მონაცემების საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში.

გენერალ-მაიორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჯემალ ჯანაშიას აზრით, „ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტისა და ქვეყანაში შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბაჟო სამსახურის ეფექტურ საქმიანობას.“

„მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორი სისტემების ფუნქციონირებისას ქვეყანაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნარკოტიკების ნახევარზე მეტი საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მოდის. საქართველოში კი საბაჟო სისტემაში ამ ხაზით მუშაობა ნაკლებად ეფექტურია, რადგან აქ ასეთი სტრუქტურები ან არ არსებობენ, ან კიდევ დაბალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან“ (ჯემალ ჯანაშია, „ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკომანიასთან

ბრძოლის სამართლებრივ-სოციალური ასპექტები და პერსპექტივები“, კრიმინოლოგი სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი N 2).

იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოში ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო შემოტანა ხდება, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის გზით ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით საქართველოს სსკ 344 -ე და 262-ე მუხლებით. როდესაც საქართველოს სსკ 262-ე მუხლს თან ახლავს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა, ამ შემთხვევაშიც ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით საქართველოს სსკ 262-ე და 260-ე მუხლებით. საქართველოს სსკ 262-ე მუხლი მთლიანად მოიცავს საქართველოს სსკ 214-ე მუხლის შემადგენლობას, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევას, რის გამოც სსკ 214-ე მუხლის ერთობლიობით, სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების დაკვალიფიცირება საჭირო არ არის. დანაშაული დამთავრებულად ითვლება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის გზით საქართველოს სსკ 262-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის საგნის საქართველოში უკანონოდ შემოტანის ან საქართველოდან უკანონოდ გატანის მომენტიდან. თუ დანაშაული გამოვლინდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული საშუალების გადატანის მომენტში ისე, რომ პირმა ვერ მოასწრო სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა, ამ შემთხვევაში სახეზე იქნება დანაშაულის მცდელობა საქართველოს სსკ 19-ე 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო უკანონოდ ამ ნივთიერებათა საქართველოში შემოტანის მომენტიდანვე დანაშაული დამთავრებულია. დანაშაული ფორმალურია და მისი დამთავრებულად ცნობისათვის რაიმე მძიმე შედეგის დადგომა საჭირო არ არის.

დანაშაულის სუბიექტია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს - 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი, ხოლო 262-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა შეუძლია სპეციალურ სუბიექტს. დანაშაულის სუბიექტია ასევე იურიდიული პირი.

სუბიექტური მხრივ დანაშაული განზრახია, დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა.

დანაშაულის მოტივს და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას.



„ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 30 აპრილის კანონით (მუხლი მე-7), ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის განსახორციელებლად შესაძლებელია კონტროლირებადი მოწოდება, რაც ნიშნავს „დანაშაულის გასახსნელად დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში-საქართველოს ფარგლებს გარეთაც) საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებად გადაადგილებას, რომლის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენციის მე-11 მუხლით კონტროლირებადი მოწოდების განხორციელება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისას დასაშვებია, შესაბამისად, თუ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოები, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადატანის ან გადმოტანის გზით ახორციელებენ კონტროლირებად მოწოდებას. ამ შემთხვევაში სახეზე არ იქნება სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, რადგან ქმედება არ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ.

## თავი V. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები

### 5.1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს სახელმწიფო საზღვრის დაცვას უკანონო შეცვლისგან, სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, სატრანსპორტო საშუალებისა და ზოგადად მოძრავი ნივთის დადგენილი წესის დარღვევით გადატანა-გადმოტანისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენას, აღკვეთას, დასჯასა და პრევენციას.

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები არიან:

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან, არიან:

- ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური;
- ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- ე) საქართველოს უსაფრთხოების სამსახური.

საქართველოს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე დადგენილი რეჟიმის დაცვასთან კონკრეტული საქმიანობის ფარგლებში, არიან:

- ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- ბ) საქართველოს პროკურატურა;
- გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებათა კრიმინოლოგიური ანალიზით, ნათლად გამოიკვეთა, რომ თითოეული ზემოაღნიშნული სუბიექტის როლი, როგორც ცალ-ცალკე აღებული, ისე ერთმანეთთან კოორდინაციაში, უმნიშვნელოვანესია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენის, აღკვეთის, დამნაშავის დასჯისა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღკვეთა, აცილების საქმეში, როგორცაა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა, თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი საგნების თუ თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნების კონტრაბანდა. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ისეთ მძიმე გამოვლინებებთან ბრძოლა, როგორებიცაა: ტრეფიკინგი, ტერორიზმი, ნარკოკონტრაბანდა, მასობრივი განადგურების იარაღთან, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოაქტიური, ბირთვული მასალების და აგენტების კონტრაბანდა და სხვა.

### **საქართველოს პროკურატურა**

საქართველოს პროკურატურის როლი მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და დანაშაულის პრევენციას. (169)

პროკურატურა, მიუხედავად უწყებრივი ქვემდებარეობისა, ახორციელებს რა სისხლის სამართლებრივ დევნას, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, როგორც ნებისმიერ სხვა, ასევე საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ სისხლის სამართლებრივ საქმეებზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას, ზედამხედველობს ოპერატიულ-სამმებრო ორგანოების საქმიანობას და პირადადაც ახორციელებს ამ საქმიანობას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. (169)

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა. მათი აღკვეთა და გამოძიება. მისი კომპეტენციის მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება არალეგალურ მიგრაციასთან,

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან, ტრეფიკინგთან და სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციაა სახელმწიფო საზღვრის დაცვა და სასაზღვრო რეჟიმის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ფუნქცია დაკისრებული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას, სასაზღვრო პოლიციის სპეციალურ სამსახურს, რომელიც სასაზღვრო პოლიციურ ღონისძიებებს ახორციელებს უშუალოდ სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში და სასაზღვრო ზონაში, ასევე საერთაშორისო აეროპორტებში, სასაზღვრო სარკინიგზო სადგურებში, საქართველოს საზღვაო სივრცეში, ღია ზღვაში და პორტებში.

სასაზღვრო პოლიცია შედგება სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის, საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს, სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარი სამმართველოს, სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს და სხვა სტრუქტურული ერთეულებისგან, თითოეული ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა მიმართულია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მათთვის „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, (179) „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ (170) „ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ“, (176) „პოლიციის შესახებ“ (171) საქართველოს კანონებით და სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისკენ.

სასაზღვრო პოლიცია, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში საქმიანობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სხვა შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციის დაცვით. (198)

### **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვას, მართვასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფუნქციას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე წარმოადგენს „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველყოფა. (192)

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის ის უფლებამოსილი სახელმწიფო სუბიექტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით სამხედრო პროდუქციაზე გასცემს ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტის, საბროკერო მომსახურებისა და ტექნიკური დახმარების ნებართვებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია, (207) „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“, (192) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ორმაგი დანიშნულების პროდუქტის იმპორტის, ექსპორტის, ტრანზიტის, საბროკერო მომსახურების, ტექნიკური დახმარების ნებართვებთან დაკავშირებით გასცემს რეკომენდაციას.

### **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციაა უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივი მართვა და კოორდინაცია. (201)

საგარეო საქმეთა სამინისტრო უცხო ქვეყნის სახელმწიფოებთან მართავს მოლაპარაკებებს მოქალაქეთა ურთიერთმიმოსვლის საკითხზე. ხელს უწყობს მეზობელ ქვეყნებთან საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის შესახებ მოლაპარაკებებს.

საზღვარგარეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება გასცემენ საქართველოს ვიზებს, საგარეო საქმეთა სამინისტრო გასცემს საქართველოს მოქალაქის სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტს, საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების და მასთან გათანაბრებული სხვა წარმომადგენლობების უცხოელ თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოში კანონიერად მყოფ უცხოელზე საიმიგრაციო ვიზის გაცემა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მისთვის კანონით (220) და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის N 462 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულებით“ (220) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ფუნქციებს, რომლებიც მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირთა ლეგიტიმური გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, მოცემული აქტების ჩანაწერში ცვლილებების, შესწორების ან/და დამატებების შეტანა, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის გაცემა.

მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნა და ადმინისტრირება. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (173) საქართველოს ორგანული კანონით სააგენტოს კომპეტენციას წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (181) საქართველოს კანონით დაკისრებული ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის დასახელებული და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა ზუსტი იდენტიფიკაციისა და სხვა პროცედურათა ზუსტი და შეუფერხებელი განხორციელებისათვის.

### **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N 168 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (218) დადგენილების შესაბამისად, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო, ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო და საგადასახადო სფეროში, უზრუნველყოფს ამ სფეროში კანონმდებლობის დაცვასა და კონტროლს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური, „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (174) შესაბამისად და „საქართველოს საბაჟო კოდექსით“ (178) მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში ამ სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ერთად ახორციელებს საბაჟო ზედამხედველობას, საბაჟო კონტროლსა და საბაჟო ფორმალობებს.

## შემოსავლების სამსახური

შემოსავლების სამსახური (საბაჟო დეპარტამენტი) აკონტროლებს საქართველოს საბაჟო საზღვარს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ფარგლებში, ახორციელებს დაცულ ქმედებებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანა-გატანის, ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვისა და სხვა პროცედურებთან დაკავშირებული მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

შემოსავლების სამსახური ასევე ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სახელმწიფო ფიტოსანიტარულ სასაზღვრო - საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო -საკარანტინო, სანიტარულ-საკარანტინო, კონტროლს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (161) საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას მის დაქვემდებარებას მიკუთვნებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის, მისი გაუქმებისა თუ მათში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შედის სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური“ (175) საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 23 აგვისტოს N 3 ბრძანებით, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ (205) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის გამომიებლები თავის კომპეტენციის ფარგლებში სრული მოცულობით იძიებენ - საფინანსო სფეროში ჩადენილი დანაშაულის საქმეებს, უწყება უფლებამოსილია განახორციელოს კანონით მინიჭებული პროცესუალურ მოქმედებათა ჩატარება. აღნიშნული საგამომიებო სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის დანაშაულთა საქმეების გამოძიება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არის ტრანსპორტის სფეროში ქვეყნის პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შემმუშავებელი ორგანო. აღნიშნული სამინისტროს ორგანოა - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

სააგენტო „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის (194) შესაბამისად გასცემს ნებართვებს, სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებულ ორ პუნქტს შორის განხორციელებულ სამგზავრო გადაყვანასა და სატვირთო გადაზიდვებზე, საერთაშორისო

გადაყვანა - გადაზიდვებზე. ასევე გასცემს ნებართვებს სახიფათო ტვირთების საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებზე, ტვირთის საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებზე.

საქართველოს უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალურ დაწესებულებას, რომლის მოვალეობას, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. (177)

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციათა შესრულებასთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელება, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მჭიდრო კოორდინაციით, საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული, რადიაციულ ქიმიური და ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მასობრივი განადგურების იარაღის უკანონო ბრუნვის გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი მოწოდებულია შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. (177)

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ფაქტებზე გამოძიების წარმოება, როგორცაა ბირთვული მასალისადმი ან მოწყობილობისადმი, რადიოაქტიური ნარჩენისადმი, რადიოაქტიური ნივთიერებებისადმი უკანონო მოპყრობა, უკანონო იმპორტ-ექსპორტი (საქართველოს სსკ 230-ე მუხლი), საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი ან იმპორტი, ან არასახიფათო ნარჩენების იმპორტი განთავსების მიზნით, ან სახიფათო ნარჩენების უკანონო ექსპორტი (საქართველოს სსკ 234-ე მუხლი) მასობრივი განადგურების იარაღის, შეიარაღების ან სამხედრო ტექნიკის შესაქმნელი ტექნოლოგიის, მეცნიერულ ტექნიკური ინფორმაციის ან მომსახურების უკანონო ექსპორტი (საქართველოს სსკ 235-ე მუხლი), ასევე საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა (საქართველოს სსკ 323<sup>2</sup>-ე მუხლი) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო შეცვლა (საქართველოს სსკ 345-ე მუხლი) და სხვა დანაშაულთა საქმეების გამოძიება. (203)



## **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი ფუნქციაა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების ნუსხისა და ლეგალური ბრუნვის წესების განსაზღვრა. სამინისტრო განსაზღვრავს იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტული პროდუქტების ჩამონათვალსა და რაოდენობას, რომელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გამოყენება ნებადართულია საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საზღვაო, საჰაერო და სარკინიგზო ტრანსპორტში, მათ შორის საერთაშორისო რეისების შესრულებისას. (210) სამინისტრო შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით ამტკიცებს ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესს. გასცემს იურიდიულ პირზე შემოტანამდე და გატანამდე წინასწარ შეთანხმებას და ნებართვას. ანალოგიურ შეთანხმებას და ნებართვას გასცემს ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და IV სიის No 1 ცხრილში შეტანილი პრეკურსორების იმპორტ -ექსპორტის განხორციელებაზე. (200)

## **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება სახელმწიფო საზღვარზე თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული პროდუქციის გადაადგილებისა და სხვა რიგი რეგულაციების დაცვას. (219)

სამინისტრო გასცემს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიას. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე გასცემს თანხმობას, რომელიც ადასტურებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმის შესაბამის ლიცენზიაში აღნიშნული მიზნებისთვის იმპორტის უფლებას. იღებს გადაწყვეტილებას გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანზიტის მიზნით ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე თანხმობის მიცემის ან უარის თქმის შესახებ. (188)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ ბირთვული და რადიაციული“ სააგენტო

შექმნილია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირების უზრუნველსაყოფად. მის ფუნქციებს შორის მნიშვნელოვანია ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაცია. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (161) საქართველოს კანონის შესაბამისად ნებართვების გაცემა: რადიაციული მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, დანადგარების, რომლებიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ ჰაუს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებაზე, იმპორტზე, ექსპორტზე, ასევე რადიოაქტიური წყაროების ექსპორტზე, იმპორტზე და ტრანზიტზე. რადიოაქტიური ნარჩენების იმპორტზე. მასვე ევალება ამ საქმიანობის კონტროლი და სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში კანონით განსაზღვრული ზომების განხორციელება. (162)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გასცემს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების, იმპორტის, ექსპორტის ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვების ნებართვებს. (166)

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს სანებართვო პირობების შესრულებაზე, ხოლო ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებზე კონტროლის განხორციელება ევალება სსიპ შემოსავლების სამსახურს. (223)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება ასევე ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებისათვის, ოზონ დამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემა.

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს - ფუნქციას წარმოადგენს ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვების გაცემა. (223) რეექსპორტის ფიტოსანიტარული სერთიფიკატის გაცემა. ასეთზე სასაზღვრო საკარანტინო კონტროლის განხორციელება ევალება სსიპ შემოსავლების სამსახურს.

### **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად კულტურული ფასეულობების საქართველოში შემოტანა-გატანაზე კონტროლის განხორციელება. გასცემს კულტურული ფასეულობების საქართველოდან გატანაზე ან

დროებით გატანაზე ნებართვებს, სამინისტრო ამ მიმართულებით საქმიანობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით. (189)

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ზემოაღნიშნული სუბიექტები საქართველოს კანონმდებლობის, ცალკეული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებენ ერთობლივი, რიგ შემთხვევაში, სავალდებულო კოორდინაციით. კოორდინაცია მოიცავს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ღონისძიებების გატარებას, სახელმწიფო საზღვრისა და სასაზღვრო გამშვები პუნქტების ერთობლივ ტექნიკურ აღჭურვას, ამ აღჭურვილობის კოორდინირებულად გამოყენებას და სხვა.

მოსაზღვრე მეზობელ და რეგიონალურ ქვეყნებთან ასევე ევროკავშირის წევრ თუ ასპირანტ და სხვა სახელმწიფოებთან ერთობლივ კოორდინირებულ საერთაშორისო თანამშრომლობას.

2008 წლის 4 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია. (224)

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის შემუშავებისათვის 2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის N 49 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო მართვის სტრატეგიის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა აღნიშნული საბჭოს დებულება. (216)

2014 წლის 13 მარტს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია. (214)

2014 წლის 6 მაისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის განხორციელების 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმა. (195)

2016 წელს აღნიშნულ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილებები. (215) მითითებული ნორმატიული აქტებით განისაზღვრა სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე სუბიექტები და ამ მიმართულებით მათი უფლება-მოვალეობები.

## 5.2. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების თავისებურება

სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთა, მის წინააღმდეგ ბრძოლა, მსოფლიოს გლობალური გამოწვევაა. თითოეული ქვეყანა სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლით იბრძვის ისეთი მძიმე დანაშაულობათა წინააღმდეგ, როგორებიცაა: ტრეფიკინგი, მიგრანტთა უკანონო გადაყვანა, ნარკოკონტრაბანდა, ტერორიზმი და სხვა. ამ გლობალურ ტრანსნაციონალურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის მიმართებით საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროკავშირის კონვენციები, რომლებიც ხელს უწყობენ ცალკეულ სახელმწიფოთა კონსოლიდაციას, ურთიერთთანამშრომლობას სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებულ ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, ეს კონვენციები სამართლებრივად არეგულირებენ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობებს ცალკეული სახის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს ჰიპერტროფიული ზრდის ტენდენცია ახასიათებს და საფრთხეს უქმნის ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. (40, 14) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დაჯგუფებანი ახორციელებენ ისეთ საშიშ დანაშაულებრივ ქმედებებს, როგორებიცაა: ტრეფიკინგი, მიგრანტთა უკანონო გადაყვანა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, კონტრაბანდა, ფულის გათეთრება, იარაღის კონტრაბანდა და სხვა. აღნიშნულ დანაშაულთა განხორციელება უმეტესწილად უკავშირდება სახელმწიფოთა საზღვრებზე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, დასახელებულ დანაშაულთა ყოვლის - მომცველმა, საზოგადოებისთვის საშიშმა ფორმებმა წარმოშვა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა ამ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლისა და თავიდან აცილების საქმეში.

2000 წლის 15 ნოემბერს თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. (152) კონვენციის მიზანია „აღიკვეთოს, გამოძიებულ იქნეს და სისხლისსამართლებრივ დევნას დაექვემდებაროს“ (152, 3) დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაცია, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების (ლეგალიზაციის) კრიმინალიზაცია და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის

შეშლის კრიმინალიზაცია. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს დაევალოთ „განიხილონ შესაძლო ღონისძიებების განხორციელება მათ საზღვარზე ნაღდი ფულადი სახსრებისა და შესაბამისი საბრუნავი დოკუმენტების გადაადგილების გამოვლენისა და კონტროლის მიზნით“ (152, 7) ამ ღონისძიებებში უნდა მოქცეულიყო ისეთი მოთხოვნების დაწესება, რომლითაც ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული იქნებიან გახდებოდნენ დეკლარაციაში მიეთითებინათ სახელმწიფო საბაჟო საზღვარზე მნიშვნელოვანი მოცულობით ნაღდი ფულისა და საბრუნავი დოკუმენტების გადატანის შესახებ. სახელმწიფოები კონვენციით სხვა ვალდებულებებთან ერთად იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ საბაჟო ორგანოების თანამშრომელთა მოსამზადებელი პროგრამების შემუშავება, განვითარება და გაუმჯობესება.

„ტრანსნაციონალურ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციაზე 1998 წლის 12 დეკემბერს მიღებული იქნა კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“ (275) კონვენციის დამატებითი ოქმი მიზნად ისახავს ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის აღკვეთას და მის წინააღმდეგ ბრძოლას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას და დახმარებას, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით კონვენციის დამატებითი ოქმი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახელმწიფოთა საზღვრებზე კონტროლის კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, რაც ხელს შეუწყობს ამ დანაშაულის აღკვეთასა და გამოვლენას. კონვენციის დამატებითი ოქმი სახელმწიფოებს მოუწოდებს ადამიანების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუზღუდავად, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში გააძლიერონ საზღვრის კონტროლი, ისეთი ღონისძიებების გატარებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის შემთხვევათა გამოვლენასა და აღკვეთას. მათ შორის ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკანონმდებლო რეგულაციების მიღებაზე, რაც აღკვეთს კომერციულ გადამზიდველთა სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით ტრეფიკინგის ფაქტების ჩადენას. ეს შეიძლება მოიცავდეს ამ კონკრეტულ გადამზიდველთა სუბიექტებისთვის შესაბამის ვალდებულებათა დაკისრებას. იმ მიზნით, რომ დადგინდეს მოგზაურთა მიმღებ სახელმწიფოში შემსვლელ სამგზავრო დოკუმენტთა ვალიდურობა. ვალდებულებათა დარღვევისთვის შემოღებული იქნას სანქციები. სახელმწიფოებმა ასევე უნდა განიხილონ ისეთი ზომების მიღების შესაძლებლობა, რაც ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებს არ მისცემს ქვეყანაში შესვლის საშუალებას და გაუუქმებს ვიზებს. კონვენციის ოქმი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სასაზღვრო კონტროლის ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

კონვენციის დამატებითი ოქმი მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს იმ ზომების მიღებას, რაც უზრუნველყოფს სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ხარისხს, რათა მინიმალური მათი შესაძლო ბოროტად გამოყენება ან გაყალბება. კონვენციის ოქმი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, სხვა მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით გონივრულ ვადაში დაამოწმოს მის მიერ ან მისი სახელით გაცემული სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობა, მოქმედების ვადა. რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას ტრეფიკინგისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის დამატებით ოქმის შესაბამისად, ევროსაბჭოს მიერ 2005 წლის 16 მაისს მიღებული იქნა კონვენცია “ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” (138) (საქართველო შეუერთდა 2006 წლის 22 დეკემბერს).

კონვენციის მე-7, მე-9 მუხლები განსაზღვრავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა სახელმწიფოთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთისათვის გასატარებელ ღონისძიებებს. კონვენცია ევროსაბჭოს ქვეყნებს და კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნებს მოუწოდებს ადამიანის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუზღუდავად გააძლიერონ სასაზღვრო კონტროლის ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია ადამიანით ვაჭრობის პრევენციისა და გამოაშკარავებისათვის. აღკვეთის მიზნით, უზრუნველყონ სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაცულობა, რათა აღნიშნული დოკუმენტაცია არ იძლეოდეს მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენების, გაყალბების ან უკანონო გზით შეცვლის შესაძლებლობას, ამასთან, შეამოწმოს მისი სახელით გაცემული დასახელებული დოკუმენტების ნამდვილობა და გაცემის კანონიერება. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ ისინი გამოიყენება ტრეფიკინგის მიზნით.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებასთან დაკავშირებით მიღებული საერთაშორისო სამართლებრივ აქტებიდან ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი შეთანხმება მიღწეული იქნა 1921 წლის 30 სექტემბერს, ერთა ლიგის კონვენციის “ქალებით და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ“. კონვენციის მე-7 მუხლით, “ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ“ მიიღონ ისეთი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ზომები, რომლებიც აუცილებელია ქალებისა და ბავშვების ვაჭრობის შესამოწმებლად და ქალებისა და ბავშვების გადაადგილების დასაცავად, როგორც სადგურებსა და პორტებში, ასევე ხომალდებზე და მატარებლებში (293-3, 7)

სახელმწიფო საზღვარზე მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთის საკითხს შეეხო ერთა ლიგის 1926 წლის 25 სექტემბრის კონვენცია „მონობის შესახებ“. ჟენევაში მიღებული აღნიშნული კონვენციით ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულნი არიან გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა თავიდან აიცილონ და აღკვეთონ მონების „დატვირთვა-გადმოტვირთვა“, ტრანსპორტირება მათ ტერიტორიულ წყლებში და მათი დროშების ქვეშ მცურავ გემებზე. (313)

ერთა ლიგის 1933 წლის 11 ოქტომბრის კონვენციით, „სრულწლოვან ქალთა ვაჭრობის წინააღმდეგ“ (294) ყურადღება დაეთმო ტრეფიკინგის დროს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მნიშვნელობას.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის 12 დეკემბრის პალერმოს ოქმით, „სახმელეთო-საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ“ (საქართველო შეუერთდა 2006 წლის 5 ოქტომბერს) გაერომ მიზნად დაისახა მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის აღკვეთა და მის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადასული მიგრანტების უფლებათა დაცვის პირობით (284) კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს მიგრანტთა საზღვარზე უკანონოდ გადაყვანა, ამ მიზნით ყალბი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შექმნა, მათი შექმნა, გადაცემა ან ფლობა და ამ გზით მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირისათვის ამ სახელმწიფოში დარჩენის შესაძლებლობის მიცემა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების შეუზღუდავად გამოაცხადონ კრიმინალად. გააძლიერონ საზღვრის კონტროლის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს კონვენციის მიზნების შესრულებისათვის, მიგრანტთა უკანონო გადაყვანის აღკვეთისა და გამოვლენისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1977 წლის 9 ივნისის ნაირობის კონვენცია „საბაჟო სამართალდარღვევების თავიდან აცილების, გამოძიების და აღკვეთის მიზნით ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ (საქართველო შეუერთდა 2009 წლის 20 ოქტომბერს) (304) „საბაჟო კანონმდებლობა“ ნიშნავს სისხლის სამართლის კანონით ან კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი საქონლის შემოტანის, გატანის ან საერთაშორისო ტრანზიტულ გადაზიდვებთან დაკავშირებით არსებულ დებულებებს.

კონტრაბანდა ნიშნავს საბაჟო მოტყუებას, რაც გამოიხატება საქონლის საზღვარზე ნებისმიერი ფარული ფორმით გადაადგილებაში. ხელშემკვრელი მხარეები კონვენციის დაშვებათა შესაბამისად იღებენ ვალდებულებებს, რომ მათი საბაჟო სამსახურები ერთმანეთს გაუწევენ ურთიერთდახმარებას, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და აღკვეთონ საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საბაჟო სამართალდარღვევები. (46)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჟენევის 1982 წლის 21 ოქტომბრის კონვენცია „საერთაშორისო კონვენცია საზღვრებზე ტვირთის კონტროლის ჩატარების პირობების შეთანხმების შესახებ“ (საქართველო შეუერთდა 1999 წლის 2 სექტემბერს) გამოიყენება ყველა იმ ტვირთის მიმართ, რომლებიც შემოტანის, გატანის ან ტრანზიტის დროს გადაკვეთენ ერთ ან მეტ საზღვაო, საჰაერო ან სახელმწიფო საზღვარს. (274)

იუნესკოს 1970 წლის 14 ნოემბრის პარიზის კონვენცია „კულტურულ ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატარონ ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებანი კულტურულ ღონისძიებათა უკანონო გატანა- შემოტანისა და გასხვისების აკრძალვის მიზნით. (310) (საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან).

1998 წლის 10 სექტემბერს როტერდამში მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“ (კონვენციას საქართველო შეუერთდა 2006 წლის 1 დეკემბერს). (157) კონვენციის მიზანს ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მხარეების საერთო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებასთან ერთად წარმოადგენს ამ ნივთიერებათა ექსპორტ-იმპორტის პროცედურების ეროვნულ დონეზე სრულყოფა და მხარეებს შორის აღნიშნულის გავრცელება.

კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უწევს კონკრეტულ ვალდებულებებს ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების (იმპორტ-ექსპორტის) პროცედურებთან დაკავშირებით. კონვენცია მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციას რეკომენდაციას აძლევს კონვენციის III დანართში შეტანილ თითოეულ ქიმიურ ნივთიერებას ან ამ ნივთიერებათა თითოეულ ჯგუფს მიენიჭოს კონკრეტული საბაჟო კოდი.

2001 წლის 22 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ სტოკჰოლმში მიღებული იქნა კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ (საქართველო



კონვენციას შეუერთდა 02/01/2007) (280) კონვენცია განსაკუთრებულ მოთხოვნებს აწესებს მდგრადი ორგანული დამბინძურებლების ზემოქმედებისგან ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად მათ იმპორტ-ექსპორტზე. თითოეული მხარე ვალდებულია საერთაშორისო საზღვარზე მდგრადი ორგანული დამბინძურებლების (კონვენციას ერთვის A, B, C, D, E, F, ექვსი დანართი) გადატანისას დაიცვას საერთაშორისო წესების, სტანდარტებისა და პრინციპების მოთხოვნები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკსა და ვენაში 1980 წლის 3 მარტს ხელმოწერილი კონვენცია „ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ“, (285) რომელსაც საქართველო შეუერთდა 2006 წლის 7 ოქტომბერს, ეხება მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოსაყენებელ ბირთვულ ნივთიერებას, რომელიც იმყოფება საერთაშორისო გადაზიდვის პროცესში. კონვენცია მკაცრად არეგულირებს სახელმწიფო საზღვარზე ბირთვული ნივთიერებების გადაზიდვის პროცედურას, ის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს:

ა) არ განახორციელონ ბირთვული ნივთიერების ექსპორტი ან არ გასცენ აღნიშნული უფლება, თუ არ მიიღებს იმის გარანტიას, რომ ეს ნივთიერება დაცული იქნება კონვენციით (პირველი დანართით) განსაზღვრულ დონეზე;

ბ) არ განახორციელონ ბირთვული ნივთიერებების იმპორტი, ან არ გასცენ ასეთის უფლება ამ კონვენციის არაწევრი სახელმწიფოებიდან, თუ წევრი სახელმწიფო არ მიიღებს იმის გარანტიას, რომ იმპორტირებული ნივთიერება საერთაშორისო გადაზიდვის დროს დაცული იქნება კონვენციით (მეორე დანართით) გათვალისწინებულ დონეზე;

გ) წევრი სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე არ დაუშვებს ბირთვული ნივთიერებების ტრანზიტს იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არ არიან დასახელებული კონვენციის წევრებში.

კონვენცია ადგენს ბირთვული ნივთიერების საერთაშორისო გადაზიდვისას განკუთვნილი ფიზიკური დაცვის დონეებს.

„ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციაზე 2005 წლის 8 ივლისს ვენაში მიღებული დამატების შესაბამისად კონვენციის სათაური ჩამოყალიბდა, როგორც „კონვენცია ბირთვული მასალების და ბირთვული დანადგარების ფიზიკური დაცვის შესახებ“. (307)

განხორციელებული დამატების მიხედვით სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაცული იყოს ბირთვული მასალა საერთაშორისო გადაზიდვისას,

ვრცელდება იმ მომენტამდე, სანამ ეს ვალდებულება დადგენილი წესით სათანადო დონეზე არ გადაეცემა სხვა სახელმწიფოს, ამასთან, მონაწილე სახელმწიფოები სათანადო წესით თანამშრომლობენ და კონსულტაციებს გადიან უშუალოდ ერთმანეთთან, ან ატომური-ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს, ან სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციათა მეშვეობით, რათა მიიღონ რეკომენდაციები საერთაშორისო გადაზიდვების დროს ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1997 წლის სექტემბრის ვენის კონვენცია „გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ“ (283) (საქართველო შეუერთდა 2009 წლის 2 ნოემბერს). ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებში მონაწილე თითოეულ მხარეს ავალდებულებს, რათა უზრუნველყოს, რომ ასეთი გადაზიდვა ხორციელდებოდეს აღნიშნული კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისობით და ასევე ამ საკითხზე არსებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების დაცვით.

წარმოშობის მხარე იღებს ვალდებულებას იმის უზრუნველსაყოფად, რათა ტრანსსასაზღვრო გადაადგილება ნებადართული იყოს და ხდებოდეს მხოლოდ დანიშნულების სახელმწიფოსათვის წინასწარი შეტყობინების გზით და მისი ნებართვით. თავის მხრივ, დანიშნულების მხარე ტრანსსასაზღვრო გადაადგილების ნებართვას იძლევა იმ გარანტიით, რომ მას აქვს საამისო ადმინისტრაციული და ტექნიკური რესურსი, ასევე აქვს კონვენციის შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები.

წარმოშობის სახელმწიფოს კონვენცია ავალდებულებს დანიშნულების სახელმწიფოსთან შეთანხმებით დარწმუნდეს, რომ ხელშემკვრელი დანიშნულების სახელმწიფომ ტრანსსასაზღვრო გადაადგილების დაწყებამდე დააკმაყოფილა კონვენციით მასზე დაკისრებული მოთხოვნები და მხოლოდ ამის შემდგომ გასცეს ტრანსსასაზღვრო გადაადგილების ნებართვა. კონვენციის მოთხოვნაა ტრანსსასაზღვრო გადაადგილება ტრანზიტის სახელმწიფოს გავლით განხორციელდეს იმ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების პირობით, რომელიც შეესაბამება ტრანსპორტის კონკრეტულ გამოყენებად სახეობებს. (283, 27)

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში 1989 წლის 22 მარტს მიღებული იქნა „ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ (281) (საქართველო შეუერთდა 1999 წლის 4 მაისს). კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მხედველობაში მიიღეს „სახიფათო და სხვა ნარჩენებით და მათი საზღვარ გადაკვეთი გადაზიდვით ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოსთვის ზარალის მიყენების

რისკი“. ასეთის აღსაკვეთად მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები და დაადგინეს სავალდებულო წესები, ჩამოაყალიბეს სახიფათო ნარჩენების საზღვარგადამკვეთი გადაზიდვის დროს მხარეთა მიერ განსახორციელებელი სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები. კონვენციით დეტალურად გაიწერა მხარეთა შორის საზღვარგადამკვეთი გადაზიდვისას გასატარებელი ღონისძიებები. კონვენციის მე-6 მუხლი მთლიანად დაეთმო ამ საკითხის მოსაწესრიგებელ მოთხოვნებს.

კონვენციის მიზნებისათვის „სახიფათო ან სხვა სახის ნარჩენთა ნებისმიერი საზღვარგადამკვეთი გადაზიდვა მიიჩნევა უკანონოდ, თუ ასეთი განხორციელდა:

ა) კონვენციაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად ყველა დაინტერესებული მხარისათვის ცნობების მიწოდების გარეშე;

ბ) დაინტერესებული სახელმწიფოს თანხმობის გარეშე;

გ) დაინტერესებული სახელმწიფოსაგან ფალსიფიკაციის ან მოტყუების გზით თანხმობის მიღების დროს;

დ) რომელიც არ შეესაბამება დოკუმენტებს ან რომელიც წინასწარგანზრახვით განათავსებს სახიფათო ან სხვა სახის ნარჩენებს. (281, 9)

ზემოაღნიშნული უკანონო ბრუნვის განხორციელების შემთხვევაში ექსპორტიორ სახელმწიფოს ეკისრება შესაბამისი მოთხოვნების შესრულების ვალდებულება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საფრანგეთში, პარიზში, 1993 წლის 13 იანვარს მიღებული იქნა კონვენცია „ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ“. კონვენცია ძალაში შევიდა 1997 წლის 29 აპრილიდან. (308) (საქართველო კონვენციას შეუერთდა 1995 წლის 27 ნოემბერს). კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს არ განავითაროს, არ აწარმოოს, არ გამოიყენოს, არ შეინახოს და ნებისმიერი ფორმით არ გადასცეს სხვას ქიმიური იარაღი. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, ქიმიური იარაღი წარმოადგენს ტოქსიკურ ქიმიკატებს და მათ პრეკურსორებს, როდესაც ისინი განკუთვნილია კონვენციით აკრძალული მიზნებისათვის.

1996 წლის 22 მაისიდან საქართველო შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1972 წლის 10 აპრილის კონვენციას „ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და განადგურების შესახებ“ (277) კონვენცია ძალაში შევიდა 1975 წლის 26 მარტიდან.

კონვენციის თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას განადგუროს ან მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენოს ყველა აგენტი, ტოქსინები, იარაღი,

აღჭურვილობა და მიწოდების საშუალებები, რომელსაც ის ფლობს ან იმყოფება მისი იურისდიქციის ქვეშ. ის ვალდებულია არ გადასცეს სხვა ვინმეს, პირდაპირი ან ირიბი, არაპირდაპირი გზით ბაქტერიოლოგიური იარაღის შესაქმნელად საჭირო ზემოაღნიშნული ელემენტები. თითოეული სახელმწიფო თავისი საკონსტიტუციო პროცედურების შესაბამისად მიიღებს ზომებს, რათა აკრძალოს და თავიდან აიცილოს ბაქტერიოლოგიურ იარაღთან დაკავშირებული აგენტების, ტოქსინების, იარაღის, აღჭურვილობისა და მიწოდების საშუალებების შექმნა.

1992 წლის 5 ივნისს რიო-დე-ჟანეიროში მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია “ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (299) კონვენცია ძალაში შევიდა 1993 წლის 29 დეკემბრიდან (საქართველო შეუერთდა 1994 წლის 21 აპრილიდან). კონვენციით დადასტურებული იქნა, რომ თანამედროვე ბიო ტექნოლოგიით წარმოებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები წარმოადგენენ საფრთხეს ბიომრავალფეროვნებისათვის და აუცილებელია მათი გამოყენების რისკის შესამცირებლად შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დადგენა. ყველა ხელშემკვრელ ქვეყანას დაევალია თავისი ქვეყნის რეალობის შესაბამისად შეიმუშაოს ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგია.

კონვენციის პრინციპების შესაბამისად, ბიოუსაფრთხოების შემდგომი განმტკიცებისათვის კონკრეტული რეგულაციების დასადგენად 2000 წლის 29 იანვრის მონრეალში მიღებული იქნა „, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმი“ (300) (საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით).

ოქმის პირველი მუხლით ჩამოყალიბდა მისი მიღების მიზანი და აღინიშნა, რომ გარემოსა და განვითარების შესახებ რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის მე-15 პრინციპით გათვალისწინებული „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების“ პრინციპის შესაბამისად, ითვალისწინებს რა ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას და ყურადღებას ამახვილებს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე, წინამდებარე ოქმის მიზანია ხელი შეუწყოს სათანადო დონის დაცვას იმ ცოცხალი შეცვლილი ორგანიზმების უსაფრთხო გადაცემის, მოპყრობისა და გამოყენების სფეროში, რომლებიც მიღებულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენებით და შეუძლია მავნე ზეგავლენა მოახდინოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მდგრად გამოყენებაზე. (300, 1) აღნიშნული ოქმი ეხება ტრანსსასაზღვრო ნებისმიერ გადაადგილებას, იმპორტს, ექსპორტს, ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის იმ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმებისა, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ

ადამიანთა ჯანმრთელობასა და ბიომრავალფეროვნების დაცვაზე, აწესებს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ რეგულაციებს, კონვენციის ოქმი ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა არ დაუშვან და დასჯადი გახადონ ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების ისეთი ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა, რომელიც ხორციელდება (აღნიშნული ოქმის მოთხოვნათა განსახორციელებლად) მისი შიდა კანონმდებლობის დარღვევით, კარტახენის ოქმის მოთხოვნით, „ყოველი მხარე იღებს აუცილებელ და შესაბამის საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვა ზომებს ამ ოქმით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესასრულებლად. (300, 2)

ერთა ლიგის ფარგლებში ნარკოტიკების ოპიუმის იმპორტთან დაკავშირებით 1925 წლის 11 თებერვალს მიღებული იქნა კონვენცია, რომელიც ამოქმედდა 1926 წლის 28 ივლისს. კონვენციით სხვა საკითხებთან ერთად დადგენილი იქნა, რომ ოპიუმის იმპორტზე მონოპოლია ენიჭებოდათ სახელმწიფოებს. (295, 192)

იმავე 1925 წლის 19 თებერვალს მიღებული იქნა საერთაშორისო ოპიუმის კონვენციის შესწორებული ვარიანტი, რომელიც ამოქმედდა 1928 წლის 25 სექტემბერს, კონვენციით, საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლის შედეგად ოფიციალურად მიჩნეული იქნა იმპორტ-ექსპორტზე ნებართვების გაცემის ბრიტანული მოდელი. დაინერგა სისტემა, რომლითაც ნარკოტიკების იმპორტზე და ექსპორტზე კონტროლი უნდა განხორციელებინათ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სპეციალურ ორგანოებს. დაარსდა ოპიუმის მუდმივმოქმედი ცენტრალური საბაჟო. საბაჟოს ფუნქცია იყო ცალკეული სახელმწიფოებისგან მიღებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ეწარმოებინათ ნარკოტიკების იმპორტისა და ექსპორტის მონიტორინგი. თუ კომიტეტი მივიდოდა დასკვნამდე, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ზედმეტია მოცემულ კონვენციას დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების მარაგი ან თუ არსებობს საფრთხე, რომ ქვეყანა გახდეს უკანონო ვაჭრობის ცენტრი, უფლება ჰქონდა ლიგის გენერალური მდივნის მეშვეობით ამ ქვეყნისთვის მოეთხოვა განმარტებები. კომიტეტმა შექმნა იმპორტის სერტიფიკატისა და ექსპორტის ნებართვების სისტემა. (295, 192-194)

1931 წლის 12 ივლისს ჟენევაში მიღებული იქნა კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების დამზადების შეზღუდვისა და განაწილების რეგულირების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 1933 წლის ივლისში, მხარეები შეთანხმდნენ არაპირდაპირ შეზღუდვებზე, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შენარჩუნების პირობებზე. კონვენციამ დაინერგა შეზღუდვები არა სამედიცინო და არა სამეცნიერო მიზნით ნარკოტიკების წარმოებაზე, ხელშემკვრელი

სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ წარედგინათ გათვლები სამედიცინო საქმიანობის მიზნითა და სამეცნიერო მიზნით საჭირო ნარკოტიკების ოდენობათა შესახებ, მხარეები არ იყვნენ ვალდებულნი წინასწარ მიეთითებინათ თუ სად შეისყიდიდნენ ნარკოტიკებს. მხარეები ასევე ღებულობდნენ ვალდებულებას შეეწყვიტათ წარმოება და აღარ ეწარმოებინათ იმპორტი, თუ ისინი გადააჭარბებდნენ ყოველწლიურ გამოთვლებს მოთხოვნათა შესახებ. აიკრძალა ჰეროინის ექსპორტი, გარდა გამონაკლისი პირობებისა. (292, 5)

გაერთიანებული ერების ეგიდით მიღებული ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი გახდა 1946 წელს მიღებული ოქმი, რომლის ძალითაც ერთა ლიგის ნარკოტიკების კონტროლთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია კანონის საფუძველზე გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ოქმი ძალაში შევიდა 1947 წლის 10 ოქტომბერს. (295, 197)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1961 წლის 30 მარტს მიღებული იქნა კონვენცია ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ, რომელიც ამოქმედდა 1964 წელს.

კონვენციამ შეაჯერა და გააერთიანა წინა პერიოდში ნარკოტიკებთან დაკავშირებული კონვენციები და ოქმები. 1972 წელს კონვენციაში შეტანილი იქნა ცვლილებები. (292) 1961 წლის ნარკომანიის ერთიან კონვენციას (საქართველო შეუერთდა 2000 წლის 23 თებერვალს), კონვენციამ დაადგინა, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა ექსპორტი, იმპორტი (რაც კონვენციის განმარტებით ნიშნავს ნარკოტიკულ საშუალებათა ფიზიკურ გადაადგილებას ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ერთი ტერიტორიიდან მეორეზე ერთი სახელმწიფოს ფარგლებში) დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისათვის. (292, 4) კონვენციის 31-ე მუხლით განისაზღვრა „საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციალური პირობები“. კონვენციამ ხელშემკვრელი მხარეები დაავალდებულა საკუთარ კონსტიტუციურ შეზღუდვებთან ერთად, მიიღონ ყველა ზომა, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა იმპორტირება, ექსპორტირება ტრანზიტით, საერთაშორისო გადაზიდვა მოცემული კონვენციის რეგულაციების დარღვევით ჩაითვალოს დანაშაულად და „ეს სერიოზული დანაშაული დაისჯება შესაბამისი სასჯელით, კერძოდ, პატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთის სხვა წესით“. (292, 36)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენის 1971 წლის 21 თებერვლის კონვენციას „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე“ (302) (საქართველო შეუერთდა 1997 წლის 28 მაისს).

კონვენციით მოწესრიგდა ფსიქიატრიულ ნივთიერებებთან დაკავშირებული საკითხები, დადგინდა კონტროლის განხორციელების პრინციპები მთელ რიგ ფსიქოტროპულ საშუალებებზე, შედგენილი იქნა და კონვენციის საერთო ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ოთხი

სია. სიები შედგენილი იქნა ამ ნივთიერებათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშროების გათვალისწინებით, ადამიანის ამ ნივთიერებებზე ფსიქიკური თუ ფიზიკური დამოკიდებულების ჩათვლით. კონვენციით აიკრძალა პირველ სიაში შეტანილ ნივთიერებათა ყოველგვარი გამოყენება გარდა, სამეცნიერო და ძალიან შეზღუდული სამედიცინო მიზნებისა. აიკრძალა მათი იმპორტი და ექსპორტი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. (302, 7) დადგინდა, რომ II, III და IV სიებში შეტანილი ნივთიერებების საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობა დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიების საფუძველზე. დადგინდა ფსიქოტროპულ ნივთიერებათა სახელმწიფო საზღვარზე გადატანა-გადმოტანისათვის განსახორციელებელი სავალდებულო წესი. მხარეებს მიეცათ უფლება აკრძალონ II, III და IV სიებში შეტანილი ერთი ან რამდენიმე ნივთიერების მისი ქვეყანაში შეტანა და მიიღონ ზომები, რათა ეს ნივთიერებანი მათ ქვეყანაში არ იქნეს შეტანილი. (302)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის 19 დეკემბრის ვენის კონვენცია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. (303) (საქართველო შეუერთდა 1998 წლის 8 აპრილს).

კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიზანია ხელი შეუწყონ ურთიერთთანამშრომლობას, რათა უფრო ეფექტური გახადონ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა. სახელმწიფოებმა დაადასტურეს თავიანთი ნება, - შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივ დანაშაულად სცნონ ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული ქმედებები, მათ შორის წინა კონვენციათა დებულებების საწინააღმდეგოდ იმპორტის, ექსპორტისა და საერთაშორისო ტრანზიტით გადაზიდვა. მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობისა და ტრენინგის სხვადასხვა ფორმაზე, მათ შორის საერთაშორისო თანამშრომლობასთან ერთად ვალდებულებას იღებენ დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ ნარკოსატრანზიტო ქვეყნებს მათ საზღვარზე ნარკოტიკულ საშუალებათა და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გადატანის, უკანონო ბრუნვის აკრძალვისა და სხვა მსგავსი ღონისძიებებისადმი მიძღვნილი ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამათა მეშვეობით. (303, 10)

ხელშემკვრელი მხარეები კონვენციით აფიქსირებენ სათანადო ზომების მიღებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებითაც კომერციული გადამზიდავები სარგებლობენ, არ იქნეს გამოყენებული ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისათვის. მხარეები ასევე აცხადებენ ფართო თანამშრომლობის მზადყოფნას ზღვაზე

უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად, თავისუფალი ვაჭრობის ზონებისა და თავისუფალ პორტებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის აღსაკვეთად. ხელშემკვრელი სახელმწიფოები კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად მიიღებენ ზომებს, რათა აღკვეთონ საფოსტო გზაზე ნივთების გამოყენება ნარკოტიკთა უკანონო ბრუნვისათვის.

1999 წლის 5 თებერვალს ინდოეთის რესპუბლიკის უტარ-პრადეშის შტატის დედაქალაქ ლაქნაუში, ნარკოტიკის უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე მიღებული იქნა შეთანხმება პრეკურსორებით და ზოგიერთი სხვა ქიმიური ნივთიერებებით ვაჭრობაზე კონტროლის გაძლიერების შესახებ. ყველა სახელმწიფომ აიღო ვალდებულება გენერალურ ასამბლეას მიაწოდოს ინფორმაცია მის ტერიტორიაზე ნარკოტიკების შემცველი ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტით გადაზიდვების შესახებ. (316)

2016 წლის 19 აპრილს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა რეზოლუცია „ჩვენი საერთო ვალდებულება ნარკომანიის მსოფლიო პრობლემის და მასთან ბრძოლის ეფექტური გადაწყვეტისკენ“. (317) მხარეებმა განიხილეს მსოფლიო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული საკითხები, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, ნარკომანიის ბრძოლის საქმეში საერთაშორისო მიღწევების, სირთულეებისა და გამოწვევების ანალიზის შედეგად მიიღეს ცალკეული გადაწყვეტილებები, მათ შორის შეთანხმდნენ გააძლიერონ სასაზღვრო კონტროლის შეთანხმებული სტრატეგიები, სასაზღვრო და სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები მოთხოვნილების შესაბამისად: ტექნიკური დახმარების, აუცილებლობის შემთხვევაში აღჭურვილობის, ტექნოლოგიების მიწოდებით, კადრების მომზადებით, ნარკოტიკების, პრეკურსორებისა და ნარკომანიასთან დაკავშირებულ სხვა დანაშაულთა აღკვეთის მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევით, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წახალისებით და სხვა.



## დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან ბრძოლის პრობლემების შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნები და ჩამოგვეყალიბებინა პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენციის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დანაშაულთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე ის ასახულია ოპერაციონალურად. ამ პრობლემის დაძლევის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სტატისტიკურ ანგარიშებში აისახოს ე. წ. „მწვანე ზოლის“ ფარულად გადაკვეთის ფაქტები. ასევე მნიშვნელოვანია კანონში იმ უზუსტობების დაძლევა, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო საზღვარზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა წრის ლატენტურობის ზრდას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სპეციალური ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სისხლის სამართლის კოდექსის ბლანკეტური ნორმების შინაარსის დაზუსტებას. კერძოდ, აუცილებელია სპეციალური ნორმატიული აქტის მიღება, სადაც იქნება მოწესრიგებული „მვირფასი ლითონისაგან დამზადებული საუველერიო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის“ წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანის საკითხები. შესაბამისად, გაადვილდება სსკ-ს კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების პროცედურა. აგრეთვე მნიშვნელოვანია სპეციალურ საკანონმდებლო აქტში „მიგრანტის“ ცნების დაზუსტება, რადგან არც საერთაშორისო დონეზე, არც საქართველოს საკანონმდებლო დონეზე ტერმინი „მიგრანტის“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. ამ მიმართულებით გაადვილდება სსკ-ს 344<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენება.

ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანია სსკ-ს 207<sup>2</sup>-ე მუხლის დაზუსტება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია გენმოდინფიცირებული ორგანიზმების უკანონო იმპორტი, მაგრამ გათვალისწინებული არ არის მიკროორგანიზმების - ადამიანის, ცხოველის ან მცენარეთა პათოგენების, ბიოლოგიური ან მიკრობიოლოგიური აგენტის ან ტოქსინის უკანონო იმპორტ-ექსპორტის დასჯადობა. ამიტომ აღნიშნულ მუხლში უნდა იყოს გათვალისწინებული დასახული ცვლილება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით დასჯადია ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან/და გასაღება, თუმცა არ არის დაწესებული პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ყალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის ან მათი დასამზადებელი მოწყობილობის

გადმოტანისათვის. ამიტომ სსკ-ს 212-ე მუხლში აუცილებელია იყოს გათვალისწინებული ფასიანი ქალაქის ან მათი დასამზადებელი მოწყობილობის გადმოტანის საკითხი.

